პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—89.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- სტამბების მუშათა გაფიცვა რეველში.
- კამპანია რადოვიცკის განთავისუფლების სასარგებლოდ.
- ბელგიის მთავრობამ დაადგინა გააძლიეროს სამხედრო ციხე-სიმაგრეები.
- ჩეხო-სლოვაკიის ქარხნებმა ჩუან-ძო-ლინს გაუგზავნეს 20 ვაგონი სამხედრო მოწყობილობა.
- გერმანია-პოლონეთ - საბჭოთა კავშირის სარკინიგზო კონფერენცია დაიხურება 26 მარტს.

კვირა, 25 მარტი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 70 (2113)

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა
აპრილისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

გამცემლობის მორიგი რეკორდი

თუ დღემდე ვინმე ფიქრობდა, რომ გერმანიის სოციალ - დემოკრატიის ბელადებმა ბურჟუაზიის წინაშე ლაქიობის ისეთ საზღვარს მიაღწიეს, რომლის იქითაც წასვლა შეუძლებელია, — ის დიდათ ცდებოდა. უკანასკნელი ამბები — „ფორვერტს"-ის პოზიცია შახტის საქმესა და განიარაღების საბჭოთა პროექტის საკითხში ჰილფერდინგის გამოსვლები რეიხსტაგის კომისიაში გერმანია - საბჭოთა ურთიერთობის საკითხის შესახებ, — წარმოადგენენ გერმანიის სოციალ - დემოკრატიის მიერ დღემდე ჩადენილ ყველა სისაძაგლესა და გამცემლობის რეკორდს.

სწორედ იმ მომენტში, როცა მსოფლიო პლუტოკრატია ცდილობს საბჭოთა კავშირის გარემოცვას ეკონომიურ ბლოკადით, იმ მომენტში, როცა ყოველნაირი ჯურის ავგურები მოუწოდებენ საღვთო კავშირის შექმნისაკენ საბჭოთა ქვეყნის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ, სწორედ ამ დროს გერმანიის სოციალ - დემოკრატიის ბელადები გამოდიოდნენ ყოვლად საზიზღარი ბრალდებებით საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

როგორც კი პრესაში გამოქვეყნდა პირველი ცნობები შახტის საქმეზე, „ფორვერტს"-მა გააჩაღა ისეთი საზიზღარი ცილისწამების კამპანია, რომელიც ყოველ რეაქციონურ გაზეთს შეშურდებოდა. თუ ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთები, როდესაც გამოსთქვამდნენ აღშფოთებას იმ კონტრ - რევოლიუციონერების დაპატიმრების გამო, რომელთა შორის უცხოელებიც ურევიან, ერთგვარ თავდაჭერას მაინც იჩენდნენ, — „ფორვერტს"-მა სრულიად უკუაგდო ყოველგვარი ზრდილობა. შახტის ინჟინრების წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას კონტრ - რევოლიუციონერობაში „ფორვერტს"-ი პირდაპირ „ფანტაზიად" აცხადებს. „ფორვერტს"-ის კალმოსნებს შეუძლებლად მიაჩნიათ შეთქმულება იმ ქვეყანაში, სადაც „თვითეულ კაცზე სახელმწიფოს პოლიტიკური სამმართველოს [illegible] სოციალ - ბარმატების ცენტრალური ორგანოს საჭიროდ არ მიაჩნია დაუცადოს შემდგომი ფაქტიური ცნობების გამოქვეყნებას და ასწრებს რა გამოძიების შედეგებსა და სასამართლოს პროცესს, ის ფიცულობს და ამტკიცებს, რომ საბჭოთა მთავრობა სდევნის სრულიად უდანაშაულო ხალხს, ვინაიდან, ამბობს ის, ასეთი შეთქმულება საერთოდ შესაძლებელია მხოლოდ ორნაირ შემთხვევაში: ან „ყველა რუსი მუშები და ტეხნიკოსები შეთქმულთა მხარეზე იყვნენ ან და ისინი ნამდვილი იდიოტებია"-ო. („ფორვერტს"-ი 14 მარტი) და ამას ლაპარაკობს ის ხალხი რომელიც ბედავს და თავის თავს მუშათა კლასის წარმომადგენელს უწოდებს. იბადება კითხვა — როგორღა უნდა მოიქცნენ მუშათა კლასის დაუძინებელი მტრები?

არც ერთ გაზეთს ისე უგუნურად არ დაუკრავს ტაში გერმანიის მთავრობისათვის, რომელმაც გასწყვიტა ჩვენთან სავაჭრო მოლაპარაკება, როგორც „ფორვერტს"-ს. „წმინდა სოციალისტურ მთავრობასაც კი, ამბობენ ეს გახრწნილი რენეგატები, არ შეეძლო სხვანაირად მოქცევა ამ შემთხვევაში"-ო. გერმანიის სოციალ - დემოკრატები აშკარავებენ თავის გულისნადებს. მათი საგარეო პოლიტიკის პროგრამა გულისხმობს ურთიერთობის გამწვავებას საბჭოთა კავშირთან.

ისინი მზად არიან მიესალმონ ყოველივე იმას, რაც ხელს უწყობს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბურჟუაზიული სახელმწიფოების მთლიანი ფრონტის შექმნას. ისინი სამაყით აცხადებენ, რომ „თვით სკეპტიკურად უყურებენ გერმანია - საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის განვითარების შესაძლებლობას, ვიდრე ზოგიერთი კაპიტალისტური წრეები. ისინი მზად არიან სათავეში ჩაუდგნენ ყოველნაირ კამპანიას, რომელიც მიმართული იქნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ამასთანავე ერთად გაიმეორონ თეთრგვარდიელთა ფრაზა „რუსეთის ხალხისათვის დახმარების გაწევის" შესახებ.

მთელი ეს სისაძაგლე და მსჯელობა იმის შესახებ, რომ დაპატიმრებას, თითქოს, საბჭოთა მთავრობამ მიმართა იმიტომ, რომ „დაეფარა საკუთარი უძლურება მეურნეობის გაძღოლაში", მთელი ეს აღვირახსნილი ცილისწამება მაჩვენებელია მხოლოდ ერთი რამეისა: გერმანიის მუშათა კლასის გამემარცხენება სოციალ - დემოკრატიის ბელადებს სერიოზულ შიშს ჰგვრის. კომუნისტური პარტია იზრდება და მტკიცდება. არჩევნების წინ სურთ მას როგორმე ზიანი მიაყენონ. საჭიროა რაიმე საშუალებით კომუნიზმისათვის სახელის გატეხა და საბჭოთა კავშირისათვის ჩირქის მოცხება. „ფორვერტს"-ის გააფთრებული კამპანია მიზნად ისახავს შეასუსტოს კომუნისტების გავლენა, შეაჩეროს საბჭოთა კავშირისადმი სიმპატიების ზრდა და კერძოდ, გარდატეხა მოახდინოს იმ მემარცხენე სოციალ - დემოკრატების განწყობილებაში, რომლებიც ამ მხრით ერთგვარ „საშიშ გადახრას" იჩენენ. ამ კეთილი მიზნის მისაღწევად გერმანიის სოციალ დემოკრატების ცენტრალური ორგანო თამამად გამოვიდა ინგლისის კონსერვატორების დამქაშის როლში და თავისი ხმა შეუერთა იმ საერთო კამპანიას, რომელსაც ბურჟუაზიული პრესა აწარმოებს იმ პროექტის წინააღმდეგ, რომელიც საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა განიარაღების საკითხში. „ფორვერტს"-ის ჟენეველი კორესპონდენტი [illegible] სიტყვით, რომელსაც „ამხილა" საბჭ. წინადადებების სააგიტაციო ხასიათი. თავის ერთგულებაში „ფორვერტსი"-ს კალმოსნები ვერ ამჩნევენ, თუ ვინ არის ნამდვილად ნამხილები ბოლომდე: უერთდება რა იმპერიალისტების საერთო აზრს იმის შესახებ, რომ ბოლშევიკური განიარაღება ვერ დაამყარებს მშვიდობიანობას, ვინაიდან თვით ბოლშევიკები ქადაგებენ სამოქალაქო ომსო, „ფორვერტს"-ი იმპერიალისტების წარმომადგენლებთან ერთად აცხადებს, რომ არმია იმპერიალისტებს სჭირდება პროლეტარიატისა და კოლონიალური ერების დასამონებლადო.

რაც არ უნდა ეცადონ, ამ დასკვნას სოციალ - დემოკრატები ვერ გაექცევიან. საბჭოთა წინადადებანი მეტად ნათელი და მეტად მარტივია და მათი უარყოფა შეუძლებელია ნამდვილი სახის გამოუაშკარავებლად. რაც უფრო მეტს სიხარულს მიეცემა „ფორვერტს"-ი კეშენდენის ანტი - საბჭოთა გამოლაშქრებით, — მით უფრო მეტ ყურადღებით მოეკიდებიან სოციალ-დემოკრატი მუშები კომუნისტურ პარტიას. რაც უფრო უსირცხვილოდ გაილაშქრებს გამცემელ - რენეგატების უმნიშვნელო ჯგუფი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მით უფრო დაჩქარდება გამომარცხენების პროცესი გერმანიის პროლეტარიატში და მით უფრო მალე დაშრება რეფორმისტული ჭაობი.

„პრავდა", 24 მარტი.

თემსაბჭოების უფლებათა შესახებ*)

ხშირად, ამბობენ, რომ ძირითად საბჭოთა აპარატში ზოგჯერ შენიშნულ ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების მიზეზი არის ჩვენი სოფლის საერთო კულტურული ჩამორჩენილობა, თემის მუშაკთა მოუმზადებლობა და სხვა. ეს სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ ბიუროკრატიზმის ფესვები სხვა მიზეზებშიაც უნდა ვეძიოთ. საბჭო არის ისეთი დაწესებულება, რომელიც იმყოფება სოფლის მშრომელ მასებთან მუდმივ და განუწყვეტელ უშუალო ურთიერთობაში, ხოლო მას ბევრ შემთხვევაში არ შეუძლია ამ მასების საჭიროებათა დაკმაყოფილება, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ ის არაა სათანადო უფლებებით აღჭურვილი.

ადგილობრივ საჭიროებათა და საქმეების შესახებ საბჭოს უმეტეს შემთხვევაში შეუძლია მხოლოდ „აღძრას საკითხი", „წარადგინოს მოხსენება", „იშუამდგომლოს" ზემდგომ ინსტანციებში და სხვა. ასეთი მდგომარეობა მიუღებლად უნდა ჩაითვალოს. ამ მოვლენის სიმახინჯე განსაკუთრებით აშკარა გახდა მას შემდეგ, როცა საბჭოების გამოცოცხლების ამოცანა დადგა პრაქტიკული განხორციელების ნიადაგზე.

ამხ. სერგო ორჯონიკიძის ინიციატივით წამოყენებულ იქნა საკითხი ძირითადი საბჭოთა ორგანოების უფლებათა გაფართოების შესახებ. თემაღმასკომების ადმინისტრატიულ უფლებათა გაფართოების მხრივ ზოგიერთი ნაბიჯი უკვე არის გადადგმული ჩვენშიც. 1927 წელს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული კანონის თანახმად, თემაღმასკომის გამგებლობაში გადავიდა ყველა იმ საქმის გადაწყვეტა, რომლითაც შეეხება ტყეების მტაცებლობისა და განადგურებისაგან დასაცავად მიღებულ დადგენილებების დარღვევას, აგრეთვე საქმეები საგლეხო მეურნეობისათვის [illegible] მიყენებული ვნების შესახებ, თუ ზიანის ღირებულება ორივე შემთხვევაში არ აღემატება 15 მანეთს. თემაღმასკომს მიენიჭა უფლება ასეთი საქმეების გადაწყვეტის დროს გამოიყენოს დამნაშავეთა მიმართ სოციალური დაცვის ღონისძიება — იძულებითი მუშაობა 20 დღემდე და ჯარიმა კანონით დაწესებული რაოდენობით. ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის 1926 წ. დადგენილებით თემაღმასკომებს დაეკისრა ზოგიერთი სანოტარო ფუნქციების ასრულება (გარიგებათა, ხელშეკრულებათა და დოკუმენტთა შემოწმება).

საჭიროა საფუძვლიანად იქნას გადასინჯული მომქმედი დებულება თემსაბჭოებისა და თემაღმასკომების შესახებ მათი კომპეტენციის და უფლებათა გაფართოების თვალსაზრისით ადმინისტრატიული მმართველობისა, კულტურულ - განმანათლებელ, სოციალური უზრუნველყოფის და სხვ. დარგებში.

როგორც ვიცით, თემაღმასკომს ევალება დაიცვას საზოგადოებრივი მყუდროება თემის ფარგლებში, ებრძოლოს ბოროტმოქმედებას; ბოროტმოქმედების გამომჟღავნების დროს დააკავოს კიდევაც დამნაშავე პირები. და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს რაიონის მილიციის სამმართველოს. ჩვენის აზრით, თემაღმასკომს შეიძლება დაეკისროს აგრეთვე ბოროტმოქმედების გასახსნელად სათანადო ღონისძიებათა მიღება და ზოგიერთ საქმეზე ფორმალური კვლევა - ძიების წარმოება საპროკურორო ზედამხედველობის ხელმძღვანელობით, სათანადო კანონდებულებათა საფუძველზე.

რატომ არ შეიძლება, მაგალითად, თემაღმასკომს დაევალოს ადმინისტრატიული წესით დადებული ჯარიმის გადახდევინება. ან სასამართლო დაწესებულებათა ზოგიერთ გადაწყვეტილებების ასრულება სათანადო წესის დაცვით. თემაღმასკომს შეიძლება გადაეცეს აგრეთვე ხელშეკრულების დადების უფლება ეკლესიების გადაცემის შესახებ და კიდევ ბევრი სხვა რამ.

ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით ყველა იმ საკითხსა და საქმეს, რომელთა გამგებლობა თუ გადაწყვეტა თავისუფლად შეიძლება გადაეცეს თემაღმასკომს.

საკითხი თემაღმასკომების უფლებათა გაფართოების შესახებ უკვე სდგას განსახილველად სათანადო ორგანოებში. საჭიროა დაჩქარებულ იქნას ახალი დებულების გამოცემა სათემო, საბჭოებისა და აღმასკომების უფლება - მოვალეობათა შესახებ. ამ ღონისძიების საშუალებით გამოცოცხლების გზაზე შემდგარ ძირითად საბჭოთა ორგანოებს განუმტკიცდება საფუძველი, საბჭო უფრო მეტად და მჭიდროდ დაუკავშირდება ამომრჩევლებს, გაიზრდება თემის საბჭოთა მუშაკების მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნება.

დ. ქუჩულორია.

---

*) საკითხის გარჩევის წესით. რედ.

ამხ. ლიტვინოვის პასუხი იმპერიალისტებს

კეშენდენი „მადლობის" ღირსია

ჟენევა, 23 მარტი. თავის საპასუხო სიტყვაში განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის სხდომაზე ამხ. ლიტვინოვმა განაცხადა.

„მე მინდა პირველ ყოვლისა მადლობა გადაუხადო დელეგატებს, რომელთაც თავისი აზრი გამოსთქვეს საბჭოთა დელეგაციის მიერ შემოტანილ წინადადებების გარშემო. მე კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ კამათში მონაწილეობა მიიღო 19-მა დელეგაციამ. განსაკუთრებით მადლობის ღირსია დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი, რომელმაც ფართე გასაქანი მისცა დისკუსიას და წამოაყენა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენს წინადადებებთან. მივესალმები გულახდილობას, რომლითაც ის ლაპარაკობდა და რომელზედაც შევეცდები ისეთივე გულახდილი პასუხი გავსცე თავაზიანობის და პატივისცემის იმავე ფარგლებში.

დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა კამათში წამოაყენა საკითხები, რომლებიც მე საკუთარი ინიციატივით არ შევიტანე დისკუსიაში, რადგან ამ საკითხებს არ ჰქონდა მასთან უშუალო დამოკიდებულება. ინიციატივა ეკუთვნის მას და მე იმედი მაქვს, რომ მისთვის საწყენი არ იქნება, თუ ამ საკითხების ფარგლებში მე გამოსთქვამ საბჭოთა დელეგაციის და ჩემი მთავრობის თვალსაზრისს. ლორდი კეშენდენი არ დაკმაყოფილდა კონვენციის პროექტის განხილვით: მან გადაუხვია საკითხს, რათა გაეგო—რა ფარულმა მოტივებმა აიძულა საბჭოთა მთავრობა მოსულიყო კომისიაში და შემოეტანა რადიკალური წინადადება განიარაღების შესახებ, როგორი განწყობილებით გამოცხადდა საბჭოთა დელეგაცია, რატომ აქამდის არ იყო საბჭოთა მთავრობა დაინტერესებული განიარაღების საქმით ან, როგორც მან სთქვა, საბოტაჟს უცხადებდა მას. მე არ შევეკითხები დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელს რა უფლებით სვამს ის ამ კითხვებს, სცნობს თუ არა ის ჩემს მიმართაც ასეთსავე უფლებას შევეკითხო მას მისი მთავრობის გულწრფელობის შესახებ, გამოგზავნა თუ არა ბრიტანეთის მთავრობამ დელეგაცია მშვიდობიანობის მოყვარეობის გამო, ან სხვა მოტივებით, რა გააკეთა მან აქამდის განიარაღების საქმისათვის და შეიძლება თუ არა ჩაითვალოს საბოტაჟად ის, რომ მან აქამდის არ მოსპო კომისიაში წარმოშობილი უთანხმოებანი, რომლებიც ხელს უშლის მისი საკუთარი პროექტის მეორეთ წაკითხვა, და საერთოდ მუშაობის წარმართვას დასახული გზით.

ასეთი კითხვები ჩემის მხრივ კანონიერია აქ წარმოდგენილ დელეგაციების თანასწორუფლებიანობის გამო. მაგრამ უნაყოფო კითხვის მაგიერ მე უმჯობესად მიმაჩნია დავაკმაყოფილო ლორდ კეშენდენის ცნობისმოყვარეობა და უპასუხო მის კითხვებზე.

საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკა

მშვიდობიანობის უზრუნველყოფის და კაცობრიობის დამღუპველ ომების მოსპობის პრობლემა საბჭოთა მთავრობას აინტერესებდა თავისი არსებობის პირველ დღიდანვე. მან პირველმა შესწყვიტა თავისი ხელის მონაწილეობა მსოფლიო ომში და ომის მონაწილე დანარჩენ სახელმწიფოებს მიმართა მოწოდებით მიებაძათ მისი მაგალითისათვის. როცა საბჭოთა მთავრობას თავს დაესხნენ მაშინდელი მოკავშირეები, მათ შორის დიდი ბრიტანეთიც, საბჭოთა მთავრობა, რომელიც ცდილობდა ზავის ჩამოგდებას, დაუყოვნებლივ და სიხარულით მონაწილეობა მიიღო პრინცის კუნძულებზე გამართულ მოლაპარაკებაში დროებითი ზავის შესახებ და გაიღო უდიდესი მსხვერპლი იმ ახალი სისხლის ღვრის შესაწყვეტად, რომელიც მან თავზე მოახვიეს. დამოუკიდებლათ ერთა ლიგისაგან, საკუთარი ინიციატივით, მან 1922 წელს გენუაში პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელშიაც ის მონაწილეობას იღებდა, წამოაყენა წინადადება პირველ რიგში გარჩეული ყოფილიყო საერთაშორისო განიარაღების საკითხები. სამწუხაროდ. სხვა სახელმწიფოებმა უფრო მნიშვნელოვანად სცნეს რუსეთის რევოლიუციისაგან დაზარალებულ უცხოეთის ფირმების კერძო საკუთრების აღდგენის საკითხის განხილვა.

მე არ ჩამოვთვლი საბჭოთა კავშირის სხვა ნაბიჯებს ამ მიმართულებით,—მათ შესახებ მე ვილაპარაკე ამ კომისიის ნოემბრის სესიაზე. თავისი არსებობის ათი წლის განმავლობაში საბჭოთა მთავრობა არც ერთს თავის მეზობელს, არ დასხმია თავს, არავისათვის ომი არ გამოუცხადებია და არ მიუღია მონაწილეობა მესამე სახელმწიფოების ომებში.

ერთა ლიგის პირველ მოწვევისთანავე ის დასთანხმდა მონაწილეობა მიეღო განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის მუშაობაში, მიუხედავათ იმისა, რომ მისი დამოკიდებულება ერთა ლიგისადმი უარყოფითია, საბჭოთა მთავრობა რომ იყვეს ლიგის წევრი, ის ვალდებული იქნებოდა ასე მოქცეულიყო თავის თავზე მიღებულ ვალდებულებათა გამო, დამოუკიდებლათ იმისგან, გულწრფელად სურდა თუ არა მას განიარაღება. ის გარემოება, რომ საბჭოთა მთავრობა, რომელიც სრულიად თავისუფალია ყოველგვარ ვალდებულებისაგან, ერთა ლიგის მიმართ, მოიქცა ასე, საკმაო საბუთია მისი გულწრფელობის და მშვიდობიანობის მოყვარეობის დასამტკიცებლად.

ნოემბრის სესიაზე მე აღვნიშნე, რომ პასუხისმგებლობა იმისთვის, რომ საბჭოთა მთავრობამ მონაწილეობა ვერ მიიღო პირველ ხუთ სესიაში, სავსებით ერთა ლიგას ეკისრება. საბჭოთა დელეგაციამ, რომელიც ჩამოვიდა მიმდინარე სესიაზე, გადასწყვიტა აქტიური მონაწილეობა მიეღო კომისიის მუშაობაში და გამოეჩინა საკუთარი ინიციატივა იქ, სადაც სხვებს ინიციატივა არ სჩანდა, ან არ იყო საკმარისი. მან გადასწყვიტა დაეჩქარებია მუშაობა განიარაღებისა და მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად. საბჭოთა მთავრობას სურს ხალხების განთავისუფლება მილიტარიზმისა და ომების სიმძიმისაგან; არავითარი სხვა მოტივები მას არა აქვს. ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა მთავრობის წარსული მშვიდობიანობის სფეროში ისეთია, რომ მას სხვებზე უფრო აქვს უფლება გამოვიდეს წინადადებებით განიარაღების შესახებ.

დამოკიდებულება ერთა ლიგისადმი

მე მსურს აგრეთვე, ვუპასუხო დიდი ბრიტანეთის პატ[illegible] დამოკიდებულება ერთა ლიგისადმი ან, მისი სიტყვით, საბოტაჟი ლიგის მიმართ ჩვენს მონაწილეობას აქ დასმულ საკითხების განხილვაში? საბჭოთა მთავრობა არასოდეს არ მალავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას ლიგისადმი. ის ამის შესახებ ლაპარაკობდა აგრეთვე თავის პასუხში ლიგის საბჭოს მიწვევაზე კომისიაში მონაწილეობის მიღების შესახებ. საბჭოთა მთავრობას არა ერთხელ აღუნიშნავს საჯაროთ ერთა ლიგისადმი ასეთი დამოკიდებულების მიზეზები. არა ერთხელ აღუნიშნავს, თუ რა მიაჩნია მას უსამართლოდ, მიუღებლად, უარყოფითად როგორც ლიგის წესდებაში, ისე ერთა ლიგის სხვადასხვა გადაწყვეტილებებში საერთაშორისო საკითხების შესახებ. საეჭვოა, რომ ლიგის პრესტიჟმა, რომლისათვისაც ასე ზრუნავს ლორდი კეშენდენი, მეტი [illegible] გოს იმით, რომ ყოველ[illegible] ამ კომისიაში მონაწილეობის მიღებისათვის, დაბრკოლებად არ სთვლის იმას, რომ კომისია ემსახურება ლიგის ორგანოებს. აქედან, რასაკვირველია, არ გამოდის, რომ საბჭოთა მთავრობა კისრულობს დაემორჩილოს რომელიმე ინსტრუქციებს და დადგენილებებს, რომლებიც ლიგის, ან ლიგის საბჭოდან გამომდინარეობს. იგი დაემორჩილება კომისიის და განიარაღების კონფერენციის მიერ შემუშავებულ მხოლოდ იმ აქტებს, რომლებსაც ხელს მოაწერს სხვა მთავრობებთან ერთად. ყოველ შემთხვევაში, როცა ერთა ლიგის საბჭო ამ კომისიაში სამუშაოდ იწვევდა საბჭოთა კავშირს, ლიგამ იცოდა, რომ საბჭოთა მთავრობა არ არის ლიგის წევრი და არც ფიქრობს გახდეს მისი წევრი.

საფუძვლიანი სკეპტიციზმი

ლორდ კეშენდენს არ მოეწონა რომელიღაც წერილი, დაბეჭდილი „იზვესტია"-ში, რომელშიაც გამოთქმულია სკეპტიკური, ანუ ირონიული დამოკიდებულება ერთა ლიგის წევრთა მუშაობისადმი განიარაღების დარგში. ასეთი სკეპტიციზმი აქ გამოსთქვა საბჭოთა დელეგაციამაც. მაგრამ მე არ მესმის, რატომ უნდა აღელვოს ამ წერილმა დიდბრიტანეთის წარმომადგენელი და კომისია. თვით ამ კომისიის მუშაობის შედეგებზე არის დამოკიდებული თუ რამდენად გამართლდება ეს სკეპტიციზმი და რამდენად ყალბი და უსაფუძვლო გამოდგება ზემოაღნიშნული გაზეთის წინასწარმეტყველება. საბჭოთა დელეგაცია პირველი იქნება მოხარული, თუ ამ გაზეთის წინასწარმეტყველება არ გამართლდება. მაგრამ სკეპტიციზმი ერთა ლიგის „განმაიარაღებელი" მუშაობის მიმართ თავს იჩენს არა მარტო საბჭოთა წრეებში. მე ხელთ მაქვს პარიზის გაზეთი, მეტად რეაქციონური მიმართულებისა, 20 მარტის თარიღით. მე ამ გაზეთში ვკითხულობ შემდეგს: „ლიგის არსებობას არავითარი აზრი არ ექნებოდა, რომ იგი თავს უწოდებდეს იმას, რაც ნამდვილად არის, ე. ი. პაციფიზმის აკადემიას, და რომ მისი მოქადაგენი აღიარებდნენ, რომ მათ ლექციებს ომის წინააღმდეგ ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ზანგების ჯადოსნების შელოცვას ქარიშხალის წინააღმდეგ". ეს სკეპტიციზმი და ირონია, ჩემის აზრით, შეიძლება იყოს სტიმული ლიგისა და ჩვენი კომისიისათვის, რათა ისინი ყოველგვარ საშუალებით შეეცადონ დაამტკიცონ, რომ მათ არ დაუმსახურებიათ ასეთი ირონია.

დიდბრიტანეთის წარმომადგენელი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ თითქოს განიარაღების პრობლემის სრული ან ნაწილობრივი გადაწყვეტა ლიგის გარეშე არის რაღაც დიდი ცოდვა, მკაცრად დასაგმობი მოვლენა. დიდბრიტანეთის წარმომადგენელი მივიდა იქამდე, რომ ლიგის დამსახურებად ჩასთვალა ვაშინგტონის შეთანხმება საზღვაო შეიარაღებათა შემცირების შესახებ და ამასთანავე დაივიწყა, რომ ლიგას არავითარი დამოკიდებულება არ ქონია ვაშინგტონის კონფერენციისადმი. კიდევ მეტი, ეგრედ წოდებული სამი სახელმწიფოს კონფერენციასაც, რომელიც ჟენევაში იყო მოწვეული საზღვაო განიარაღებისათვის, არ ქონია კავშირი ლიგასთან. თუ არ ვცდები, ამ კონფერენციის მონაწილეთა შორის დაწყებული მოლაპარაკება სწარმოებს მოსამზადებელი კომისიის გარეშე.

ერთა ლიგის პრესტიჟის დამცველი

დიდბრიტანეთის წარმომადგენელმა, შეეხო რა კონვენციის ჩვენს პროექტს, დიდის აღშფოთებით აღნიშნა, რომ ამ პროექტში არაფერია ნათქვამი ლიგის შესახებ, სარატიფიკაციო აქტების ჟენევაში წარდგენისა და კონვენციის რეგისტრაციაში გატარების შესახებ. მაგრამ ყოველივე ამის აღუნიშვნელობა სავსებით გასაგები იქნება, თუ მოვიგონებთ, რომ კონვენციის ამ პროექტს ადგენს მთავრობა, რომელიც ფორმალურად არ სცნობს ერთა ლიგას. მეორეს მხრივ, გაუგებარი იქნება ლორდ კეშენდენის საყვედურები, თუ მოვიგონებთ იმას, რომ მთელი რიგი საერთაშორისო აქტები, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდნენ ლიგის წევრები, მათ შორის დიდბრიტანეთი, წარდგენილი არ არის ერთა ლიგაში. რამდენადაც მე ვიცი, მაგალითად, კონვენცია სრუტეების შესახებ, რომელიც ჟენევის მახლობლად, — ლოზანაში იქნა შემუშავებული, არ წარუდგენიათ არც ჟენევაში და არც პარიზში. ჟენევაში არ წარუდგენიათ აგრეთვე ვაშინგტონის საზღვაო კონვენციის აქტები. საბჭოთა კავშირისა და იტალიის მიერ დამტკიცებული, მაგრამ ინგლისის მიერ ჯერ კიდევ დაუმტკიცებელი ოქმი მხრჩოლავი გაზებისა და ბაქტერიოლოგიური საშუალებების ომში გამოყენების შესახებ, არ არის წარდგენილი არც ჟენევაში და არც პარიზში, მიუხედავად იმისა, რომ ოქმი მიიღო ერთა ლიგის მიერ მოწვეულმა კონფერენციამ. არც ჟენევაში და არც პარიზში წარდგენილი არ არის აგრეთვე კონვენცია იარაღით ვაჭრობის შესახებ, რომლის ინიციატორი იყო ერთა ლიგა. კერძოდ, ამ კონვენციიდან ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების მოთხოვნით ამოშლილ იქნა ყოველგვარი ხსენება ლიგისა, ვინაიდან შეერთ. შტატების მთავრობა წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა, რომ კონვენციას არ დაამტკიცებდა. ამ მთავრობის ნოტა 1923 წლის 12 სექტემბრის თარიღით, სხვათა შორის ამბობს, რომ „კონვენციის დებულებანი, რომელთაც დამოკიდებულება აქვს ლიგასთან, ისე არის დაკავშირებული კონვენციასთან მთლიანად, რომ ჩემს მთავრობას არ აძლევს საშუალებას დაამტკიცოს კონვენცია". შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე ჩემბერლენის პროტესტი ინგლის - ირლანდიის ხელშეკრულების გატარების წინააღმდეგ ლიგის რეგისტრაციაში, მიუხედავად იმისა, რომ ორივე სახელმწიფო არის ლიგის წევრი.

თუ ის გარემოება, რომ საბჭოთა მთავრობამ, რომელიც არ არის ლიგის წევრი, არაფერი სთქვა ერთა ლიგის შესახებ კონვენციის პროექტში, დიდბრიტანეთის მთავრობის დელეგატის აზრით, არის ლიგის შეურაცხყოფა, მაშინ რაღა უნდა უწოდოს ლორდმა კეშენდენმა თავის საკუთარ მთავრობას, რომელიც მონაწილეობას იღებდა ჩემ მიერ ჩამოთვლილ აქტებში და გვერდი აუარა ლიგას?

განიარაღება და სამოქალაქო ომი

დიდბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენელს სურს გამონახოს ისეთი საბუთები, რომელთა გამო შეუძლებელი იქნება საბჭოთა მთავრობის მონაწილეობა განიარაღების მუშაობაში და ამისათვის საბჭოთა დელეგაციას უსვამს კითხვას: როგორ უყურებს საბჭოთა მთავრობა სამოქალაქო ომს, გმობს თუ არა იგი ასეთ ომს, თუ კანონიერად სცნობს. მე რომ მიმებაძა დიდბრიტანეთის წარმომადგენლის მაგალითისათვის და დამეწყო მისი წინადადებების ფარული მოტივების ძებნა, შემეძლო მეთქვა, რომ მან საკითხი დასვა იმ მიზნით, რომ საბჭოთა დელეგაცია იძულებული გაეხადა აშკარად დაეცვა აქ სამოქალაქო ომი და რევოლიუცია, რათა მეორე დღესვე ბრალი დაედო პროპაგანდაში. მაგრამ მე სრულიადაც არ ვამტკიცებ, რომ სწორედ ასეთი მოტივით არის ნაკარნახევი ამ კითხვის დასმა.

საკმარისია კონვენციის ჩვენი პროექტის ზერელე გადათვალიერება — ლორდ კეშენდენმა კი დაგვანახვა, რომ ჩვენი პროექტი მას შესწავლილი აქვს, — რათა დარწმუნდეთ, რომ მას მხედველობაში აქვს მხოლოდ საერთაშორისო ომები, და რომ ჩვენ არასოდეს არ გვიფიქრია და არც გვქონდა საფუძველი გვეფიქრა, რომ განიარაღების და უშიშროების გარანტიის საკითხებში ლიგას შეაქვს აგრეთვე სამოქალაქო ომების და კლასთა ბრძოლის შეწყვეტა.

შემიძლია გადაჭრით განვაცხადო, რომ საბჭოთა მთავრობა არასოდეს არ დასთანხმდებოდა იმაზე, რომ მონაწილეობა მიეღო ბრიტანეთის მთავრობასთან ან აქ წარმოდგენილ სხვა მთავრობებთან ერთად იმ საკითხების განხილვაში, რომლებიც შეეხება კლასობრივ ბრძოლას ან ბრძოლას რევოლიუციის წინააღმდეგ. გულუბრყვილობა იქნებოდა, რომ ვინმე მოელოდეს ასეთ მუშაობას იმ მთავრობისაგან, რომელიც წარმოშვა ერთ-ერთმა უდიდესმა რევოლიუციამ და რომელიც მოწოდებულია დაიცვას ამ რევოლიუციის მონაპოვარნი. სოციალური დამშვიდების საკითხების გადაჭრა აქ წარმოდგენილ სახელმწიფოებს, ალბათ, მოუხდებათ ჩვენ მონაწილეობის გარეშე.

ვაღიარებ, რომ ჩემთვის სრულებით გაუგებარია რა კავშირი აქვს ამ საკითხს სრული განიარაღების ჩვენს პროექტთან. უნდოდა თუ არა ლორდ კეშენდენს ამ კითხვით ეთქვა ან გაკვრით აღენიშნა, რომ არმიების დანიშნულებაა არა მარტო ნაციონალური ურთიერთობის დაცვა, არამედ აგრეთვე ბრძოლა რევოლიუციის წინააღმდეგ? ასეთი არგუმენტი ჩვენი პროექტის წინააღმდეგ სრულიად უსაფუძვლო იქნებოდა ყოველგვარი თვალსაზრისით, ვინაიდან ოქტომბრის რევოლიუციას ადგილი ჰქონდა ისეთ პერიოდში, როცა რუსეთში იყო საომარი დროის წესების მიხედვით შეიარაღებული უდიდესი არმიები, რომელთაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს რევოლიუციაში. ყოველ შემთხვევაში, თუ დიდი ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენელი და სხვა დელეგატები, რომლებიც შეეხნენ ამ თემას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევენ სოციალურ უშიშროების საკითხს, ისინი ეჭვს გარეშე შესაფერ მომენტში უფრო სრულად და ვრცლად განმარტავენ თავის თვალსაზრისს. ბოდიშს ვითხოვ კომისიის წინაშე, რომ ჩვენ შევეხეთ ამ თემას: მან შეიძლება ის აქ უადგილოდ ჩასთვალოს, მაგრამ მე მოგაგონებთ, რომ ინიციატივა მეკუთვნის არა მე, არამედ დიდი ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენელს.

დიდი ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენელი არა მარტო აყენებს კითხვებს, არამედ აგრეთვე წინასწარ პირობებსაც. მას სურს მიიღოს ჩვენგან რაღაც გარანტიები, სანამ დასთანხმდებოდეს ჩვენი კონვენციის პროექტის განხილვაზე. საბჭოთა მთავრობამ უნდა მისცეს მას გარანტია, რომ ის თავს დაანებებს შეიარაღებულ აჯანყებების გამოწვევას სხვა ქვეყნებში. ამავე დროს დიდი ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენელი ცდილობდა დაემტკიცებია, რომ თითქოს ასეთია საბჭოთა მთავრობის პრაქტიკა და პოლიტიკა, სავსებით გამორკვეულს და უდავო.

ვის როგორ ესმის პროპაგანდა

დიდი ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენელმა ისარგებლა განიარაღების საკითხით იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ (მისი მთავრობა არა ერთხელ მოქცეულა ასე) საჯაროთ წაეყენებია ჩვენი მთავრობისათვის ბრალდება ეგრედ წოდებულ პროპაგანდაში. ლორდ კეშენდენი, როგორც სჩანს, ვერ გრძნობს, თუ როგორ არაგონივრულია ამ მოძულებულ იარაღით სარგებლობა იმის შემდეგ, რაც მთელ რიგ დიდ - ქალაქებში აღმოჩენილ იქნა ათეული ინსტიტუტები და ბიუროები, რომლებშიაც რუსი ემიგრანტები სპეციალურად უცხოეთის სახელმწიფოებისათვის ამზადებდნენ ყალბ დოკუმენტებს, რომლებიც ამტკიცებენ [illegible] ერთ-ერთ ასეთმა დოკუმენტმა უკვე მიიღო „ზინოვიევის წერილის"-ს ისტორიული სახელწოდება. სწორედ მის შესახებ უკანასკნელ დღეებში ბევრს ლაპარაკობდნენ ინგლისის პარლამენტში. ამ დოკუმენტის სიყალბე დიდი ხანია გამორკვეულია იმ ფაქტით, რომ თავის დროზე დიდი ბრიტანეთის მთავრობამ უარჰყო საბჭოთა მთავრობის წინადადება დოკუმენტის გამოსაკვლევად გადაცემის შესახებ. ამ დღეებში ასეთი მოთხოვნილება წარადგინა ინგლისის პარლამენტის 132 წევრმა, მაგრამ ბრიტანეთის მთავრობამ უარჰყო ის.

პარლამენტში ამ დოკუმენტის შესახებ დიდ ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ - მინისტრმა შემდეგი სთქვა::

„ეს წერილი, როგორც ახლა ყველა აღიარებს, პოლიტიკური მოტყუების საგანს წარმოადგენდა, რომელსაც შესაძლებელია ბადალი არა ჰქონდეს თავისი სერიოზული მიზნე[illegible] მხრით ჩვენს პოლიტიკურ [illegible] ბრიტანეთის მთავრობა თავის [illegible] პაგანდისა და შინაურ საქმეებში ჩარევის შესახებ.

ვინ ერევა სხვის საქმეებში

რაც შეეხება შინაურ საქმეებში ჩარევას, საბჭოთა და დიდბრიტანეთის მთავრობათა შორის ჯერ საერთო ენა არ არსებობს იმისათვის, რომ შევთანხმდეთ, თუ სახელდობრ რანაირი მოქმედება უნდა ჩავთვალოთ შინაურ საქმეებში ჩარევად. დიდბრიტანეთის მთავრობა მზად არის ჩასთვალოს ასეთ ჩარევად მოსკოვში წარმოთქმული ან დაბეჭდილი რომელიმე სიტყვა თუ წერილი სხვა ქვეყნის პოლიტიკისა ან შინაური საქმეების შესახებ. მაგრამ არ სურს ჩარევად ჩასთვალოს საზღვაო ესკადრების ძალით გაჩერება უცხოეთის ნავთსადგურებში (შანხაიში), უცხოეთის ნავთსადგურების და ქალაქებისათვის ყუმბარების დაშენა და ამის შედეგები მოსახლეობისათვის (ნანკინი 1927 წელს), დამოუკიდებელი სახელმწიფოს მთავრობისადმი მიმართული მოთხოვნილება მეგობრის ქვეშევრდომის წინააღმდეგ ოპერაციების შეწყვეტის შესახებ (ლორენსის ულტიმატუმი სპარსეთის მთავრობისადმი 1927 წლის ნოემბერში) და მისი უფლებების აღდგენის შესახებ (ნოტა სპარსეთის მთავრობისადმი 1927 წლის ნოემბერში), მოთხოვნილება არმიის რაოდენობის შემცირების შესახებ (ნოტა სპარსეთის მთავრობისადმი 1921 წელს) და სხვადასხვა. საბჭოთა მთავრობა ასეთს კონცეპციას უცხოეთის საქმეებში ჩარევის შესახებ, რასაკვირველია, ვერ გაიზიარებს. მაგრამ თქვენ მკითხავთ—რა კავშირი აქვს საბჭოთა კავშირისა და ბრიტანეთის ძველს დავას განიარაღების საკითხთან? მე იძულებული ვარ ამაზე გიპასუხოთ: არავითარი. მაგრამ აქ ეს დავა მე კი არ გადმოვიტანე, არამედ დიდ ბრიტანეთის წარმომადგენელმა, ხოლო ჩემის მხრით პატივისცემისა და თავაზიანობის გამოჩენა არ იქნებოდა, რომ უყურადღებოთ დამეტოვებინა მისგან აღძრული საკითხები.

ლიგის წესდებას ებღაუჭებიან

დიდ ბრიტანეთის მთავრობის დელეგატი, აგრეთვე იაპონიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის და სხვა მთავრობათა დელეგატები ასეთ საკითხს სვამდნენ: შეეფერება თუ არა ერთა ლიგის წესდებას ჩვენი პროექტი საყოველთაო განიარაღების შესახებ და თუ არ შეეფერება, აქვთ თუ არა მათ უფლება და, საერთოდ, უნდა განიხილონ თუ არა ჩვენი პროექტი? ამ საკითხზე ყველანი, როგორც სჩანს, უარყოფით უპასუხებენ და ამ უარყოფით პასუხს ზურგს უმაგრებს ამ საკითხების ისეთი ავტორიტეტი, როგორიც პოლიტისია. მაგრამ ეს რომ უდავო იყოს, საყოველთაო განიარაღება, რომ ეწინააღმდეგებოდეს ერთა ლიგის პრინციპებსა და მისწრაფებებს, მაშინ ჩვენთვის გაუგებარია: რატომ არ უარჰყო კომისიამ ჩვენი წინადადება ჯერ კიდევ ნოემბრის სესიაზე, რატომ გადასწყვიტა კომისიამ მისი მიღება განსახილველად და რატომ არკვევს ახლა ამ საკითხს? მაგრამ, როგორც სჩანს, ჩემგან მოხსენებული დელეგატები სრულებითაც არ არიან დარწმუნებული თავისი პასუხის სისწორეში, თუ ტეხნიკურ-იურიდიული თვალსაზრისით არა, პოლიტიკური თვალსაზრისით მაინც.

ჩვენ ყოველთვის გვეუბნებოდნენ, ვითომც ერთა ლიგა დაარსებულია უმთავრესად საყოველთაო მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად. თუ ერთა ლიგის წესდების მე-8 მუხლში ლაპარაკია მხოლოდ შეიარაღების შემცირებას შესახებ, ჩვენ გვგონია, რომ ერთა ლიგას მხედველობაში აქვს მხოლოდ მინიმალური ვალდებულებანი, და ეს მუხლი არ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას შემდგომი სრული განიარაღებისათვის, თუ კი ამას მოისურვებენ ლიგის წევრები.

მე ვფიქრობ, ძნელია კაცმა უკეთესი საშუალება გამოსძებნოს ლიგის სახელის გასატეხად, ვიდრე იმის მტკიცება, რომ იგი დაბრკოლებას წარმოადგენს სრული განიარაღების გზაზე. ადამიანი ხომ არ არის შაბათისათვის გაჩენილი, არამედ შაბათი ადამიანისათვის. თქვენ ძალიან ცუდ სამსახურს გაუწევთ თქვენს ლიგას, თუ მისგან ფეტიშს შექმნით და ამ ფეტიშს სრულიად დაუმორჩილებთ თქვენი მთავრობების სურვილებს. ლიგის სტატუტი სამარადისო კანონი არ არის. ესეც კია, რომ ლიგის სტატუტის შეცვლა არა ერთხელ დაპირა ლიგამ.

საკმარისია მოვიგონოთ ის შემთხვევა, როდესაც ლიგის მეხუთე კრების მიერ ჟენევის ოქმის დამტკიცების დროს (1924 წლის 2 ოქტომბერს) კრებამ გადასწყვიტა: წინადადება მიეცეს ლიგის საბჭოს, რომ დაუყოვნებლივ დანიშნოს კომიტეტი სტატუტის იმ ცვლილებათა ტექსტის რედაქციის შესამუშავებლად, რომლებიც ხსენებულმა ოქმმა გამოიწვია.

თუ თქვენ დასთანხმდებით სრულ განიარაღებას და ღირსეულად შეაფასებთ იმ სიკეთეს, რასაც იგი მოიტანს, ან, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, იმ ბოროტებას, რასაც იგი მოსპობს, მაშინ, რასაკვირველია, თქვენ უარს არ იტყვით, რომ მსწრაფლად გადასწიროთ წესდების ესა თუ ის მუხლი.

როდესაც ლაპარაკობენ, რომ ჩვენი პროექტი ეწინააღმდეგება ლიგის წესდებას, რადგან, თუ სამხედრო ძალები მოისპობა, ლიგას საშუალება არ ექნება გამოიყენოს სამხედრო სანქციები,—ავიწყდებათ, რომ ეს სანქციები ნაგულისხმევია იმ შემთხვევისათვის, თუ ერთი სახელმწიფო თავს დაესხმის მეორე სახელმწიფოს, რაც შეუძლებელი იქნება შეიარაღებული ძალების მოსპობის შემდეგ, ხოლო თვით მუხლი სანქციების შესახებ ანაქრონიზმად გადაიქცევა. მე აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ თვით ლიგის წევრთათვის სადავოდ არის გადაქცეული ლიგის ცალკე წევრთა ვალდებულება სამხედრო სანქციებში მონაწილეობის მიღების შესახებ.

საბჭოთა დელეგაცია შეზღუდულად არა სთვლის თავის თავს ლიგის რომელიმე წესდებით თუ დადგენილებით, ამიტომ თავის პროექტში საჭიროდ არ მიაჩნია მათი მიღება მხედველობაში. თუ მე ჩემს თავს ნებას ვაძლევ, რომ კომენტარიები მოვიყვანო ლიგის წესდებიდან და დავემყარო ლიგის ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, ამას მხოლოდ იმისთვის ჩავდიოდი, რომ თქვენი პოზიცია გავიგო და ჩვენი პროექტის მიღების შესაძლებლობა აგიხსნა ლიგის წევრთა თვალსაზრისითაც კი.

რაც შეეხება განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის კომპეტენციას,— ჩვენ ხომ აქ ტეხნიკური სპეციალისტები არა ვართ, ჩვენ ვართ არა მარტო კომისიის წევრები, არამედ მთავრობათა წევრებიც და პასუხისმგებელი წარმომადგენლებიც. თუ კომისიას დავალებული აქვს გამოსძებნოს ნაწილობრივი განიარაღების საშუალებანი და თუ კომისიის წევრები ეტყვიან თავის წარმომადგენლებს, ჩვენ სრული განიარაღების გზას მივაგენითო, საეჭვოა, რომ ამისათვის ვინმემ გაკიცხოს, მით უმეტეს, რომ კომისიის გადაწყვეტილებანი მხოლოდ რეკომენდაციებს წარმოადგენს მთავრობათათვის.

ჩემი ოპონენტები, გარდა დიდ ბრიტანეთის წარმომადგენლისა, აკრიტიკებდნენ ჩვენს პროექტს განიარაღების შესახებ არა იმდენად იმისათვის, რაც პროექტშია, რამდენადაც იმისათვის, რაც მასში არაა. ისინი აღნიშნავდნენ: პროექტი არ ჰქმნის ეკონომიურ უშიშროებას, სოციალურ უშიშროებას, არ უზრუნველჰყოფს სამართლიან მშვიდობიანობას, არ სპობს უნდობლობას ერთა შორის, არ გვიჩვენებს საერთაშორისო სადავო საკითხების გადაჭრის გზასაო,—ერთი სიტყვით, პანაცეას არ წარმოადგენსო. ეს კრიტიკა სამართლიანი იქნებოდა, რომ ჩვენთვის დაევალებიათ ან ჩვენ დაგვესახა მიზნად უნივერსალური საშუალების გამონახვა ადამიანთა საზოგადოების ყველა ბოროტებისა და უარყოფითი მხარის წინააღმდეგ, დაევალებიათ საშუალების გამონახვა იმისათვის, რომ ცრემლისა და ვაების სარბიელი გადაგვექცია საამქვეყნო სამოთხედ. ასეთ საშუალებას ჩვენ თქვენ ვერ დაგისახელებთ, ვინაიდან, რომ დაგისახელოთ, თქვენ მის განხილვასაც კი არ დასთანხმდებით. ჩვენ ვცდილობთ გამოვძებნოთ საშუალება ერთ-ერთი ბოროტების, უდიდესი ბოროტების წინააღმდეგ, ომის კერპის წინააღმდეგ. ჩვენ ვცდილობთ გამოვნახოთ საერთო ენა თქვენთან იმდენად, რამდენადაც თქვენ ამბობთ, რომ ცდილობთ კაცობრიობის ხსნას ამ ბოროტებისაგან. ამ ფართო, მაგრამ მაინც საზღვარდადებულ ფარგლებში, ჩვენი წინადადებანი თავის [illegible] შეეფერება.

„არგუმენტები" ჩვენი პროექტის წინააღმდეგ

ჩვენი პროექტის ზოგადი იდეის წინააღმდეგ მოყვანილი არგუმენტები იმაში მდგომარეობს, რომ ერები ერთმანეთს შეებრძოლებიან ან უიარაღოთ, ან პრიმიტიული იარაღით, ინდუსტრიალური ქვეყნები ომის გაუქმებული იარაღის ნაცვლად მოკლე ხანში შექმნიან ახალ იარაღს და დაიმორჩილებენ სუსტ ქვეყნებსაო. პირველ არგუმენტზე ოპონენტებმა ხელი აიღეს.

მე მინდა მოგაგონოთ, რომ ჩემი წარმომგზავნელი ქვეყანა მოსაზღვრეა რიცხობრივად უძლიერესი სახელმწიფოებისა, სახელდობრ: ჩინეთისა და ინდოეთისა, სადაც მოსახლეობა ასეული მილიონობით ითვლება. მიუხედავათ ამისა, მას არ ეშინია ამ ქვეყნების შეუკავშირებელი მასების შემოსევის. მით უფრო ნაკლები შიში უნდა ჰქონდეთ სხვა ერებს.

კრიტიკას ვერ უძლებს მეორე არგუმენტი, ვინაიდან, სუსტი სახელმწიფოები ახლა, როდესაც ისინი იძულებულნი არიან შეიარაღებული ძალები ჰყოლიონ ძლიერი სახელმწიფოების შეიარაღებული თავდასხმისაგან თავდასაცავად, სრულიად დამოკიდებულნი არიან ძლიერ სახელმწიფოებზე შეიარაღების მხრით. ცოცხალი ძალების მცირე რესურსების გარდა ისინი სუსტნი არიან აგრეთვე ტეხნიკურადაც.

საბჭოთა პროექტი (მუხლები 80-დან 86-დე) წინადადებას იძლევა, რომ მოისპოს სამხედრო მრეწველობა და სამხედრო წარმოების ყველა ელემენტი. მსოფლიო ომის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ძლიერი მრეწველობის ქვეყნებსაც კი 12-დან 20 თვემდე დასჭირდებათ სამხედრო მასალის წარმოების მოსაწესრიგებლად. ახალი შეიარაღება და ახალი არმია მოკლე ხანში ვერ შეიქმნება. მათმა შექმნამ რომ დიდ ხანს გასტანოს, ეს შეუმჩნეველი ვერ დარჩება, თუ კი კარგად მოეწყობა ჩვენი პროექტით გათვალისწინებული საერთაშორისო და ადგილობრივი კონტროლი. ჩვენ ვიცით, რომ ვერსალის ხელშეკრულების შემდეგ სამხედრო წარმოება საკმაოდ საფუძვლიანად შეიზღუდა ისეთ დიდად განვითარებულ სამრეწველო ქვეყანაშიაც კი, როგორიც გერმანიაა, როდესაც გამარჯვებულ მხარეს მხედველობაში ჰქონდა უვნებელი გახადა დამარცხებული მხარე. მით უფრო ადვილი იქნება სამხედრო წარმოების კონტროლი მაშინ, როცა სრულიად მოისპობა სამხედრო წარმოების სათანადო იარაღები. ზემოთდასახელებული არგუმენტების სათავეს წარმოადგენს ღრმა საერთაშორისო უნდობლობა ერთმანეთისადმი საერთაშორისო კონვენციების დაცვის საქმეში. ამ საბუთის მოყვანა კიდევ უფრო მეტის ძალით შეიძლება შეიარაღების შემცირების წინააღმდეგ, ვინაიდან, რა სარგებლობას მოიტანს ის, რომ განიარაღების საერთაშორისო კონფერენციამ (მოსამზადებელი კომისიის მიერ შემუშავებული კონვენციის პროექტიც რომ მიიღოს) საზღვარი დაუდოს თვითეული ქვეყნის ძალების პირად შემადგენლობას და მატერიალურ ნაწილს, თუ კი ჩვენ ეჭვი გვექნება, რომ ამ კონვენციას არ დაიცავენ და დაწესებულ წონასწორობას თავის სურვილისამებრ არ დაარღვევენ. აი ნამდვილად სად არის მოსატანი აქ გამოთქმული შიში სხვადასხვა ქვეყნის უშიშროების შემცირების შესახებ.

პასუხი იტალიის წარმომადგენელს

იტალიის პატივცემული წარმომადგენელი, სხვათა შორის, ამბობდა, რომ საჭიროა არა მარტო ცალიერი მშვიდობიანობა, არამედ სამართლიანი მშვიდობიანობაო. მე დარწმუნებული არა ვარ, რომ მთლიანად გავიგე მისი აზრი. იქნება იმის თქმა უნდოდა, რომ ახლანდელი მშვიდობიანობა უსამართლოა და ცვლილებას საჭიროებს? მაგრამ მშვიდობიანობის შეცვლა მხოლოდ ორი გზით შეიძლება: ომის გზით და არსებულ სამშვიდობო და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებათა გადათვალიერების გზით. რადგან მე უფლება არა მაქვს ვიფიქრო, რომ მას მხედველობაში ჰქონდა ახლანდელი მშვიდობიანობის შეცვლა ძალით, ამიტომ ჩემ თავს ნებას ვაძლევ ვსთქვა, რომ ჩვენი პროექტი სრულებითაც არ უშლის ხელს სამშვიდობო ხელშეკრულებათა გადასინჯვას და მას ამ საკითხის აღძვრა შეუძლია ლიგაში, რომლის წევრადაც იტალიაა, ან სხვა საერთაშორისო კონფერენციაზე ჩვენი პროექტის განხორციელების შემდეგ. თუ მას მხედველობაში არა აქვს მშვიდობიანობის შეცვლა ძალით, მაშინ, ცხადია, შეიარაღებულ ძალების შენარჩუნება ხელშეკრულებათა გადასინჯვისათვის საჭირო არ იქნება.

ახლა მე გადავალ კონვენციის ჩვენი პროექტის ცალკე მუხლების გარშემო გაკეთებულ შენიშვნებზე და დროებით დაუბრუნდები დიდ ბრიტანეთის წარმომადგენლის სიტყვას.

საკითხი დამცველი რაზმის შესახებ

ლორდ კეშენდენმა, უმთავრესად, გააკრიტიკა პროექტის ის მუხლი, რომელშიაც ლაპარაკია დამცველი რაზმის მოწყობაზე. მე უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ ვამჯობინებდით სრულიად არაფერი გვეთქვა საპოლიციო რაზმის შესახებ, მაგრამ, ვიცოდი რა, თუ როგორ მნიშვნელობას ანიჭებენ თქვენი ქვეყნები შინაგანი უშიშროების საკითხს, საკუთრე[illegible] სპეციალური მუხლის შედგენა დაცვის [illegible] შესახებ. ეჭვი არ მეპარება, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მე კიდევ უფრო მეტ საყვედურებს დავიმსახურებდი შეიძლება დიდი ბრიტანეთის იმავე წარმომადგენლის მხრივ იმის გამო, რომ დამავიწყდა ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორიც პოლიციაა. კეშენდენი ცდილობდა გამოეყვანა დასკვნა, რომ ჩვენი პროექტი შეფარდებულია საბჭოთა კავშირის ცხოვრების პირობებთან. სადაც, თითქოს, პოლიცია უკეთაა შეიარაღებული, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ეს არ შეეფერება სინამდვილეს. თუ ლორდ კეშენდენის სიტყვით მის ქვეყანაში პოლიცია მხოლოდ ჯოხებითაა შეიარაღებული, —საჭირო შემთხვევაში, უეჭველია, მის დასახმარებლად შეიძლება გამოწვეულ იქნეს ჯარები. ვინაიდან ჩვენი პროექტის მიხედვით ჯარები უქმდება, ხოლო სასროლი იარაღი უნდა მოისპოს,—ცხადია, დასაშვები იყო პოლიციის შეიარაღების უფლების [illegible] ნაწერები ინგლისურ გაზეთებიდან, რომლებშიაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ პოლიციამ სროლა აუტეხა ირლანდიის ნაციონალისტებს ბელფასტში და ინდოეთის ნაციონალისტებს ბომბეიში და მადრასში,—განაგრძობს:

„ლორდ კეშენდენი, ალბათ, ეხლა დარწმუნდა, რომ შეიარაღებული პოლიცია არსებობს არა მარტო საბჭოთა კავშირში და იმედი მაქვს დამეთანხმება, რომ ჩემი წინდახედულობა პოლიციის შესახებ ზედმეტი არ ყოფილა მისივე თვალსაზრისით.

გზების დაცვა

ლორდ კეშენდენს აგრეთვე აინტერესებდა საკითხი, თუ რატომაა საჭირო მიმოსვლის გზების დაცვა.

დიდი ბრიტანეთის დელეგატს, რათქმა უნდა, ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ მისმა მთავრობამ აუცილებლად უნდა დაიცვას საზღვაო გზები და აგრეთვე კონტროლი გაუწიოს იმ ქვეყნებს, რომლებიც ამ გზებზე მდებარეობენ. ნებას მივცემ ჩემ თავს ვაცნობო მას, რომ თუ საჭირო არაა ხშირი რკინის გზის ქსელის დაცვა,—იმ ქვეყნებში მაინც, სადაც რამოდენიმე ასეული ვერსის მანძილზე არამც თუ ქალაქი, დიდი სოფელიც კი არ არსებობს, თუნდაც ერთი პოლიციელის ყოფნა სადგურზე, მატარებელში მომხდარ ბოროტმოქმედების შემთხვევისათვის მაინც, ვფიქრობ, რომ ზედმეტი არაა.

მაგრამ თუ დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი მოითხოვს შეიარაღებული ძალების მაქსიმალურად შემცირებას საპოლიციო მიზნებისათვის, საბჭოთა დელეგაცია სიამოვნებით შეეგებება ასეთ წინადადებას.

ჰოლანდიის წარმომადგენელმა გამოსთქვა შიში, რომ თუ პოლიცია შეიარაღებულ იქნა მოსახლეობის რიცხვის პროპორციონალურად, უფრო დიდი ქვეყნები მიიღებენ მნიშვნელოვან შეიარაღებულ ძალას, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება სამხედრო მიზნებისათვისაც. საბჭოთა მთავრობას განზრახული აქვს ენერგიულად დაიცვას სუსტ სახელმწიფოების ინტერესები და ამიტომ საბჭოთა დელეგაცია მზად არის შესცვალოს შეიარაღების პროპორცია უფრო სუსტ სახელმწიფოების სასარგებლოდ. უნდა დავძინო, რომ ჩვენი პროექტით გათვალისწინებულ დამცველთა რაზმის ფორმებს არ უნდა ექნეს სამხედრო ორგანიზაციის ხასიათი, პოლიცია უნდა ემორჩილებოდეს ადგილობრივ თვითმმართველობას და მას არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰყავდეს გაერთიანებული სარდლობა.

განიარაღება და მოქალაქეთა თავდაცვა

დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა უყურადღებოდ არ დასტოვა აგრეთვე საკითხი მოქალაქეთა თავდაცვის შესახებ და შეეცადა გაკვრით აღენიშნა, რომ თავდაცვა ესაჭიროება მხოლოდ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთ, ვინაიდან ჩვენი სახელმწიფო თითქოს საკმაოდ ვერ უზრუნველყოფს მათ სიცოცხლეს. ვბედავ დაგარწმუნოთ, რომ საბჭოთა კავშირში მოქალაქენი იარაღს არ ატარებენ და არც ესაჭიროებათ, ვინაიდან ბოროტმოქმედებანი საბჭოთა კავშირში მეტი არ არის, თუ ნაკლები არა, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მოგაგონებთ, რომ საბჭოთა მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენლები მოკლულ იქნენ ფრიად განათლებულ ქვეყნებში. საბჭოთა დიპლომატიურ შიკრიკებს უხდებოდათ ფოსტისა და თავის სიცოცხლის დაცვა ევროპის ქვეყნებში, რომლებიც ერთა ლიგის წევრებად ითვლებიან. ამავე დროს უნდა ვთქვა, რომ თუ დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი შემოიტანს წინადადებას, რომ კერძო მოქალაქეთ სახლებით აეკრძალოს იარაღის ტარება, სანადირო თოფებისაც კი, საბჭოთა დელეგაცია ამაზე დავას არ გამართავს. კეშენდენს ძლიერ სასაცილოდ მიაჩნდა პროექტის ის მუხლი, რომელიც ეხება სამხედრო აღზრდას. არ ვიცი, ასეთივე დაცინვით მოეპყრო თუ არა ის აგრეთვე წინადადებას, რომელიც შეტანილი იყო ერთა ლიგის სხდომაზე 1925 წლის 16 სექტემბერს, და რომელშიაც ნათქვამი იყო: „მორალური განიარაღების მიზნით ერთა ლიგა წინადადებას აძლევს ყველა თავის წევრებს მიიღონ ზომები ისტორიის სახელმძღვანელოების გადასინჯვისათვის, რათა თანდათან შემცირდეს იმ ფურცლების რიცხვი, რომლებიც ამართლებს დამპყრობ ომებს". მე მინდა ვიცოდე, ეთანხმება თუ არა კეშენდენი პრინციპიალურად პროექტის პირველ 86 მუხლს, რომლებშიაც ნაგულისხმევია საყოველთაო განიარაღების პრინციპი. სამწუხაროდ, კეშენდენი აქ გაურბოდა პირდაპირ პასუხს.

დასკვნა

ჰოლანდიის წარმომადგენელმა მკითხა: სასარგებლოდ მიმაჩნია თუ არა ჩვენი წინადადების შემდგომი განხილვა? განხილვა სასურველი და მიზანშეწონილი იქნება, თუ კომისია იტყვის, რომ მიიღებს საყოველთაო განიარაღების პრინციპს. ამ შემთხვევაში მე წინადადებას შევიტან, რომ გადავიდეთ პროექტის მუხლობრივ წაკითხვაზე. ხოლო თუ ძირითადი პრინციპი უარყოფილი იქნება, მაშინ მე დისკუსიის განგრძობის წინააღმდეგ წავალ, რადგან იგი მხოლოდ დროს დაკარგვა იქნებოდა. სიტყვა კომისიას ეკუთვნის. ერთის მხრით, ჩვენი პროექტის კრიტიკა ემყარება იმ ვარაუდს, რომ მიღებული საერთაშორისო კონვენცია აუცილებლად დაირღვევა. მეორე მხრით, როდესაც თავით-ფეხამდე შეიარაღებული ორი მეზობელი პირობას სდებენ, რომ ერთმანეთს არ დაეცემიან, მაშინ ომის შეუძლებლობა სჯერათ. თურმე შეიარაღებული ერები უფრო ნაკლებად არიან ერთმანეთისათვის საშიში, ვიდრე უიარაღონი. ყველაფრის დაჯერება შეიძლება, მაგრამ ამის გაგება კი ძნელია. მე რამდენადმე მაფიქრებს პოლონეთის წარმომადგენლის სიტყვა, რომელმაც განაცხადა, რომ ჩვენი იდეა შეიძლება მაცდური გამოდგეს მხოლოდ ქუჩის კაცისათვის. მილიტარიზმის ლოდის სიმძიმეს ზიდავს და ომის კერპს მსხვერპლად ეწირება სწორედ ეს ქუჩის კაცი, რომელიც ასე უპატივოთ მოიხსენია პოლონეთის წარმომადგენელმა. საბჭოთა დელეგაცია პრეტენზიას არ აცხადებს, რომ იგი საზოგადოების ეგრედწოდებული მაღალი ფენების წარმომადგენელი იყოს. ჩვენ აქ წარმომადგენლები ვართ მუშებისა და გლეხებისა, რომელთა ინტერესები ჩვენთვის გასაგებია, ძვირფასია და მოითხოვენ განიარაღებისა და ომის საკითხის რადიკალურად გადაწყვეტას. რანაირიც უნდა იყოს ჩვენი პროექტის ბედ-იღბალი მოსამზადებელი კომისიის ახლანდელ სესიაზე, ჩვენ კვლავ გვწამს, რომ საყოველთაო და დაუყოვნებლივი განიარაღება მშვიდობიანობის ერთად-ერთი ნამდვილი გარანტიაა, რომელიც ეთანხმება არა მარტო ზოგიერთ იდეალებს, არამედ კაცობრიობის საარსებო თანამედროვე საჭიროებას. თუ აქ ჯერ კიდევ სადავოდ მიაჩნიათ ის უტყუარი ფაქტი, რომ ხალხის ფართო მასების თანაგრძნობა სრული განიარაღების იდეის მხარეზეა, ჩვენ ღრმად გვწამს, რომ შორს აღარ არის ის დრო, როცა ეს თანაგრძნობა მიაღწევს აქ წარმოდროცა ეს თანაგრძნობა მიაღწევს აქ წარმოდგენილ მთავრობათა შეგნება დე და აიძულებს მათ, სულ სხვანაირად მოეკიდონ ჩვენს წინადადებას.

უკანასკნელი ცნობები

საბჭოთა პროექტი უარყვეს.—პანიკა ჟენევის სალაყბოში

ჟენევა, 24 მარტი. 23 მარტის დილის სხდომაზე გრძელდებოდა დისკუსია საბჭოთა პროექტის შესახებ. კამათის დამთავრების შემდეგ კომისიის პრეზიდიუმს შემოაქვს რეზოლიუცია, რომელშიაც აცხადებს, რომ საბჭოთა პროექტი „არ შეეფერება თანამედროვე პირობებს და ის არ შეიძლება მიღებულ იქნას კომისიის მიერ, როგორც ბაზისი შემდგომი მუშაობისათვის“. რეზოლიუცია საჭიროდ ხთვლის გამოყენებულ იქნეს მთავრობების თანხმობით საბჭოთა პროექტის ცალკე პარაგრაფები განიარაღების საერთო კონვენციის პროექტის მეორედ წაკითხვის დროს. ბერნსტორფი (გერმანია) წინადადებას იძლევა ამ რეზოლიუციის მიღება გადადებულ იქნას სესიის ბოლომდე, როდესაც გამოირკვევა კონვენციის მეორედ წაკითხვის საკითხის ბედ-იღბალი. რუშტი-ბეი (თურქეთი) წინადადებას იძლევა საბჭოთა პროექტი გადაეცეს განსახილველად განიარაღების საერთაშორისო კონფერენციას. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების წარმომადგენელი გიბსონი წინააღმდეგია მეორედ წაკითხვის დაწყების და წინადადებას იძლევა მიენდოს თავმჯდომარეს მოსამზადებელ კომისიის შემდეგი სესიის მოწვევის ვადის გამორკვევა. ხვალამის სხდომაზე იმართება ბრძოლა საკითხზე საერთო კონვენციის პროექტის მეორედ წაკითხვის საკითხის გარშემო. ბერნსტორფი მკაცრად მოითხოვს მეორედ წაკითხვაზე დაუყოვნებლივ გადასვლას და აღნიშნავს, რომ გერმანია განიარაღებულია ვერსალის ზავის თანახმად. „მაგრამ ეს—ამბობს ის, წარმოადგენს შეიარაღების საერთო შემცირების პირობას. დღემდე კი ამ საკითხის მოსაგვარებლად არაფერი არ გაკეთებულა. გერმანია ენდო მოკავშირეებს, მაგრამ ეს ნდობა არ გამართლდა“. საფრანგეთის წარმომადგენელი კლოზელი უპასუხებს ბერნსტორფს და უარყოფს იმ ვალდებულებათა იურიდიულ ხასიათს, რომლებსაც ითვალისწინებს ვერსალის ხელშეკრულება შეიარაღების შეზღუდვის საკითხში. საკითხზე კონვენციის მეორედ წაკითხვის და აგრეთვე განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის შემდეგი სესიის მოწვევის ვადის შესახებ ისევ იწყება ცხარე დისკუსია. უპასუხებს რა კლოზელს, ბერნსტორფი ხაზგასმით აღნიშნავს: „ისე, როგორც წინედ ამტკიცებდნენ, რომ განიარაღება შეუძლებელია საბჭოთა კავშირის მონაწილეობის მოუღებლად, ეხლა ამტკიცებენ, რომ განიარაღება შეუძლებელია საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გამო“.

ჯერ კიდევ დილის სხდომაზე პრეზიდიუმმა შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც წინადადებას იძლეოდა, რომ შემდეგი სესიის მოწვევის დროს ნიშნავდეს თავმჯდომარე; რეზოლიუციაში აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ კომისია მოწვეული უნდა იქნეს არა უგვიანეს სექტემბრისა. ამ რეზოლიუციას მხარი დაუჭირეს შეერთებულ შტატების, ინგლისის, იტალიის და საფრანგეთის წარმომადგენლებმა. შუა კამათში ისევ გამოვიდა ამხ. ლიტვინოვი, რომელმაც დაასაბუთა საბჭოთა დელეგაციის დამოკიდებულება იმ რეზოლიუციის პროექტისადმი, რომელიც ეხება სრული და დაუყონებლივი განიარაღების საბჭოთა პროექტს. ამხ. ლიტვინოვმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა დელეგაცია რეზოლიუციაში ხედავს არა მარტო საბჭოთა პროექტის უარყოფას, არამედ თვით სრული განიარაღების იდეის უარყოფასაც.

„ჩვენ ისევ ვფიქრობთ—ამბობს ამხ. ლიტვინოვი,—რომ სრული განიარაღება წარმოადგენს მშვიდობიანობის ერთად-ერთ ნამდვილ გარანტიას. საბჭოთა დელეგაცია, იტოვებს რა უფლებას დაუბრუნდეს თავის პროექტს განიარაღების საერთაშორისო კონფერენციაზე, მზად არის განაგრძოს თანამშრომლობა ნაწილობრივ განიარაღების საფუძველზე; თუმცა, საბჭოთა დელეგაციის აზრით, ნაწილობრივ განიარაღებას არ ძალუძს აღმოფხვრას შეიარაღებული კონფლიქტების შესაძლებლობა, მაგრამ მაინც ამცირებს მილიტარიზმის ტვირთს, საბჭოთა დელეგაციას შემოაქვს ნაწილობრივი განიარაღების თავისი პროექტი და მოითხოვს მის დაუყოვნებლივ მიღებას“.

ამხ. ლიტვინოვის სიტყვა იწვევს საერთო არევ-დარევას. ერთის მხრივ—კომისია მოუმზადებელი აღმოჩნდა საბჭოთა დელეგაციის ასეთ ნაბიჯის შესახვედრად; მეორე მხრივ—დაუყოვნებლივ განხილვის მოთხოვნა არღვევს მთელ გეგმას სესიის დღევანდელი დილის სხდომით დამთავრების შესახებ, ისე რომ არავითარი გადაწყვეტილების გამოტანა არ შეიძლება. თავმჯდომარე ცდილობს თავი დააღწიოს უხერხულ მდგომარეობას; ამ მიზნით იგი აცხადებს, ყოველგვარ დასაბუთების გარეშე, რომ საბჭოთა პროექტი ნაწილობრივი განიარაღების შესახებ არ შეიძლება განხილულ იქნეს ამ სესიაზე და ამიტომ გადადებულ უნდა იქნას მომავალ სესიამდე. ეს განცხადება მკაცრ რეაქციას იწვევს ამხ. ლიტვინოვის მხრიდან, რომელიც პროტესტს აცხადებს საკითხის ამნაირად დაყენების წინააღმდეგ და მოითხოვს ამ საკითხის გადადების მიზეზთა დასაბუთებას.

ამხ. ლიტვინოვი მოითხოვს ყველა დელეგაციების სრულ თანასწორობას და აღნიშნავს, რომ როდესაც შარშან ინგლისის და საფრანგეთის დელეგაციებმა შეიტანეს კონვენციის თავისი პროექტები, ეს პროექტები დაუყოვნებლივ იქნა განხილული. საერთო არევ-დარევა კიდევ უფრო ძლიერდება, როდესაც ბერნსტორფს შეაქვს წინადადება განიარაღების კონფერენციის მოწვევის შესახებ, რაც იქნებოდა მოსამზადებელი კომისიის ლიკვიდაციის მომასწავებელი, სხდომა დიდხანს გრძელდება საღამოზე და გადადებულია დილისათვის. დამახასიათებელია, რომ თავისი ხშირი გამოსვლების დროს ინგლისის წარმომადგენელი ლორდი კუშენდენი აღარ ეხება ამხ. ლიტვინოვს და აღნიშნავს მხოლოდ, რომ „ლიტვინოვის სიტყვა კონვენციის ახალი პროექტის შემოტანის დროს ძლიერ მარჯვედ არის შედგენილი დასახული მიზნის მისაღწევად“. ნაშუადღევის სხდომა ყველაზე უფრო მღელვარე იყო კომისიის უკანასკნელ ოთხ სესიის განმავლობაში. (ადს).

ჟენევის სალაყბოს სრული დაშლა

ჟენევა, 24 მარტი. განიარაღების მოსამზადებელ კომისიის კონფერენციის დღევანდელ დილის სხდომაზე გრძელდებოდა გერმანიის დელეგატის, ბერნსდორფის წინადადების განხილვა განიარაღების საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ. გერმანიის დელეგაცია ენერგიულად იცავდა ბერნსდორფის წინადადებას, მაგრამ, ყველა გამოსული ორატორები, გარდა ამხ. ლიტვინოვისა, ეწინააღმდეგებოდენ ბერნსდორფის წინადადებას; ამ უკანასკნელის მიზანშეუწონლობას ისინი ასაბუთებდენ იმით, რომ მოსამზადებელ კომისიის მუშაობა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული და რომ განიარაღების საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა ჯერ კიდევ საჭიროებს ხანგრძლივ მოსამზადებელ მუშაობას.

პოლონეთ-გერმანია-საბჭოთა კავშირის სარკინიგზო კონფერენცია

ლენინგრადი, 24 მარტი. პოლონეთ-გერმანია-საბჭოთა კავშირის სარკინიგზო კონფერენციაზე დამთავრდა ყველა საკითხების განხილვა. დაიწყო ოქმების შედგენა.

კონფერენციის თავმჯდომარემ და გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარემ გერცბრუხმა, პრესის წარმომადგენლებთან საუბარში აღნიშნა განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობა საბჭოთა დელეგაციის მხრივ, რომელიც ხელს უწყობდა კონფერენციის მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

კონფერენცია დაიხურება 26 მარტს. (ადს)

შემოწირულობა ებრაელთა მიწადმოწყობისათვის

ნიუ-იორკი, 23 მარტი. ცნობილმა ჩიკაგოელმა კომერსანტმა როზენვალდმა 5 მილიონი დოლარი შესწირა ებრაელების სასოფლო - სამეურნეო კოლონიზაციებისათვის ხელის შემწყობ საზოგადოება „ამერიკენ ჯოინტ აგრიკალჩიურელ კორპორეიშინ“-ს—ებრაელთა სასოფ.-სამეურნეო კოლონიებისათვის დახმარების აღმოსაჩენად ყირიმში და უკრაინაში. როზენვალდმა ფული იმ პირობით შეიტანა, რომ ხსენებულმა საზოგადოებამ ამდენივე თანხა გადასდოს ამავე მიზნისათვის. ამრიგად შეწირულების საერთო ჯამი შეადგენს 10 მილიონ დოლარს. ებრაელების სასოფლო - სამეურნეო კოლონიზაციისათვის ხელის შემწყობ საზოგადოების თავმჯდომარე როზენბერგმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს მშრომელ ებრაელთა მიწათ-მოწყობის ამოცანას.

მოსკოვი

ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან

2.000 სავაჭრო დარაბა ამიერ-კავკასიაში

მოსკოვი, 24 მარტი. უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია კერძო ვაჭრების შეკვეცა საცალო ბაზარზე. ამავე დროს სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციის ორგანოები სათანადოთ ვერ აფართოებენ თავიანთ სავაჭრო ქსელს, რომ ნაცვლად ბაზარზე დაიჭირონ კერძო კაპიტალის ადგილი.

ვაჭრობის საკავშირო კომისარიატმა ამის გამო გადასწყვიტა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სახელმწიფო ვაჭრობის გაძლიერებას საცალო საქონლის ბაზარზე. ამ მიზნით მიმდინარე წელს საცალო და საწვრილმა[illegible]ბა ამიერ-კავკასიაზედაც, სადაც აგებული იქნება 2.000 ახალი სავაჭრო დარაბა-ფარდულები. დარაბა-ფარდულების დამზადება უნდა მოხდეს სტანდარტული წესით.

სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატი იმედოვნებს, რომ ამ საქმეში მას დახმარებას გაუწევენ ადგილობრივი ორგანოები და მათ შორის, პირველ ყოვლისა, ქალაქის საბჭოები.

მოსკოვის გაზეთები საქართველოს სახკინმრეწვის სურათების შესახებ

მოსკოვი, 24 მარტი. უკანასკნელ ხანებში მოსკოვის კინო-თეატრებში უჩვენებდნენ საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობის სურათს—„მთის კანონს“.

მთელ რიგ გაზეთებმა მოათავსა ხისტი კრიტიკა აღნიშნულ სურათის შესახებ. საერთო დასკვნა ასეთია: „მთის კანონი“ წარმოადგენს ყარაჩაელთა ყოფა-ცხოვრების სრულ დამახინჯებას; სურათში აშკარად გამოსჭვივის საქართველოს სახკინმრეწვის უკანასკნელ სურათებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი მავნე მიდრეკილება ყალბი ეფექტებისადმი—ხანჯლის ტრიალი, სისხლის წყურვილი და რომანტიული აბრეკიზმი (ყაჩაღობა). სურათს ყარაჩაის სუნიც კი არ უდის.

დაარსდა საზოგადოება „საბჭოთა ტურისტი“

მოსკოვი, 24 მარტი. აქ მოეწყო და უკვე შეუდგა მუშაობას ახალი საზოგადოება „საბჭოთა ტურისტი“. საზოგადოების ძირითადი თანხა უდრის 650.000 მანეთს. „საბჭოთა ტურისტი“ მიზნად ისახავს მეტი გეგმიანობა [illegible] იგი.

პირველ რიგში „საბჭოთა ტურისტი“ აწყობს ექსკურსიებს საქართველოში, სომხეთში, აზერბეიჯანში, ყირიმში და მდინარე ვოლგაზე.

ისლამოვის ქალის თვითმკვლელობის გარშემო

მოსკოვი, 24 მარტი. რამდენიმე ხნის წინად თავი მოიკლა სტუდენტმა კომკავშირელმა ქალმა ისლამოვამ. გარდაცვალებულმა დასტოვა ბარათი, სადაც ლაპარაკია მწერალთა ფედერაციის მდივანის მწერალ ალტშულერის მიერ ჩადენილ შეურაცხმყოფელ საქციელზე.

დაღუპულ ისლამოვის ქალის წერილმა დიდი აღშფოთება გამოიწვია ლიტერატურულ და მუშათა წრეებში. საქმეში ჩაერია ხელისუფლების ორგანოები. დაპატიმრებულია მწერალი ალტშულერი, რომელსაც ბრალად ედება ისლამოვის ქალის გაუპატიურება. ალტშულერის გარდა ამ საქმის გამო დაპატიმრებულია პოეტები: ანოხინი და ავრუშენკო.

შრომის კონფლიქტების გადაჭრის წესი

მოსკოვი, 24 მარტი. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წინადადება შრომის კონფლიქტების გადაჭრის წესის გამარტივების შესახებ. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილების თანახმად, შრომის კონფლიქტების დიდი უმრავლესობა, განსაკუთრებით წარმოებებში, გადაჭრილ უნდა იქნეს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში. კერძოთ, შემფასებელ საკონფლიქტო კომისიაში უნდა ირჩეოდეს აუცილებლად კონფლიქტები, რო[illegible] შობის გაცდენის დროს, ზედმეტ საათებში მუშაობისათვის და სხვ... შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილებები საბოლოოა და არ შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ამავე დროს მიიღო, რომ დათხოვნის საფუძველზე წარმოშობილ კონფლიქტების გადაჭრის დროს, მუშებს და მოსამსახურეებს უნდა ექნეთ უფლება საქმის გასარჩევად აირჩიონ ინსტანცია ან შემფასებელი საკონფლიქტო კომისია, ან სასამართლო ორგანოები. დათხოვნის საქმეებზე მუშებმა და მოსამსახურეებმა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში განცხადება უნდა შეიტანონ შვიდი დღის განმავლობაში ქალაქში და არა უგვიანეს 14 დღისა სოფელში. დანარჩენ საქმეებზე—არა უგვიანეს 3 თვისა. შემოტანილ განცხადებებს შემფასებელი საკონფლიქტო კომისია არჩევს 3 დღის განმავლობაში განცხადების შემოტანიდან (ადს).

საგაზაფხულო თესვის სამზადისი

ჩრდილოეთ კავკასიიდან მიღებულია სათესლე ხორბლეულის პირველი პარტია

თამბაქოს ნათესების სივრცის გაფართოება

თესვის კამპანიის წინასწარი შედეგები

გუშინ საღამოს ამიერ-კავკასიაში თესვის კამპანიის რწმუნებულის ამხ. ბაგიროვის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად და თესვის კამპანიის წინასწარ შედეგებთან გასაცნობად. თათბირმა მოისმინა ცნობა, რომ ჩრდილოეთ - კავკასიიდან ამიერ - კავკასიაში გამოგზავნილია 40.000 ფუთი სათესლე ქერი და მიღებულია დეპეშა, რომ დამატებით გამოგზავნილი იქნება სათესლე მასალების ახალი პარტია.

ამხ. ბაგიროვის წინადადებით თათბირმა დაადგინა მიღებული ქერი განაწილოს ა.-კ. რესპუბლიკებს შორის შემდეგნაირად: საქართველოს—20.000 ფუთი, სომხეთს—12.000 ფუთი, ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკას—5.000 ფუთი და აზერბეიჯანს—3.000 ფუთი. ამასთანავე თათბირმა დაადგინა სომხეთსა და საქართველოს შორის განაწილოს ჩრდილოეთ-კავკასიიდან მიღებული საქონლის საკვები. ამ საკვებიდან საქართველოს დაზარალებულ რაიონებისათვის გადადებულია 25 ათასი ფუთი ჩალა, ამდენივე მიეცემა სომხეთს.

კამპანიის წინასწარი შედეგები

თათბირზე ცალკე მოხსენება იყო გაკეთებული საგაზაფხულო თესვის კამპანიის წინასწარი შედეგების შესახებ მთელ ამიერ-კავკასიაში. მოხსენებაში აღნიშნულ იქნა ის ღონისძიებები, რომლებიც გამომუშავებულია ამიერ-კავკასიაში საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარების მიზნით და ის მიღწევები, რომლებიც ადგილი აქვს კამპანიის ჩასატარებლად გაწეულ მუშაობაში. ასე მაგალითად, მოგვარებულია კრედიტების გაცემის საქმე, წარმატებით მიმდინარეობს საქონლის საკვების შეძენა, ყალიბდება სასოფლო-სამეურნეო მანქანათა შესაკეთებელი სახელოსნოების მოწყობის საქმე და სხვა.

მოხსენების შემდეგ თათბირმა გაარჩია წარმოდგენილი სადირექტივო ხასიათის ღონისძიებათა პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს ენერგიული ზომების მიღებას, რათა კამპანიის ჩასატარებლად დაწყებული მუშაობა არ შესუსტდეს, განსაკუთრებით პროვინციებში, მაქსიმალური მიზანშეწონილობა იყოს გამოჩენილი კრედიტების განაწილების და დარიგების დროს; სათემო, დარია და სამაზრო სამეულები სისტემატიურად უნდა აწოდებდენ ინფორმაციას რესპუბლიკანურ სამეულებს და მიღებული უნდა იქნეს წინასწარი ზომები, რომ საშემოდგომო თესვის კამპანია დაიწყოს წინასწარი ვარაუდით.

დასასრულ თათბირმა მოისმინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს თესვის კამპანიისათვის დაწყებული სამზადისი საქართველოს და აზერბეიჯანის ზოგიერთ დამახასიათებელ მაზრებში.

საქ. მიწსახკომის კომისარიატის ღონისძიებები

მინერალური სასუქის შეძენა

სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მინერალური სასუქების შესაძენად მიწსახკომს გადასცა 20.000 მანეთი. მიწსახკომმა ამ თანხიდან ლაგოდეხის რაიონში 257 ჰექტარი მიწის გასანოყიერებლად მინერალური სასუქებით გადასდო—10.350 მან., სამეგრელოში, გურიაში და აჭარისტანში 444 ჰექტარი მიწის გასანოყიერებლად—6.350 მანეთი და ბორჩალოს მაზრაში 98 ჰექტარის გასანოყიერებლად—3800 მანეთი.

მინერალური სასუქებით უმრავლესად განოყიერებული იქნება ტექნიკურ კულტურებისათვის გამოყოფილი მიწები.

მაღალხარისხოვან თესლეულის მისაღებად

მიწსახკომმა დაავალა სამაზრო აგრონომიულ ორგანიზაციებს წელს გამოყონ და სპეციალურად დაამუშაონ ცალკე მიწის ნაკვეთები სიმინდის და ლობიოს მაღალხარისხოვან თესლის მისაღებად.

დამუშავებული იქნება აგრეთვე მიწის რამდენიმე ნაკვეთი ჯიშიან ბალახების თესლეულის მისაღებად.

დამატებითი კრედიტები თესლეულობის შესაძენად

გაზაფხულის თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა საჭიროდ სცნო თესლეულობის შესაძენად გადადებულ 120.000 მანეთის გარდა, დამატებით იქნეს გადადებული 80.000 მანეთი.

საქონლის საკვები

დიდი ზამთრის გამო დაზარალებულ მაზრებისათვის საქონლის საკვების მისაწოდებლად მიწსახკომმა დამატებით გამოითხოვა 70.000 მანეთი.

თესლეულობის დარიგება

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში მყოფ აჯამეთის საცდელ-სანერგებელმა სადგურმა გლეხებს შორის უკვე გაანაწილა 875 ფუთი თეთრი სიმინდის თესლი, 70 ფუთი ყვითელ სიმინდის თესლი, 97 ფუთი ძაძა ლობიოს და 44 ფუთი მიწის თხილი.

შემკეთებელი სახელოსნო

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა დაადგინა ქალაქ ონში მოაწყოს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შემკეთებელი სახელოსნო.

მდგომარეობა აგრონომიულ პუნქტებზე

თელავის მაზრა

თელავის მაზრის აგრონომიულმა პუნქტებმა უკვე მოამზადეს (შეაკეთეს და გასუფთავეს) თავიანთი სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომელიც საჭიროა ხვნა-თესვის კამპანიის ჩასატარებლად. სამაზრო აღმასკომის აგრონომიულმა განყოფილებამ უკვე მიიღო ახალი სათესი მანქანები, რომელიც უკვე განაწილებულია აგრონომიულ პუნქტებს შორის. გლეხობა მიწის მუშაობას შეუდგა თებერვლის შუა რიცხვებიდან, მაგრამ მარტის ამინდებმა ხელი შეუშალა. მიუხედავად ამისა ზოგიერთ ადგილებში გლეხებმა მაინც დაამთავრეს მიწების დაგეგმვა ახალი ვენახის ჩასაყრელად.

სამხრეთ-ოსეთში

მთელ სამხრეთ-ოსეთის აგრონომიულ პუნქტებზე ამჟამად მიმდინარეობს აგრონომიული პროპაგანდა, რომლის მიზანია გლეხობას შეუთვალებინოს ყანების თესვა გაწმენდილი თესლით. სათესლე მასალა გლეხობისათვის უკვე მომარაგებულია. დაბლობ ადგილებში განზრახულია ყანები დაიხნას გუთნით, ხოლო მთიან ადგილებში სახნისით. პუნქტები გლეხებს აწვდიან სათეს მანქანებს, ფარცხებს, კულტივატორებს და სხვ.

თამბაქოს ნათესების სივრცე გადიდებული იქნება

[illegible] ვაჭრობის სახალხო კომისარიატში შესდგა, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის, ს. მ. უ. ს. საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს, „სოფლის კავშირი“-ს, თამბაქოს ტრესტის და „ტაბაკსინდი“-ს წარმომადგენელთა თათბირი.

ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ გასულ წელს თამბაქოთი დათესილი იყო არა საკმარისი სივრცე, რის გამო თამბაქოს მოსავალმა მთლიანათ ვერ დააკმაყოფილა ადგილობრივი მრეწველობის და ექსპორტის მოთხოვნილება.

[illegible] თათბირმა საჭიროთ სცნო [illegible] ბის სივრცე აფხაზეთში აყვანილი იქნეს 120.00 დესეტინამდე, ლაგოდეხში—1,200 დესეტინამდე; სამეგრელოში—600 დესეტინამდე; გურიაში—250 დესეტინამდე და აჭარისტანში—200 დესეტინამდე.

თათბირზე აღნიშნულ იქნა, რომ მომავალი წლის მთელ მოსავალზე მიღებულია მოთხოვნილება როგორც ადგილობრივ და ცენტრალურ მრეწველობისაგან, აგრეთვე ექსპორტიორებისაგანაც. თათბირმა დაადგინა, რომ საჭიროა მეთამბაქოეთ მიეცეს ავანსი დამუშავების ხარჯების 30 პროცენტის რაოდენობით.

სკოლების მონაწილეობა თესვის კამპანიაში

გაზაფხულის თესვის კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად განათლების სახალხო კომისარიატმა ამხ. მარიამ ორახელაშვილის ხელმოწერით სამაზრო განათლების განყოფილებებს სახელმძღვანელოდ დაუგზავნა შემდეგი შინაარსის ცირკულიარული წერილები:

პარტიისა და ხელისუფლების მიერ სოფლად მომუშავე პარტიულ, საბჭოთა, მიწადმომქმედებისა და კოოპერატიული ორგანიზაციების წინაში დასმულია მიმდინარე მომენტისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც თესვის კამპანიის ღირსეულად ჩატარებაში მდგომარეობს.

ამ ამოცანის ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარება უნდა დაუკავშირდეს მე-15 პარტყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ, რადგან მიმდინარე თესვის კამპანია მიზნად ისახავს, უღარიბეს გლეხობისათვის დახმარების აღმოჩენით ხელი შეუწყოს სოფლად სოციალისტური ელემენტების ზრდას. თესვის კამპანიის ღირსეულად გატარება მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც ამ უაღრესად საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე კამპანიის ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს სკოლები, მასწავლებლობა და ერთი სიტყვით მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა.

კამპანიის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებმა, სოფლის ახალგაზრდობის სკოლებმა, სასოფლო-სამეურნეო სკოლებმა და სასოფლო-სამეურნეო განხრით 9 წლედებმა, ამისათვის საჭიროა ამ სკოლების მოწაფეებთან წინასწარ დამუშავებულ იქნას ყველა ის პრაქტიკული ხასიათის საკითხები, რომლებიც თესვის კამპანიის ჩატარებისათვის აუცილებელია.

ცირკულიარში ჩამოთვლილ ღონისძიებების მიხედვით: სკოლის აქტივი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ყველა იმ ღონისძიებათა გასატარებლად ცხოვრებაში, რომელთაც იღებენ ადგილობრივი ორგანიზაციები თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად.

სოფლის ახალგაზრდობის სკოლების, სპეცტექნიკუმებისა და სასოფლო-სამეურნეო სკოლების აგრონომების ხელმძღვანელობით მოეწყობა მოკლე ვადიანი კურსები გლეხობისათვის, სადაც გარკვეული იქნება ყველა ის საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია თესვის კამპანიის ჩატარებასთან.

სკოლა არკვევს ადგილობრივ ნიადაგის შემადგენლობას და შემდეგ მოხსენებების, საუბრების და კედლის გაზეთის საშუალებით ურჩევს გლეხობას ესა თუ ის სასუქის (ნაკელი, მინერალური სასუქი, ნაცარი, კირი, გიჯი და სხვა) შეტანას; მიუთითებს ყოველ კერძო შემთხვევაში მის რაოდენობას მიწის ერთეულზე და შეტანის წესზე.

არკვევს რა თესლის გაწმენდის (ცოცხალი და არა ცოცხალი ნარევი) მნიშვნელობას—მოსახლეობის წინაშე, თვით უშუალოდ, ან აგრონომიულ პუნქტებთან ერთად, შველის მოსახლეობას თესლის გადარჩევაში მანქანების ან უბრალო საცრების შემწეობით, უღარიბეს გლეხობისათვის კი მთლიანად თვითონ აწარმოებს ამ საქმეს.

არკვევს თესლის აღმოცენების უნარიანობის საკითხს და პრაქტიკულად ეხმარება მოსახლეობას ამ საქმეში.

არკვევს მწკრივად თესვის უპირატესობას მობნევით თესვასთან შედარებით; სადაც შესაძლებელია და იშოვება სათესი მანქანა, ატარებს მუშაობას უღარიბეს გლეხების მიწის ნაკვეთებზე.

საჭიროა სკოლამ ფართო კამპანია ჩაატაროს ძირნაყოფა (შაქრის და საკვები ჭარხალი, კარტოფილი და სხვა. და ტექნიკურ მცენარეთა მოშენების შესახებ.

სკოლა ხელს უწყობს ნაადრევი ბოსტნეულის მიღების თვალსაზრისით მოსახლეთა შორის სათბურების მოწყობას, თვით აწყობს სათბურებს, გამოჰყავს ადრეული ბოსტნეულის ნერგი და ავრცელებს მოსახლეთა შორის უფასოდ ან ხელმისაწვდომ ფასებში.

აწყობს უჯიშო მცენარეების სანერგეებს, წარმოებს მათ მყნობას და უფასოთ ([illegible] ბეს გლეხებისათვის) ან იაფ ფასებში აწვდის გლეხობას.

არკვევს ადგილობრივ მინდვრის და ბოსტნის კულტურათა ავადმყოფობას და ფართოთ აცნობს მოსახლეობას. აწყობს ამ ავადმყოფობათა მებრძოლ საზოგადოებას და თვით უშუალო მონაწილეობას იღებს მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ფართოდ აცნობს მოსახლეობას ხეხილის [illegible] ბრძოლის საშუალებას.

ფართოდ აცნობს მოსახლეობას გამანადგურებელ გაზაფხულის ყინვების წინააღმდეგ საბრძოლო საშუალებებს და თვით პრაქტიკულად დახმარებას უწევს ქვრივებს, წითელ არმიელთა ოჯახებს და ღარიბ გლეხკაცობას.

ყველა ამ მუშაობის ჩატარებაში მთავარი სამუშაო უნდა დაეკისროს უფროსი ჯგუფის მოწაფეებს, როგორც უფრო მეტად მომზადებულებს. დაბალი ჯგუფის მოწაფეები კი ამ მუშაობაში მონაწილეობენ მხოლოდ უფროსი ჯგუფის მოწაფეთა ხელმძღვანელობით.

საერთოდ მთელი მუშაობა ისე უნდა იქნას წარმოებული, რომ თვითეული მოწაფე არა მარტო პროპაგანდის, არამედ წარმოებითი მუშაობის სახით მონაწილეობას ღებულობდეს ამ თესვის კამპანიაში.

სკოლების მონაწილეობა თესვის კამპანიის ჩატარების დარგში უნდა სწარმოებდეს ადგილობრივი, პარტიული, საბჭოთა და კოოპერატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

კოოპერაციის როლი სესხის [illegible] საქმეში

(წინადადების სახით)

სოფლის მეურნეობის გაძლიერება-განმტკიცება ერთ-ერთი საფუძველია კოოპერაციის ორგანიზაციულად გაძლიერებისა და ფინანსიურად მოღონიერების. ამიტომ კოოპერაციამ უეჭველად ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს და ყოველგვარ საშუალებებს მიმართოს იმ სახელმწიფოებრივ საშინაო სესხის ობლიგაციების გასაღებაში, რომელიც ხშირად გლეხის მეურნეობის განმტკიცებას ემსახურება.

1927—28 საოპერაციო წელში გამოიცა ორი სახელმწიფოებრივი საშინაო სესხი: ინდუსტრიალიზაციის 200 მილიონი მან., რომელიც საბჭოთა რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაციის საქმეს ემსახურება და მეორე სოფლის—100 მილიონი მან., რომელიც სოფლის მეურნეობის განმტკიცების საქმეს ეხმარება.

პირველის რეალიზაცია უკვე მოხდა, ხოლო მეორის განაღდება ეხლა მიმდინარეობს. ყველა კოოპერატორს მართებს მხურვალე და აქტიური მონაწილეობის მიღება ამ სესხის ობლიგაციების გასაღების საქმეში.

იყო დრო, როდესაც სახელმწიფო მნიშვნელოვან თანხებს აძლევდა კოოპერაციას დასახმარებლად, მაგრამ ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც კოოპერაცია ჯერ კიდევ სუსტი იყო, მოუწყობელი ორგანიზაციულად, სუსტი ფინანსიურად და იმავე დროს კი ამოცანები ისეთი ქონდა მიცემული, რომლის გადაჭრა ამ უკანასკნელს თავისი საკუთარი თანხებით არ შეეძლო. ამ შემთხვევაში საჭირო და აუცილებელი იყო სახელმწიფო დახმარებოდა მას თავის საკუთარი თანხებით, მიეცა შეღავათები გადასახადებში. მისცემოდა საშუალება ტრანსპორტით იაფად სარგებლობისთვის, რომ ამით ფეხზე მოღონიერებულიყო ეკონომიურად და განმტკიცებულიყო ორგანიზაციულად.

საბჭოთა ხელისუფლების უხვი დახმარების შედეგად კოოპერაცია საერთოთ და კერძოდ სამომხმარებლო გაიზარდა ორგანიზაციულად, განმტკიცდა ფინანსიურად და შეიქნა მნიშვნელოვანი ფაქტორი ჩვენი სახალხო მეურნეობისა.

დღეს კი კოოპერაციას მართებს პირიქით გაუწიოს დახმარება სახელმწიფოს იმ მუშაობაში, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებს ჩვენი მეურნეობის აღსადგენად და განსამტკიცებლად. ასეთი დახმარება იქნება კოოპერაციის მხურვალე მონაწილეობა სახელმწიფოებრივი შინაგანი სოფლის სესხის ობლიგაციების გასაღებაში. უნდა გამოინახოს ისეთი საშუალებები, რომელიც ხელს შეუწყობს ხსენებული სესხის რეალიზაციას.

კერძოდ ამ წერილის მიზანია მოუთითოთ ერთ გარემოებაზე, რომლის განხორციელება საკმაოდ დიდ დახმარებას მოგვცემს ამ საქმეში.

უკანასკნელი წელი კოოპერაციისათვის ხასიათდება განსაკუთრებით იმით, რომ მნიშვნელოვნად იზრდება მისი საკუთარი თანხები და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ეს გახლავთ საკუთარი თანხების ზრდა, რაც ხდება საპაიო თანხის ზრდის ანგარიშზე.

ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს, რომ მშრომელმა ხალხმა ღრმად შეიგნო კოოპერაციის სარგებლიანობა და კერძოდ ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს კოოპერაციის გაძლიერების საქმეში საპაიო თანხის ზრდას. დღეს მშრომელი ხალხი საზოგადოებრივ მოვალეობათ სთვლის აუცილებლად გახდეს კოოპერაციის წევრი, ან და დაფაროს თავისი საპაიო დავალიანება, რითაც იზრდება მნიშვნელოვნად კოოპერაციის საპაიო თანხები.

დღეს უკვე მიზანშეწონილად არის აღიარებული და ბევრგან პრაქტიკული ნაბიჯებიცაა გადადგმული იმ მხრივ, რომ სოფლის კოოპერატივებში საპაიო ანარიცხი გადიდდეს ათ მანეთამდე, ხოლო ქალაქებში 15 მანეთამდე. ასე რომ იმათაც, ვისაც გადახდილი ქონდათ საპაიო თანხა, უხდებათ დამატებითი ანარიცხების გაღება.

ამ შემთხვევაში გლეხობა უფრო მეტი ხალისით შეიძენს ობლიგაციას, თუ მისგან კოოპერატივი მიიღებს ასეთს საპაიო თანხის ანგარიშში, ეს მოგვცემს მეტის-მეტად ნაყოფიერ შედეგს, როგორც სესხის ობლიგაციების გასაღებაში, ისე საპაიო თანხების გაზრდაში.

ჩემი პრაქტიკული წინადადებაა კოოპერატივებმა მიიღონ გლეხობისაგან საპაიო თანხის დასაფარავად სოფლის სესხის ობლიგაციები. ამ მხრივ უნდა მიმართონ თავისი მუშაობა მათ, ვისაც დღეს სოფლად კოოპერაციაში მუშაობა უხდება.

ამით კოოპერაცია მიაღწევს ოთხ მიზანს: 1. გაუწევს დახმარებას გლეხობას იმ მხრივ, რომ მას წაახალისებს ობლიგაციების შეძენაში; 2. დაეხმარება სახელმწიფოს სესხის რეალიზაციის საქმეში; 3. გაიზრდება კოოპერაციის წევრთა რიცხვი და 4. გადიდდება საპაიო თანხები.

ობლიგაცია კი კოოპერტივის ხელში მოწმობს მის მონაწილეობას გლეხის მეურნეობის განმტკიცების საქმეში. თვით ობლიგაცია, ეს იგივე თამასუქია, რომელიც ნაღდდება დანიშნულ დროზე, იძლევა საბანკო კანონიერ პროცენტს და აგრეთვე იმედს მნიშვნელოვან თანხის მიღებისას.

მაშასადამე კოოპერაციამ ჯერ ერთი თავის საკუთარი თანხებით უნდა შეიძინოს ობლიგაციები და მეორე—მიიღოს ასეთი თავის წევრებისაგან ან არაწევრებისაგან საპაიო ანარიცხების ანგარიშში.

მრ. ნიჟარაძე.

ა.-კ. გასაღებულია 1.800.000 მანეთის ობლიგაცია

ამიერ - კავკასიის ფინსახკომის ცნობებით, 23 მარტამდი აზერბეიჯანში გასაღებულია 1.050.000 მანეთის ობლიგაცია და სომხეთში 280.000 მანეთის. ცუდი ამინდების გამო საქართველოს [illegible] კუთხეებიდან 23 მარტისათვის ცნობები არ მოსულა, მაგრამ მიუხედავად ამისა შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში გასაღებულია 500.000 მანეთის ობლიგაცია მაინც. ამრიგად, მთელ ამიერ - კავკასიაში გასაღებულია 1.800.000 მანეთზე მეტი ობლიგაციები. (ადს).

სესხის რეალიზაცია საქართველოში

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში საქართველოს ფინსახკომის სავალუტო სამმართველოს უფროსმა ნ. ქოიავამ სესხის რეალიზაციის შესახებ საქართველოში განაცხადა:

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციას საქართველოში მრავალი დაბრკოლებები გადაეღობა წინ. ეს უმთავრესად აიხსნებოდა ცუდი ამინდებით.

მარტის პირველი ათი დღე ამინდის მხრივ უაღრესად ცუდი იყო. თბილისი მოწყვეტილი [illegible] თოვლით გამოწვეულ სტიქიურ უბედურებას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა სესხის რეალიზაციაზე. გარდა ცუდი ამინდებისა, ადგილი ქონდა მთელ რიგ სხვა მიზეზებსაც, რომლებმაც შეაფერხეს სესხის რეალიზაცია. ამ მხრივ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ადგილებისათვის ობლიგაციების თავის დროზე და საჭირო რაოდენობით არმიწოდება. დიდი დაყოვნების შემდეგ, ობლიგაციების პირველი პარტია მიღებული იყო 7 მარტს.

ეს ობლიგაციები მაშინვე გადაეგზავნა მაზრებს, მაგრამ მათ, ყველა ზემოდ ჩამოთვლილ მიზეზების გამო ვერ შესძლეს მათი გავრცელება 15 მარტამდე.

ამგვარად, სესხის რეალიზაციის ეს 15 დღე ჩატარდა ობლიგაციების ნაკლებობის პირობებში.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის კამპანიის ერთ მთავარ ნაკლად უნდა ჩაითვალოს სამაზრო ცენტრების სუსტი კავშირი ადგილებთან იქაც კი, სადაც ამას ხელს არ უშლიდა ცუდი ამინდი.

ყველა დეფექტების წინააღმდეგ საქართველოს ფინსახკომის მიერ მიღებულია გადამჭრელი ზომები.

მიუხედავად ზემოდ აღნიშნულ დაბრკოლებებისა, 1-დან—15 მარტამდე საქ. ფინსახკომს [illegible] სესხის რეალიზაციიდან შემოვიდა 100—130 ათასი მანეთი. სულ კი კამპანიის დაწყებიდან მოკიდებული უკანასკნელ ხანებამდე შემოსული თანხა უდრის 500.000 მანეთს.

ეხლა კამპანიის მიმდინარეობაში ადგილი აქვს გარდატეხას საქმის გაუმჯობესებისაკენ. [illegible] მაზრიდან მოდის ცნობები მუშაობის გაცხოველების შესახებ. კერძოდ, აჭარისტანში უკვე დაფარულია თანხა, რომლის ფარგლებში უნდა გასაღებულიყო იქ სესხი; სესხის რეალიზაციის საქმეში აჭარისტანი ყველაზე წინ მიდის.

ძლიერად მიმდინარეობს კამპანია თელავის და ახალქალაქის მაზრებში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ—სთქვა დასასრულ ამხ. ქოიავამ, რომ იმ თანხას, რომელიც გათვალისწინებულია ჩვენი რესპუბლიკისათვის შევაგროვებთ სრულად.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

დისკუსია განიარაღების საბჭოთა პროექტის გარშემო.—გამოაშკარავებული სიყალბე.—გერმანიის კაპიტალი და საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია.—მექრთამე მინისტრის სიცრუე.

ჟენევაში შეკრებილი „მშვიდობის მოყვარე“ იმპერიალისტები დიდ გასაჭირს განიცდიან; ამხ. ლიტვინოვის გამოსვლამ მათ ერთიანად აურია დავთარი. მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნების წარმომადგენელთა ცდა იმთავითვე იქითკენ იყო მიმართული, რომ მიეჩქმალათ განიარაღების საბჭოთა პროექტი მისი გადაცემით კომისიაში „დასამუშავებლად“. ინგლისელ ლოუდენის განცხადება განიარაღების კომისიის სესიის გახსნაზე, რომ საბჭოთა პროექტი „მეტად საინტერესოა და მისი ზედმიწევნით განხილვა დიდ სარგებლობას მოიტანს“-ო, სწორედ იმ მიზანს ისახავდა, რომ კომისიაში დაემარხათ ჩვენი პროექტი, მაგრამ ისე კი, რომ მოეხდინათ შთაბეჭდილება, თითქო იმპერიალისტები თანაგრძნობით ეკიდებიან ნამდვილ განიარაღების წინადადებას.

მაგრამ ამ ფანდმა არ გასჭრა.. ამხ. ლიტვინოვმა შეუბრალებლად ამხილა ერთა ლიგის და მისი ორგანოების „საკომისიო მუშაობის“ მთელი არარაობა და პირდაპირ დასვა საკითხები: თანახმაა თუ არა განიარაღების კომისია, რომ თავის საქმიანობას საფუძვლად დაუდვას პრინციპი საყოველთაო განიარაღებისა ჩვენ მიერ განსაზღვრულ ვადის განმავლობაში; სურს თუ არა მას ფაქტიურად გატარდეს განიარაღება ისე, რომ ერთი წლის განვლის შემდეგ გაძნელდეს მაინც, თუ შეუძლებელი არ შეიქნა, ომის წარმოება. ამხ. ლიტვინოვმა მოითხოვა ამ ნათელ და კონკრეტულ კითხვებზე გადაჭრილი პასუხის გაცემა ეხლანდელ სესიაზე.

ამის შემდეგ იმპერიალისტებისათვის მოუხერხებელი გახდა ჩვენი წინადადებების განხილვის გადადება, მით უმეტეს, რომ გერმანიის და ოსმალეთის დელეგატებმა, თუმცა სულ სხვა მოტივებით, ვინემ ჩვენ, მხარი დაუჭირეს ამხ. ლიტვინოვს. უკვე თავის თავად ის ფაქტი, რომ განიარაღების კომისიის სესია იძულებული გახდა გაეხსნა საჯარო კამათი საბჭოთა პროექტის გარშემო, ნიშნავს საბჭოთა მთავრობის უდიდეს გამარჯვებას.

ეს გამარჯვება უფრო გამოაშკარავდა კამათის დროს. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ინგლისის წარმომადგენლის ლორდ კუშენდენის გამოსვლა. მისი ბრაზით და საბჭოთა კავშირისადმი სიძულვილით აღსავსე სიტყვამ ფარდა ახადა იმპერიალისტებს. პირველ ყოვლისა ის აღშფოთებულია, რომ საბჭოთა პროექტი „ყოველთვის ლაპარაკობს ხალხების შესახებ და ერთხელაც არ იხსენიებს ერთა ლიგას, რომელიც უკვე ოთხი წელიწადია მუშაობს განიარაღების საკითხზე და რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს საყოველთაო მშვიდობიანობის უზრუნველყოფა“. გასაგებია, რომ კუშენდენს ეშინიათ ხალხების, რომელთაც განიარაღება და მშვიდობიანობა სწყურიათ; ისინი, რა თქმა უნდა, არჩევენ მასების ზურგს უკან აჭახრაკონ თავისი ბნელი საქმეები, შეიარაღებაზე თვალთმაქცური ლაპარაკით დაფარონ შეიარაღება და ომისათვის მზადება.

კუშენდენს თავი მოაქვს ერთა ლიგის მუშაობით განიარაღების დარგში. რაში გამოიხატება ეს მუშაობა? ამხ. ლიტვინოვმა თავის სიტყვაში აღნიშნა: „ერთა ლიგის საერთო კრებებისა და ერთა ლიგის საბჭოს გარდა, რომელთაც განიხილეს განიარაღების საკითხი თავის 38 სესიაზე, სხვადასხვა კომისიებმა და ლიგის სხვა ორგანოებმა, რიცხვით არა ნაკლებ 14-ისა, ამ საკითხს მოანდომეს 120-ზე მეტი სესია, — დაიმახსოვრეთ: არა 120 სხდომა, არამედ 120 სესია; ამასთან მხოლოდ ერთა ლიგის საერთო კრებამ და ერთა ლიგის საბჭომ განიარაღების საკითხის შესახებ გამოიტანეს 111 რეზოლიუცია. როცა ვათვალიერებთ ამ, თავისი მოცულობის უდიდესი მუშაობის შედეგებს, რომლის აღწერას უჭირავს მრავალი ათასი ფურცელი, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ არც ერთი რამოდენადმე სერიოზული ნაბიჯი არ გადადგმულა განიარაღების განხორციელებისათვის“ აი, ერთა ლიგის მუშაობის ნაყოფი. უამრავი კრებები, სხდომები და ბუნდოვანი რეზოლიუციები და მათი საშუალებით განიარაღების საკითხის დაბნელება - გართულება — ასეთია ერთა ლიგის „მოღვაწეობის“ სურათი. ცხადი არ არის, რომ ერთა ლიგა არც ისახავს მიზნად განიარაღების საქმის ოდნავად წინ წაწევას და რომ მას ეს არც შეუძლია. მაგრამ კუშენდენები, რომელთათვის ერთა ლიგის „სამშვიდობო“ მუშაობა მასების მოტყუილების საშუალებაა, ცხადია, სიმართლეს ამ მკვდარად შობილ ორგანიზაციაზე ვერ მოინელებენ.

უფრო საგულისხმოა კუშენდენის სხვა „არგუმენტები“ საბჭოთა პროექტის წინააღმდეგ. ის ამბობს: „საბჭოთა პროექტი ითვალისწინებს საერთაშორისო ომების მოსპობას, მაგრამ არაფერს არ ამბობს სამოქალაქო ომზე“-ო. ეს „საბუთი“ კაპიტალისტების ერთ-ერთი საუკეთესო თვითმხილებაა. მათი ბატონობა ხიშტებს ემყარება, შეიარაღებული ძალა მათ ესაჭიროებათ მშრომელ მასების დასამონებლად. არა ნაკლებ საგულისხმოა კუშენდენის შემდეგი განცხადება: „არსებობენ განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ერები, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ მეზობლებისათვის სრული განიარაღების შემთხვევაში“-ო. გარკვეულითაა ნათქვამი, ისე გამოდის. თითქო იმპერიალისტები თავდაცვის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ „განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ერების“ მიმართ და შეიარაღებული ძალები მათ ესაჭიროებოდეთ ამ ერების შემოსევის ასაშორებლად. ნამდვილად კი, რა თქმა უნდა, მდგომარეობა სულ სხვანაირია. დიდ კაპიტალისტურ ქვეყნების მონობის უღელ ქვეშ გმინავენ ურიცხვი კოლონიალური ხალხები, რომელთა განთავისუფლებელ მოძრაობის ასალაგმავად იმპერიალისტებისათვის აუცილებელია ჯარები, დრედნოუტები და სამხედრო ჰაეროპლანები.

კუშენდენი ბოლოს, მოითხოვს, საბჭოთა პროექტის „დაწვრილებით დამუშავებას“ და მის გადაცემას ცალკე მთავრობებისათვის დასკვნის გამოსატანად. „ეს ხანგრძლივი პროცედურაა — ამბობს ის, მაგრამ განიარაღების განხორციელება შეიძლება მხოლოდ ევოლიუციის გზით“-ო. ჩვენ ვიცით, ამ „ევოლიუციის“ ღირებულება; ერთა ლიგის მუშაობა, რომლის დახასიათება ამხ. ლიტვინოვის მიერ ზევით გვქონდა მოყვანილი, ნათელ ფენს მას.

ამხ. ლიტვინოვმა ამხილა საბჭოთა პროექტის მოწინააღმდეგეთა თვალთმაქცობა. ცოტად თუ ბევრად რიგიანი ბურჟუაზიული პრესაც კი აღნიშნავს კუშენდენების გამოსვლის სრულ დამარცხებას და საბჭოთა დელეგაციის ბრწყინვალე გამარჯვებას. მეორე მხრით განახლდა გააფთრებული კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგ., ფრანგული რეაქციონური „ჟურნალი დე-დება“ სწერს, რომ თითქო „საბჭოთა კავშირი სამხედრო საფრთხეს წარმოადგენს განაპირა ქვეყნებისათვის. ამ ქვეყნების ინტერესებისათვის და ევროპაში წესრიგის შენარჩუნების მიზნით სახელმწიფოები უნდა დარჩენ შეიარაღებულნი“-ო. ყველაზე უფრო აღსანიშნავი ის არის, რომ სოციალ-დემოკრატიული „ფორვერტს“ სათავეში ჩაუდგა ანტისაბჭოთა კამპანიას; ის სავსებით ემხრობა კუშენდენს და აცხადებს, რომ საბჭოთა პროექტი მხოლოდ პროპაგანდის მიზნითაა შედგენილი. რას ნიშნავს პროპაგანდა ამ შემთხვევაში? განა განიარაღების და მშვიდობიანობის პროპაგანდა განსაკიცხია. განიარაღების კომისიის ტრიბუნა ამ მხრივ საუკეთესო და შესაფერ ადგილს არ უნდა წარმოადგენდეს! მაგრამ „ფორვერტს“ და სხვა რეაქციონური გაზეთები იმ აზრს ატარებენ, რომ თითქო საბჭოთა მთავრობას ნამდვილად არ სურდეს განიარაღება და ის იმპერიალისტურ ზრახვებს ატარებდეს. ამ ცილისწამების გაბათილება ზედმეტია. ჩვენ უკიდურესობამდე შევამცირეთ ჩვენი შეიარაღებული ძალები, მიუხედავად მტრული კაპიტალისტების გარემოცვისა. თუ ვინმეს კიდევ უნდა ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკის შემოწმება, დეე, მიიღონ იმპერიალისტებმა განიარაღების საბჭოთა წინადადება და ყველა დაინახავს, თუ ვინ განახორციელებს მას და ვინ არა.

იმპერიალისტები და მათი აგენტები „ფორვერტს“-იდან საქვეყნოთ ამჟღავნებენ, რომ განიარაღება მათთვის მხოლოდ ცარიელი სიტყვაა და რომ ნამდვილი მშვიდობიანობის დამცველი მხოლოდ საბჭოთა მთავრობაა. ამ მხრივ ჟენევაში გამართულ დისკუსიას უდიდესი მნიშვნელობა ექნება მშრომელ მასების კლასობრივ გათვითცნობიერებისა და დარაზმვისათვის.

⁂

„ზინოვიევის წერილი“-ს გარშემო თემთა პალატაში გაიმართა კამათი, რომელსაც დიდი ხანია მოელოდნენ. მუშათა პარტია მოითხოვდა ამ „წერილი“-ს ისტორიის გამოსაძიებლად საპარლამენტო კომისიის დანიშვნას. არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ მუშათა პარტიისათვის ამ საკითხის წამოყენება იყო მხოლოდ საარჩევნო მანევრი. 1924 წ. კონსერვატორებმა ამ ყალბი დოკუმენტის წყალობით მოიპოვეს არჩევნებში გამარჯვება, ეხლა კი მუშათა პარტია შეეცადა მის გამოყენებას კონსერვატორებისათვის სახელის გასატეხად მომავალ არჩევნების მოლოდინში.

როგორც მოსალოდნელი იყო, თემთა პალატამ მთავრობის პარტიის და ლიბერალების ხმებით უარყო მუშათა პარტიის მოთხოვნა. ბოლდუინის მთავრობამ ამით დაამტკიცა, რომ მას ეშინია საქმის გამოკვლევის, ვინაიდან ამ გამოკვლევას შეეძლო კონსერვატორებისათვის არა სასიამოვნო შედეგის მოტანა. თუნდაც ის ეწარმოებია საპარლამენტო კომისიას, რომელიც საჭირო მიუდგომლობას ვერ გამოიჩენდა და ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრების საკუჭნაოდან მთელი ნაგავის საქვეყნოდ გამოტანას არ მოისურვებდა.

აღსანიშნავია ბოლდუინის გამოსვლა „ზინოვიევის წერილი“-ს შესახებ. მან კვლავ განიმეორა სიყალბე „ზინოვიევის წერილი“-ს ვითომდა სინამდვილის შესახებ. ბოლდუინი აცხადებს, რომ თითქო საბჭოთა მთავრობამ „ზინოვიევის წერილი“-ს წარმოშობის გამოკვლევა მოითხოვა მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ, როცა მან შესძლო მისი ორიგინალის მოსპობა. ამ სიცრუეს გაბათილებაც არ ესაჭიროება, რამდენადაც უდავო ფაქტია, რომ საბჭოთა მთავრობამ მაშინვე, როგორც კი განაცხადა, რომ „ზინოვიევის წერილი“ ყალბია, წინადადებით მიმართა ინგლისის მთავრობას შექმნილიყო კომისია საკითხის გამოსაკვლევად. ბოლდუინი იმოწმებს ვიღაც „ჯენტლმენ“ იმტერნს; ბოლდუინის თქმით, „ზინოვიევის წერილი“ ამ ჯენტლმენს გადასცა ინგლისის კომპარტიისთან ვითომც დაახლოვებულ მეორე „ჯენტლმენმა“, რომელმაც თითქო დაადასტურა ამ დოკუმენტის სინამდვილე. გამოსვლა ასეთი „არგუმენტაციით“, რომელიც ქუჩაში მოკრეფილი ჭორია, შეუძლია მხოლოდ ბოროტმოქმედებაში ჩაჭერილ ადამიანს, რომელიც თავის გადასარჩენად ხავსს ეჭიდება. მაინც ვინ არის ეს იმტერნი? გამორკვეულია, რომ ის კონსერვატორების შინაური კაცია და კონტრ-დაზვერვის აგენტი. აბა რა ფასი შეიძლება ჰქონდეს მის ჩვენებას!

მთელი რიგი უტყუარი მასალებით დიდი ხანია დამტკიცებულია „ზინოვიევის წერილი“-ს სიყალბე. ცნობილია მისი შემთხზველიც. ბოლდუინის უკანასკნელმა უსუსურმა განმარტებამაც ფარდა ახადა კონსერვატორების აფიორას. კონსერვატორები შუბლიდან ვეღარ მოიშორებენ „მოშენიკების“ დაღს. მეორე მხრით, ვერც მაკდონალდი მიჩქმალავს თავის სამარცხვინო როლს „ზინოვიევის წერილი“-ს ისტორიაში ის ეხლა „აღშფოთებულია“ არჩევნების „დემოკრატიულ პრინციპების“ დარღვევის გამო, რაც გამოიხატა ყალბ დოკუმენტის გამოყენებაში არჩევნების დროს. მაგრამ ვერავინ დაივიწყებს, რომ სწორედ მაკდონალდმა, რომელიც მაშინ მთავრობის თავმჯდომარედ იყო, გაასაღა „ზინოვიევის წერილი“ ნამდვილ დოკუმენტად, მკაცრი ნოტით მიმართა საბჭოთა მთავრობას და ამით ხელი შეუწყო როგორც კონსერვატორების მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას, ისე ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გართულებას.

⁂

გერმანია-საბჭოთა ურთიერთობა რომელიც გართულდა ეკონომიურ კონტრ - რევოლიუციაში მონაწილე რამოდენიმე გერმანელ ინჟინერის დაპატიმრებასთან დაკავშირებით, კვლავ იწვევს გაცხოველებულ კომენტარიებს. უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ საბჭოთა სამოსამართლო - საგამომძიებლო ორგანოების მიერ შეთქმულებაში მონაწილე გერმანელ ინჟინერების დაპატიმრება მხოლოდ საბაბი იყო და არა ნამდვილი მიზეზი გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო მოლაპარაკების შეჩერებისათვის, მით უმეტეს, რომ არა ლოიალობას გერმანიის მიმართ და გერმანელ მოქალაქეთა შესახებ. ორივე მხარეს შორის არსებულ შეთანხმების დარღვევას საბჭოთა მთავრობის მხრით არ ჰქონია ადგილი, წინააღმდეგ, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და ზოგიერთი გაზეთების მტკიცებისა.

ინციდენტი გერმანიის მესვეურთა მხრით ნაკარნახევია სულ სხვა მოსაზრებებით. „ჟურნალი დე-დება“ სწერდა ჟენევაში ბერნსტორფის გამო: გამოსვლა „აქარწყლებს ყოველგვარ იმედს, რომ გერმანელ ინჟინერების დაპატიმრება გამოიწვევს ურთიერთობის ჩაშლას ბერლინსა და მოსკოვს შორის“-ო. „იმედის გაქარწყლებას“ შემდეგ შევეხოთ. აქ კი აღვნიშნავთ, რომ იმპერიალისტები ცდილობენ გერმანიის ჩაბმას ანტი-საბჭოთა ბლოკში და ამისათვის ყოველ შემთხვევის გამოყენებას.

თვით გერმანიის მთავრობის პოზიციას ნათელს ჰფენს გუშინდელი დეპეშები. საბჭოთა კავშირს მტკიცეთ აქვს გეზი აღებულ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ. გერმანიის კაპიტალი კი მოწადინებულია საბჭოთა კავშირი იყოს მისი აგრარული დამატება, რომ ჩვენი ბაზრის მუდმივი და სრული დაპყრობის, საბჭოთა კავშირის ეკონომიურ დამონების საშუალება ჰქონდეს. ამასთან დაკავშირებით ის ილაშქრებს ჩვენი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ, რომელიც მას ხელს უშლის თავისუფლად და უკონტროლოდ შემოიჭრას საბჭოთა კავშირში. არიან აგრეთვე მრეწველთა ზოგიერთი ჯგუფები, რომელნიც დაახლოვებული არიან სხვა ქვეყნების კაპიტალისტურ რეწვებთან და რომელთაც სურთ მთლიანი ეკონომიური ფრონტის შექმნა საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებაში. ყველაფერი ეს გავლენას ახდენს გერმანიის საგარეო პოლიტიკაზე საბჭოთა კავშირის მიმართ; გერმანიის მთავრობა ცდილობს გვაიძულოს დათმობებზე გერმანიის კაპიტალის ხსენებულ მისწრაფებათა განსახორციელებლად.

მაგრამ ამავე დროს გერმანიაში ძლიერია ის სამრეწველო ჯგუფებიც, რომელნიც სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებული ჩვენთან, აღებ-მიცემობის შენარჩუნება-გაფართოებაში. გარდა ამისა, მთლიანად მთელი გერმანიის სამეურნეო და პოლიტიკურ მდგომარეობის განმტკიცებისათვის აუცილებელია საბჭოთა კავშირთან ნორმალურ დამოკიდებულების განვითარება. გერმანიის ხელმძღვანელებს სინამდვილე დაარწმუნებს, რომ ჩვენზე ზეგავლენის მოხდენის ცდები უნაყოფოა, რომ ამ გზით ისინი მხოლოდ დაკარგავენ იმ დიდ სარგებლობას, რომელსაც გერმანიას დღემდე უეჭველად აძლევდა საბჭოთა კავშირთან მოწესრიგებული ურთიერთობა.

⁂

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების ფინანსთა მინისტრს მელონს დაუმტკიცდა წაყენებული ბრალდება, რომ მან კაპიტალისტ სინკლერისაგან ქრთამათ აიღო 50 მილიონი დოლარი იმისთვის, რომ სინკლერს ხელი შეეწყო ნავთის ხელსაყრელ კონცესიის მიღებაში. მელონმა ამ ბრალდების გაბათილება ვერ შესძლო,—მან მხოლოდ იმით „იმართლა“ თავი, რომ აღებული ფული თითქო უკან დაუბრუნა სინკლერს. ამ ბრალდებასთან დაკავშირებით სენატორმა კუზენსმა სენატში შეიტანა რეზოლიუცია მელონის გადაყენების შესახებ. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ არ მოველით ამ წინადადების მიღებას. მელონი ალბად კვლავ დარჩება მინისტრად მექრთამეობის ლაქით შუბლზე. მექრთამეობა ამერიკის (და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნების) თანამდებობის პირთა შორის ისეა გავრცელებული, რომ მელონს ხელს დააფარებენ მისი კოლეგები მთავრობის წრეებიდან, რომელთაც ამ მხრივ არა ნაკლები სტაჟი აქვთ.

ასეთი „პატიოსანი“ კაცისაგან, როგორიც მელონია, ყოველგვარ სხვა სისაძაგლეცაა მოსალოდნელი. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს მისი დამოკიდებულება ამერიკაში გადაგზავნილ საბჭოთა ოქროს საკითხისადმი. მელონმა „კატეგორიულად“ განაცხადა, რომ „ჩრდილოეთ-ამერიკის გარეშე საქმეთა სამინისტრო, დაწყებული 1920 წლიდან, უარს აცხადებდა მიიღო სასინჯო პალატაში ან ზარაფხანაში ოქრო საბჭოთა კავშირიდანო“. ფაქტი სულ სხვას მეტყველებს, როგორც ამხ. შეიმანმა აღნიშნა შტატების ფინანსთა სამინისტრომ 1922 წ. მოხსნა აკრძალვა საბჭოთა ოქროს შეტანაზე და მიიღო საბჭოთა მთავრობისაგან 10 მილიონ დოლარზე მეტი ამერიკულ პურის საფასური. ამ განცხადების სიმართლე დაადასტურეს „ამერიკულ დახმარების ასოციაციის“ ხელმძღვანელებმაც. ამგვარად, მელონი დაჭერილია ტყუილში. მელონის მოხელეები ამაოდ ცდილობენ მის გამოყვანას უხერხულ მდგომარეობიდან, როცა ამტკიცებენ, რომ საბჭოთა ოქროს მიღება 1922 წელს გამოწვეული იყოს „მომენტის განსაკუთრებული გარემოებებით“-ო. ეს მხოლოდ მელონის სიცრუის აღიარებაა და სხვა არაფერი.

საერთოდ საბჭოთა ოქროს ამერიკაში მიღების საკითხი კვლავ მწვავედ სდგას. საგულისხმოა ამერიკის სარეზერვო ბანკის დირექტორის სტრონგის განცხადება, რომ ოქრო დაუბრკოლებლივ უნდა ტრიალებდეს ყველა ერების შორის. აქედან სჩანს, რომ შტატების მთავრობის პოზიციას ერთგვარი მერყეობა ამჩნევა საბჭოთა ოქროს მიღების საქმეში. უეჭველია, ამ დარგში დაბრკოლებების შექმნა მეტად შეაფერხებს ამერიკა-საბჭოთა ვაჭრობას, რაც საგრძნობ ზიანს მიაყენებს თვით ამერიკის ეკონომიკას, სტრონგის განცხადება თითქო იმას მოწმობს, რომ ამერიკის სამრეწველო სავაჭრო წრეების ზეგავლენით ვაშინგტონის მთავრობა იძულებული გახდება შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც გააადვილებენ ორივე ქვეყანას შორის აღებ-მიცემობას.

მ. კ—ლი.

კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

ამომრჩევლებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სექციების მუშაობის შეფასებაში

საღი კრიტიკა საუკეთესო საშუალება სექციების შემდგომი მუშაობის სწორ ნიადაგზე დასაყენებლად

როგორ მუშაობდნენ საბჭოთა სექციები

ფოთის საბჭო
(წერილი ფოთიდან)
ჯანმრთელობის სექცია

სექციის შემადგენლობა შეფარდებულია სექციის მუშაობის შინაარსთან. სექციაზე მიმაგრებულია მხოლოდ დელეგატი-ქალები, მხოლოდ მიმდინარე წლის ორი მარტიდან. სხვა ორგანიზაციებიდან სექციებზე არავინ არაა მიმაგრებული.

სექციის წევრთა რიცხვი თავიდანვე უდრიდა 26. სხვადასხვა მიზეზებით გამოაკლდა 4. სექციის წევრთა უმრავლესობა საბჭოს წევრებია. აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობის სექციას ბიურო გამოუყვია, შედარებით სხვა დღემდე გამოკვლეულ სექციებზე ადრე—გ. ა. გასული წლის 28 დეკემბერს.

ბიურო წინასწარ იხილავდა სექციაში გასარჩევ საკითხებს. ამუშავებდა სექციის სხდომებისათვის დღის წესრიგს. ბიუროს აქვს სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვით აწარმოებს მუშაობას, რაც ბიუროს მუშაობაში მიღწევად უნდა ჩაითვალოს. აქვს ნაკლიც: ფრიად მნიშვნელოვანი სამუშაო არის გათვალისწინებული გეგმაში, ეს წევრთა აქტივობის აღრიცხვა, სისრულეში კი მოყვანილი არ არის. არ არის დაცული გეგმით გათვალისწინებული სექციის სხდომების მოწვევა თვეში ერთხელ. ბიუროს გეგმაში არის აღსანიშნავი ის გარემოება რომ ბიურო თავის თავზე იღებს, სექციის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებაზე მეთვალყურეობას. ბიუროს დეკემბერში აქვს გამოტანილი დადგენილება სექციის სხდომების წარმოებებში მოწყობის შესახებ, რაც არ შესრულებულა 19 მარტის სხდომამდე.

ფრიად მნიშვნელოვანია სამუშაო გეგმაში შეტანილი მუხლი: სექციის სხდომაზე სისტემატიურად ისმებოდეს საკითხი ამა თუ იმ დაწესებულების მუშაობის შესახებ და გამოკვლევის შედეგებზე, რაც სისწორით ტარდებოდა. ბიუროს სხდომა საანგარიშო ხნის განმავლობაში მოწვეულია 4 ჯერ. გარჩეულია 21 საკითხი. სექციის სხდომა საანგარიშო ხნის განმავლობაში მოწვეული ყოფილა 10 ჯერ. არ შემდგარა 4-ჯერ სექციის წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო. საჭირო ზომები ამ არანორმალობის აღმოსაფხვრელად თავის დროზეა მიღებული. სექციის სხდომებზე გარჩეულია 24 საკითხი.

სხდომებზე იხილავდენ გეგმას და ხარჯთაღრიცხვას, ისმებოდა საკითხები: ჯანმრთელობის დაწესებულებათა კეთილმოწყობის, დაწესებულებათა გამოკვლევების შედეგების და წარმოებათა გამგეების მუშაობის შესახებ. წარმოების რაციონალიზაციის, სანიტარული, ორგანიზაციული და სხვა.

სექციის მუშაობაში მიღწევებთან ერთად არის ნაკლიც: ჯანმრთელობის დაწესებულებებთან სექციის წევრების დაახლოების მიზნით, გამოუყვიათ წარმოებების დამთვალიერებელი 4 კომისია, დათვალიერება კი არ მომხდარა. იყო შემთხვევა სექციის სხდომებს თავმჯდომარეობდა განყ. გამგე, რაც დებულებას ეწინააღმდეგება. დღეს ეს ნაკლი გასწორებულია. პირველ ხანებში სექციის წევრთა აქტივობა მოისუსტებდა, 1927 წ. ოქტომბრიდან აქტივობა თანდათან იზრდება. ეს გარემოება დაადასტურა სექციის წევრებთან ცოცხალ აზრთა გაცვლა-გამოცვლამ. იყო შემთხვევა სექციაში ადმინისტრატიული გადახრის. ჯერ ბიურო და შემდეგ სექცია ა.-წ. 5 თებერვ. თარიღით ოქმი № 9. იხილავს ბებიაქალის საკითხს, რომელსაც დაზღვეულ ავადმყოფისგან ორდერიც აუღია და ფულიც და ადგენს: „ვინაიდან ქალს ამის უფლება არ ჰქონდა და ამისათვის მიეცეს მას გაფრთხილება, რომ მეორეთ არ განმეორდეს"-ო.

სექციის წევრთა დასწრება სხდომებზე საშუალოდ უდრის 56,8 პროც. სექციის სხდომებზე სექციის წევრები აქტიურად მონაწილეობენ საკითხების დასმით, კამათში მონაწილეობის მიღებით, შესწორებებით და მითითებათა მიცემით.

ილ. ჟვანია.

სენაკის საბჭო
(წერილი სენაკიდან)
საფინანსო სექცია

საფინანსო - საგადასახადო სექციაში ირიცხება 9 წევრი. მათგან 6 მოსამსახურეა და 3 გლეხი. გასული წლის აპრილიდან დღემდე სექციის სხდომა მოწვეული იყო 6. შესდგა 4. გაარჩია 12 საკითხი.

ამომრჩეველთაგან საბჭოს საფინანსო დარგში მიცემული ქონდა ნაკაზი: ქალაქის ბიუჯეტის სწორად გატარება. მომავალი წლის ბიუჯეტის შედგენა და საჭიროების დროს სესხის საკითხების მოგვარება.

სექცია ამ ნაკაზის შესრულებისათვის იღებდა სათანადო ზომებს. მაგრამ არა მარტო ეს საკითხი აკმაყოფილებდა მას, არამედ ის ცდილობდა ქალაქისთვის საშემოსავლო წყაროების გამონახვას, რომ ამით ქალაქის ბიუჯეტის მდგომარეობა გაეუმჯობესებინა.

ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ სექციამ ა) გამოიმუშავა ქალაქის ფარდულების საიჯარო ნიხრი; ბ) აიყვანა აღრიცხვაზე ქალაქის ფარგლებში ყველა მსხვილფეხა საქონელი მათზე გადასახადების დასადებათ ქალაქის სასარგებლოდ, თანახმად საქ. ფინსახკომის ინსტრუქციისა 1927 წლის 12 მარტიდან; გ) ქალაქის სასტუმროში შემოღებული იქნა სტუმრების რეგისტრაციისთვის ათი შაური გადასახადი; დ) გადამუშავებულ იქნა ქალაქის 1926—27 წლის ბიუჯეტი; ე) შეადგინა 1927-28 წლის ბიუჯეტი.

გარდა ამისა სექცია ყურადღებას აქცევდა იმ დაწესებულებათა ფინანსიური მდგომარეობის გამოკვლევას, რომელიც ეკუთვნოდა ქალაქს. ამ მიზნით მიმაგრებულ იქნენ სექციის წევრები პოლიკლინიკასა და [illegible] სადგურის ფინანსიური მდგომარეობის გამოსარკვევად.

უნდა ითქვას, რომ საფინანსო - საგადასახადო სექციამ არა მარტო შეასრულა ამომრჩეველთა მიერ მიცემული ნაკაზი, არამედ მან თავისი ინიციატივით შესძლო გამოენახა ზოგი ერთი შემოსავლის წყაროები ქალაქისათვის და აგრეთვე მიაქცია ყურადღება ფინანგარიშების სწორად წარმოებისათვის, იმ დაწესებულებებში, რომელთაც აქვთ საკუთარი შემოსავალი და ექვემდებარებიან ქალაქის აღმასკომს.

ამ დადებით მხარეებთან ერთად ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ საფინანსო - საგადასახადო სექციის ნაკლიც. ეს გახლავთ შემდეგი:

სექციის ბიურო

სექციის ბიუროს არ ქონდა მტკიცედ წინასწარ განსაზღვრული სხდომის დრო. ამის მიზეზია სხდომების სიმცირე: თერთმეტი თვის განმავლობაში მხოლოდ 4 სხდომა შედგა. ამ საქმეში სექციის ბიუროს ევალებოდა მეტი აქტივობის გამოჩენა.

ანგარიშის ჩაბარება

არც ერთხელ არ ყოფილა შემთხვევა, რომ სექციის ბიუროს თავის მუშაობის შესახებ ანგარიში ჩაებარებინა სექციის მთლიანი სხდომისათვის.

სექციის ბიუროს ამავე დროს არ უზრუნვია, რომ სექციის მუშაობაში ჩაება აგრეთვე საბჭოს არა - წევრებიც.

ნაკლად უნდა ჩაეთვალოს ბიუროს აგრეთვე ისიც, რომ ის არავითარ ზომებს არ იღებდა სექციის იმ წევრთა მიმართ, რომელნიც დღიდან არჩევისა თითქმის არც ერთი სხდომას არ დასწრებიან. სექციის ორი წევრი სრულიად არ დასწრებია არც ერთ სხდომას.

ამ ნაკლთა გამოსწორებისათვის საფინანსო-საგადასახადო სექციის ბიურომ მომავალში უნდა მიიღოს გადამწყვეტი ზომები.

ბანი.

საგარეჯოს თემსაბჭო
(წერილი საგარეჯოდან)
კულტურულ-საგანმანათლებლო სექცია

საგარეჯოს თემ-საბჭოსთან სხვა სექციათა შორის არსებობს კულტ-საგანმანათლებლო სექციაც, რომელშიაც ითვლება 14 წევრი. ამ რიცხვში ოთხი ქალია. სამი კომკავშირის წევრი დანარჩენნი უპარტიოები. სოციალური მდგომარეობის მხრივ ყველანი მოსამსახურენი არიან—საშუალო და უმაღლესი ცოდნით. ჩვენ აქ ვერ ვხედავთ გლეხებს. გლეხურ ქალებს, და საბჭოს არა წევრებს, როგორიც ეს დანარჩენ სექციებშია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სექციაში მთლიანად მოსამსახურენი არიან და ამასთანავე მასწავლებლებიც, რომელთა მუშაობა სანიმუშო და სამაგალითო უნდა იყოს სხვა სექციებისათვის—ასეთი მუშაობა არა სჩანს.

დღევანდლამდე სექციამ გამართა მხოლოდ სამი სხდომა, რომელზედაც ესწრებოდა წევრთა 80 პროცენტი. სულ გარჩეულია 10 საკითხი. აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყველა საკითხები სექციის სხდომისათვის თემ-აღმასკომის მიერ ყოფილა მზად-მზარეულად შემუშავებული, რაც სრულიად უკარგავს და უსვამს ხაზს სექციის მუშაობა-დანიშნულებას.

სექციის სხდომებზე იშვიათია რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი სექციის წევრთა მიერ წამოყენებული. არამც თუ სერიოზული საკითხი, არამედ მიმდინარე საკითხებშიაც არაფერი სჩანს. გარდა ამისა სექციის სხდომის ოქმები თემ-აღმასკომში თავის დროზე არ იგზავნება. ხშირად 2—3 თვე არის საჭირო, რომ სხდომის ოქმმა თემ-აღმასკომი იხილოს. ეს გარემოება კი ხელს უშლის სხდომის მიერ გამოტანილ რაიმე დადგენილებებზე თავის დროზე მიღებას.

მთელს მაზრაში სამაგალითოდ ითვლება საგარეჯოს თემი თავისი საქმიანობით. აქ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაც ფართოდ არის გაშლილი. ადგილობრივი გლეხობა საკმაოდ გამოფხიზლებულია და მათი კულტურული მოთხოვნილებაც დიდია. კულტურულ დარგში ბევრი რამ კეთდება, ბევრი ნაკლიც არის მოსაგვარებელი, მაგრამ კულტსექციის ხელი ბევრგან არა სჩანს. არ არის ინიციატივა, თვითინიციატივა, თვით მოქმედება რომ ეს ასე არ იყოს, ალბად კულტურული სექციის მუშაობა სათანადო სიმაღლეზე იდგებოდა, მით უმეტეს ისეთ თემში, როგორიც საგარეჯოა, სადაც ბევრი გაკეთებულია და ბევრიც გასაკეთებელია,

სექცია თავის სამ სხდომაზე ისმენდა საანგარიშო მოხსენებებს თანახმად თემ-აღმასკომის მიერ გამომუშავებულ დღის წესრიგს, თეატრის, სკოლის, სამკითხველოს და სხვათა შესახებ, რომელთაც ეძლეოდათ სათანადო პრაქტიკული მითითებანი, რომლის ცხოვრებაში გატარებამ გამოაცოცხლა კულტურული მუშაობა. ადგილობრივ 9 წლედი, რომელიც დიდ სივიწროვეს განიცდის შენობის მხრივ და სადაც 2 წყებად უხდებათ მუშაობა —სექციამ გამოძახა ახალი შენობის ასაგებად შესაფერი ადგილი,

მომავლისათვის საჭიროა აღნიშნულ ნაკლის თავიდან აცილება: სხდომების სისტემატიურად მოწვევა, სექციის მუშაობაში ღარიბ და საშუალო გლეხობის, გლეხ-ქალების ჩაბმა, სხვადასხვა განსახილველ საკითხების თვით სექციის წევრთა მიერ წამოჭრა, სხდომების ოქმების თავის დროზე გადაგზავნა თემ-აღმასკომში განსახილველად, სექციის მუშაობაში ჩაბმა საბჭოს არა წევრებისა. ადგილობრივ სახ. თეატრის შეკეთება და ფასიანი რეჟისორის გამოძებნა, ადგილობრივ კულტ-დაწესებულების, სამკითხველოს, კლუბის შელამაზება- გამშვენიერება, რადიოს მუშაობისათვის ხარჯების გამონახვა, სასკოლო მუშაობის მოწესრიგება და სხვა.

რაც შეეხება თემ-აღმასკომის ხელმძღვანელობას, უნდა ითქვას რომ ყოფილა შემთხვევა, სექციის თავმჯდომარეთა საგანგებო თათბირების მოწვევისა, მაგრამ დღემდე მაინც ვერ დადგა კულტსექციის მუშაობა მტკიცე და ურყევ ნიადაგზე. საჭიროა თემ-აღმასკომმა მომავალში მეტი ზომები მიიღოს კულტ-სექციის მუშაობაზე, რათა მათი სხდომები მხოლოდ ფორმალურ მხარეს არ ატარებდეს.

ადგილობრივი.

სხვავას თემსაბჭო
(წერილი რაჭიდან)
სექციების მუშაობა

სხვავას თემსაბჭოსთან ჩამოყალიბებულია შემდეგი სექციები: განათლების, საამშენებლო, საგზაო, საფინანსო-საგადასახადო და სამეურნეო.. საბჭოს წევრთა გარდა სექციებზე მიმაგრებული არიან აგრეთვე ღარიბ და საშუალო გლეხობის, ინტელიგენციის და კომკავშირის აქტივი.

სექციების მუშაობა საერთოთ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს, მაგრამ ნაკლულოვანებებს მაინც აქვს ადგილი. მაგალითად საამშენებლო სექციამ ამომრჩევლებს ვერ დაანახვა თავისი მუშაობის თვალსაჩინო ნაყოფი. სექციის წევრები დაინტერესებულნი არიან მუშაობით, მაგრამ ისინი არ არიან გარკვეულნი თავიანთ უფლება-მოვალეობაში, რაც ძალზე აფერხებს სექციების მუშაობას.

სექციების მიერ წამოყენებულ საკითხებს თემსაბჭო იხილავდა დაწვრილებით და ავალებდა აღმასკომს მათ ცხოვრებაში გატარებას.

სამეურნეო სექციის ინიციატივით თემში ჯერ-ჯერობით გავრცელებულია 500 მანეთის სასოფლო მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციები.

სექციების მუშაობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის გარემოება, რომ სექციის სხდომები არ იმართებოდა ცალკე სოფლებში და ამით სუსტი იყო კავშირი ამომრჩევლებთან.

ა. ს—ლი.

გაზ. „კომუნისტი"-ს პრემიები

სექციების მუშაობის შესახებ დაწერილ საუკეთესო კორესპონდენციების ავტორებს ჩვენი გაზეთი აჯილდოვებს პრემიებით

დანიშნულია ათი პრემია:

პირველი	პრემია	ვ. ი. ლენინის თხზულ.	5 წიგნი და 40 მან.
მეორე	„	ფ. მახარაძის „	7 წიგნი და 30 მან.
მესამე	„	ვ. ე. ნინოშვილის „	2 წიგნი და 25 მან.
მეოთხე	„	მხოლოდ ფულად	25 მანეთი
მეხუთე	„	„ „	20 „
მეექვსე	„	„ „	15 „
მეშვიდე	„	„ „	10 „
მერვე	„	„კომუნისტი"	6 თვით
მეცხრე	„	„	4 „
მეათე	„	„	2 „

შენიშვნა: ვ. ი. ლენინის 5 წიგნი შეიცავს სამ ტომს (14, 18, 19), რომლებიც გამოსულია ქართულ ენაზე და შემდეგ ორს: „წერილები და სიტყვები", „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი კომუნიზმში".

ფ. მახარაძის 7 წიგნი შესდგება თხზულებათა უკვე გამოცემულ 5 ტომიდან და შემდეგი ორიდან: „1905 წელი" და „კომპარტიის ისტორიისათვის"

როგორ უნდა დაიწეროს
საკონკურსო კორესპონდენციები

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან საბჭოების სექციათა მუშაობის გამოკვლევის მიზანი.

ჩვენ მოუწოდეთ ჩვენ კორესპონდენტებს მთელი ენერგიით ჩაებან მიმდინარე კამპანიაში, მოგვაწოდონ სათანადო კორესპონდენციები სექციების მუშაობის შესახებ.

ვწერდით აგრეთვე, რომ ჩვენ გაზეთში მოთავსებული საუკეთესო კორესპონდენციების ავტორები დაჯილდოვებული იქნებიან რედაქციის მიერ პრემიებით.

როგორ უნდა დაიწეროს ეს კორესპონდენციები, რას უნდა მიექცეს იქ მთავარი ყურადღება და როგორი კორესპონდენციები იქნება დაჯილდოვებული—ამის შესახებაც ჩვენ თავის დროზე ვწერდით. მაგრამ გვსურს დღესაც შევეხოთ ამ საკითხს, კვლავ გავიმეოროთ ნათქვამი.

მუშგლეხკორებმა დაწვრილებით უნდა შეისწავლონ სექციების მუშაობა, კარგად გაერკვიონ მათ საქმიანობაში, მიღწეულ შედეგებში, არსებულ ნაკლულოვანებებში და ამის შემდეგ მოგვაწოდონ მათი შეფასება. რა თქმა უნდა, ყველა მუშგლეხკორს ჩვენ ასეთ ფართე მუშაობას ვერ დავაკისრებთ, მაგრამ აუცილებლად საჭიროა, რომ ქალაქისა, თემისა და სოფლის საბჭოს თითოეულ სექციის მუშაობას ერთი ან ორი კორესპონდენტი მაინც დაწვრილებით გაეცნოს.

ამით ჩვენ იმის თქმა არ გვსურს, თითქოს საკმარისი იყოს ამა თუ იმ საბჭოს სექციების მუშაობაზე თითო წერილის დაწერა და მით კამპანიის დასრულება. სრულიადაც არა. საჭიროა თითო სექციაზე დაიწეროს რამოდენიმე კორესპონდენცია, რომლებშიაც გაშუქებული იქნება კონკრეტიული შემთხვევები ნაკლისა და მიღწევებისა. მიმდინარე კამპანიაში ჩაბმულ უნდა იქნენ მუშგლეხკორების მთელი ძალები.

მხოლოდ ასეთ პირობებში შევძლებთ იმის დაწვრილებით გამორკვევას, თუ როგორ მუშაობას აწარმოებდა საბჭოს ესა თუ ის სექცია.

რაც შეეხება დასაჯილდოვებელ კორესპონდენციებს, ასეთად რედაქციის მიერ ცნობილი იქნება ის კორესპონდენციები, რომლებიც დააკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

პირველი: საკონკურსო კორესპონდენციაში მთლიანად და ნათლად უნდა იქნეს გაშუქებული სექციის მუშაობა, მაგრამ იმ პირობების დაცვით, რომ კორესპონდენცია რაც შეიძლება მოკლედ და გარკვევით იყოს შედგენილი; უნდა ვერიდოთ მათ დატვირთვას ზედმეტი ციფრებით.

მეორე: საკონკურსო კორესპონდენციაში აღწერილი უნდა იქნეს არა მარტო სექციების მდგომარეობა, არამედ მისი წარსული მუშაობაც. გამოკვლევისა და კონკურსის მთავარი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ სექციებს შემდგომ მუშაობაში აღმოფხვრას ყოველგვარი ნაკლულოვანებანი, ამიტომ კორესპონდენტი არ უნდა დაერიდოს ნაკლის აღნუსხვას. საკონკურსო კორესპონდენცია ისე უნდა იქნეს შედგენილი, რომ მასში ნათლად სჩანდეს, თუ რა გზით მიაღწია სექციებმა თავისი საქმიანობის გაუმჯობესებას და რა უშლიდა მათ ხელს ნაკლთა გამოსწორებაში.

ავიღოთ მაგალითად ასეთი შემთხვევა: სექციის მითითებით საბჭომ მოახერხა ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირება. ამ შემთხვევაში საკმარისი არაა კორესპონდენციაში მარტო ამ ფაქტის აღნიშვნა. საჭიროა ამის გარდა კიდევ იმ გზის დახასიათებაც, რომლითაც მიაღწია ეს.

ვთქვათ, ზოგან მაღალია ასეთი ხარჯები და ჯერ ვერ მოუხერხებიათ მათი შემცირება, საჭიროა აღინიშნოს, თუ რა მიზეზები უშლის ხელს ხარჯების შემცირებას.

მესამე პირობას, რასაც კორესპონდენცია უსათუოდ უნდა აკმაყოფილებდეს, არის იმ კორესპონდენციის აგება უტყუარ ფაქტებზე. არც ერთი სიტყვა კორესპონდენციაში არ უნდა იყოს ტენდენციური, ყალბი, გადამეტებული, მიღწევა ან ნაკლი გაზვიადებული: უნდა ვთქვათ სწორად ის, რაც არის სინამდვილეში, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოიტანს სათანადო ნაყოფს ეს კამპანია და გაზეთში გამოქვეყნებული კორესპონდენცია.

რედაქცია მიიღებს სათანადო ზომებს იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად სწორად იყო გაშუქებული მუშგლეხკორის მიერ სექციების საქმიანობა,

ამნაირად, საუკეთესოდ ჩაითვლება ისეთი კორესპონდენციები, რომლებიც ყველა ზემოხსენებულ პირობებს სავსებით დააკმაყოფილებენ.

ჩვენ მოუწოდებთ მუშგლეხკორთა ბიუროებს და ადგილობრივ კედლის გაზეთების ხელმძღვანელებს, ფართოდ განუმარტონ თავიანთ ირგვლივ შემოკრებილ მუშგლეხკორებს მიმდინარე კამპანიის მნიშვნელობა.

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

სამხედრო მუშაობა სოფლად

დღეს შეიძლება თამამად ითქვას, რომ სოფლის გასამხედროების საქმეში ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები. გაზრდილია სამხედრო კუთხეების რიცხვი, ჩამოყალიბებულია 200-მდე სამხედრო ხასიათის წრე, ზოგიერთ სოფლებში გვაქვს ტირები, მაგრამ ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია; ჯერ არ არის გამოძებნილი ისეთი საშუალებები, რომლითაც შესაძლებელია გლეხობის ფართე მასების ჩაბმა გასამხედროების საქმეში. ეს კი აიხსნება იმით, რომ სამხედრო კუთხეები და თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები ვერ შესდგომიან ფართე, მასიური ხასიათის პრაქტიკულ საქმიანობას; არ არის გამომუშავებული მუშაობის ისეთი ფორმები და მეთოდები, რომლებიც მოგვცემენ შესაძლებლობას ვაწარმოოთ ისეთი მუშაობა, რომელიც დააინტერესებს და დააკმაყოფილებს გლეხობას.

ეს ნაკლი ნაწილობრივ გამომდინარეობს იქიდან, რომ ჩვენ არ ვუწევთ ანგარიშს გლეხობის ინტერესებს, მათ მოთხოვნილებას და აგრეთვე იქიდან, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელები, რომლებიც აწარმოებენ გასამხედროების საქმეს, არ იცნობენ კარგად ამ საქმის შინაარსსა და მის ნამდვილ დანიშნულებას.

განვლილი ზამთრის პერიოდი არ იქნა სავსებით გამოყენებული გასამხედროების საქმისათვის. ბევრი სამხედრო კუთხე არ აწარმოებდა არავითარ მუშაობას, თუმცა ზამთარი საუკეთესო დროა ამისათვის.

მოახლოებულია გაზაფხული. საჭიროა, რომ ეხლავე შეუდგეთ ზრუნვას იმისათვის, თუ რა უნდა გავაკეთოთ სოფლად გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდში, საჭიროა გეგმის გამომუშავება.

უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს მეცადინეობას ველად, ჩატარებულ უნდა იქნეს ველად ტაქტიკური მეცადინეობა, ლაშქრობანი ღამით, რომ გლეხობა საქმეზე გაეცნოს სამხედრო ხელოვნებას და შეითვისოს ისეთი ცოდნა, რომელიც საჭირო იქნება მისთვის ბრძოლის დროს.

საჭიროა, რომ გაზაფხული და ზაფხული გამოყენებულ იქნეს სამხედრო კუთხეების მიერ ტოპოგრაფიული ცნობების გასავრცელებლად გლეხობის და, მეტადრე, მის ახალგაზრდა ნაწილს შორის. ამ მხრივ ჩვენი სამხედრო კუთხეების მიერ არ ყოფილა გადადგმული ნაბიჯი, ტოპოგრაფიული ცნობების შეთვისება კი აუცილებელია. აუცილებელია აგრეთვე გაცნობა რუკის და ყიბლანისა (კომპასი), რასაც დღევანდლამდის არა ჰქონდა მიქცეული სათანადო ყურადღება.

გაზაფხული და ზაფხული ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ქალების ჩასაბმელად პრაქტიკულ საქმიანობაში. არა კმარა მარტო შექმნა პირველი დახმარების და სანიტარული წრეების. ქალები მიზიდულ უნდა იქნენ სასროლო და სამხედრო წრეებში, შედგენილ უნდა იქნეს ქალებისაგან განსაკუთრებული რაზმები, სადაც იწარმოებს სამხედრო საქმის შესწავლა პრაქტიკაზე. ლაშქრობის და ტაქტიკური მეცადინეობის დროს მიწვეულ უნდა იქნენ ქალებიც.

ამასთანავე არ უნდა იქნეს გაშვებული მხედველობიდან სამხედრო ხასიათის ლიტერატურის გაცნობა და მისი ფართოდ გავრცელება გლეხობის შორის.

დღეს ქართულ ენაზე ჩვენ მოგვეპოვება მრავალი სამხედრო ხასიათის პოპულარული წიგნი და სამხედრო კუთხეების ვალია მიიღონ ზომები მათ გასავრცელებლად სოფლად.

მხედარი.

თეთრი არმიის ნაშთები უცხოეთში

წელს ჩვენ ვიდღესასწაულეთ წითელი არმიის ათი წლისთავი. წითელ გვარდიელთა რაზმებიდან შეიქმნა ძლიერი წითელი არმია, რომელსაც რაც დრო გადის, მით უფრო მეტ ანგარიშს უწევენ ჩვენი მტრები.

მშვიდობიანი მშენებლობით გატაცებულთ, ჩვენ იშვიათად გაგვახსენდება, რომ „არსებობს კიდევ სხვა „ძალა", სხვა „არმია", რომელიც ჯერ კიდევ აცხადებს პრეტენზიებს საბჭოთა კავშირის ტერიტორიასა და ამ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებზე. ესაა—„დიდი, განუყოფელი რუსეთის" არმია, რომელიც გაფანტულია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში და რომელიც უცდის იმ წუთს, როცა „ღვთით მირონცხებულ" სხვადასხვა თეთრ ხელმწიფეთა და გენერლების მეთაურობით „გაანთავისუფლებს" „დიდ რუსეთს". თეთრების ეს იმედი ფრთას ისხამს მაშინ, როცა ჰორიზონტზე გამოჩნდება გართულების აჩრდილი, როგორც ამას, მაგალითად, ადგილი ჰქონდა ინგლის-რუსეთის ურთიერთობის გაწყვეტის დროს. ასეთ შემთხვევებში ჩვენ ვხედავთ და ვგრძნობთ, თუ როგორ დაფუსფუსებენ თეთრგვარდიელთა წარმომადგენლები, წარსულის ეს აჩრდილები, კაპიტალისტურ მთავრობების გარშემო და როგორ ლაპარაკობენ „დიდი, განუყოფელი რუსეთის" არმიის ბანაკებში მათ[illegible] ამ მთავრობების მიერ ერთდროული დახმარების გაღებების შესახებ. შემდეგ ჩვეულებრივად იწყება უნუგეშო დღეები და ბელადებს შორის თითოეულ ფრანკის ან გირვანქა სტერლინგისათვის იმართება გააფთრებული ბრძოლა, ხოლო „სახელოვანი არმია" ძველებურად ოფლს იწურავს ბულგარეთის მაღაროებში, პარიზის ქარხნებში და სხ.

ზედმეტი არ იქნება ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენს ამჟამად თეთრი არმია. 1926 წლის დამლევს ემიგრანტების მიერ ჩატარებულ იქნა აღწერა. ამ აღწერის მიხედვით გერმანიაში დაახლოვებით ცხოვრობს 446.600 ემიგრანტი; საფრანგეთში—330.500, სამხრეთ-სლავიაში—33.900, პოლონეთში—33.900, ჩინეთში—75.900, ლატვიაში—33.000, ჩეხო-სლოვაკიაში—20.000, ბულგარეთში—23.300, ესპანეთში—19.000, რუმინეთში—8.000, სულ—1.135.400. ემიგრანტების რაოდენობა ცოტა უფრო მეტია (ერთ ნახევარ მილიონამდე). საქმე იმაშია, რომ ემიგრანტების ერთი ნაწილი აღწერაში არ მოხვედრილა, ვინაიდან ის უკვე ჩამოსცილდა ან სცილდება თეთრების ორგანიზაციებს.

თეთრი არმიის ნაშთები კი, რა თქმა უნდა ამ რაოდენობაზე გაცილებით უფრო ნაკლებია, ისინი სულ რამდენიმე ათეულ ათას უდრის.

ყველაზე უფრო დიდ ორგანიზაციას წარმოადგენს ეგრედწოდებული „გალიპოლიელთა კავშირი". ეს სახელწოდება ამ ორგანიზაციამ მიიღო [illegible] კრიმის დაცემის შემდეგ, ვრანგელის არმიის ერთი ნაწილი გენერალ კუტეპოვის მეთაურობით გადაიგზავნა ამ კუნძულზე. თავის შემადგენლობით ეს ორგანიზაცია თეთრი ემიგრაციის ყველაზე უფრო „შეურიგებელი" ნაწილია, რომელიც უმთავრესად ძველი არმიის კადრის ოფიცრებისაგან შესდგება. „გალიპოლიელთა კავშირს" განყოფილებები აქვს სხვადასხვა ქვეყნებში, ასეთი განყოფილება განსაკუთრებით ბევრია საფრანგეთსა (20-ზე განყოფილება) და ბალკანეთზე. კავშირში დაახლოვებით 30.000 კაცია (აქედან საფრანგეთში 9.000, ბულგარეთში—8.000, სერბიაში—4.000).

შემდეგ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ორგანიზაციას წარმოადგენენ ყაზახები—თერგისა და დონის ყაზახები. ესენი ყველაზე მეტია ბულგარეთში: დონის ყაზახები—დაახლოვებით 8.000, თერგის—1.000 კ. ყაზახების მნიშვნელოვანი ნაწილი არის აგრეთვე ჩეხო-სლოვაკიაში (4.000-დე). ცალკე, შედარებით უმნიშვნელო ჯგუფს, წარმოადგენენ ყოფილ „მოხალისე არმიის" ნაშთები.

თეთრი არმიის ნაშთების საერთო რაოდენობა ასეთია: საფრანგეთსა და ბელგიაში—20 ათასი, ბულგარეთში—20.000, ჩეხო-სლოვაკიაში—5.000, პოლონეთში—2.000, სამხრეთ-სლავიაში—(სერბია)—4.000, რუმინეთში—1.000, ჩინეთში—6.000 კაცი.

მათი პოლიტიკური ფიზიონომია ისეთივეა, როგორიც მთელი ემიგრაციის,—აქ თავს იყრის მონარქისტები „რესპუბლიკანელები", ესერებიც და მენშევიკებიც.

ყველაზე უფრო რეაქციონური ნაწილი შედგება გალიპოლიელებისაგან. ისინი რომანოვების ყოფილ „დიდი მთავრების"—ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა და კირილე ვლადიმირის ძის „ერთგულნი" არიან. მაგრამ სრული თანხმობა მათ შორის არ არსებობს: თვითეული ამ „დიდი მთავართაგანი" პრეტენზიას აცხადებს „განახლებულ" რუსეთის ტახტზე.

კირილე უკვე აჰკარა და თავისი თავი გამოაცხადა სრულიად რუსეთის იმპერატორად, რამაც ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის აღშფოთება გამოიწვია. ამ ნიადაგზე დაუსრულებელი შუღლი-შემოხლაა ნიკოლოზისა და კირილეს მომხრეებს შორის, და თვითეულ გენერალსაც, როგორც „სამშობლოს" ერთგულ შვილს, სურს პირველი როლი ითამაშოს ამ კომბინაციებში.

ყაზახები, პირიქით, „სეპარატულად" არიან განწყობილნი, ისინი აღმერთებენ კულტს თავისი ატამანებისას, როგორიც არიან, მაგალითად, გენ. კრასნოვი, შკურო, სემიონოვი (ჩინეთში) და სხვები. „იმპერატორებს" რომანოვების სახლიდან, ისინი ირონიულად უყურებენ. მაგალითად დონის ყაზახები კირილ I-ს „პორტატიურ იმპერატორს" ეძახიან. ყაზახებს შორის ეგრედწოდებულ „რესპუბლიკანელების" ჯგუფიც კი არსებობს. ეს ყაზახები, უმთავრესად, ჩეხო-სლოვაკიაში ცხოვრობენ.

შემდეგ საჭიროა აღვნიშნოთ სხვადასხვა ჯურის „სოციალისტები"—საქართველოსა და უკრაინის მენშევიკები. ქართველ მენშევიკებს არა ყავთ „საკუთარი" არმია, მაგრამ უკრაინელებს კი ყავს „არმია", რომელიც პეტლიურას მომხრეებისაგან შესდგება. პეტლიურას მომხრეები თავს იყრიან პოლონეთში, სადაც მათი რაოდენობა 1.000 კაცს აღწევს.

„თეთრი არმიის" მატერიალური მდგომარეობა არაა სახარბიელო. ისინი კმაყოფილდებიან თავიანთი ბატონების ნასუფრალით, ან მუშაობენ, როგორც „შავი მუშები".

ამჟამად თეთრი არმიის ნაშთებს „დანიშნულებისამებრ" იყენებენ მხოლოდ ჩინეთში, ნეჩაევის რაზმში. ამ რაზმელებს ჩან-ძო-ლინი იყენებს, როგორც ჩინეთის რევოლიუციონური მოძრაობის ნამდვილ ჯალათებს.

მნიშვნელოვანი ნაწილი მუშაობს საფრანგეთში, ქარხნებში ან შოფერებად ნაწილი კი ატამან შკუროს მეთაურობით გამოდის ცირკში და სხვა გასართობ ადგილებში, ნაწილი კიდევ რესტორანებში მსახურობს. და ბოლოს, უმნიშვნელო ნაწილი—ზედაფენა, ეწევა სპეკულიაციას, თამაშობს გირაოზე და ღებულობს სუბსიდიებს. მართალია, ეს სუბსიდიები ყოველ წლობით კლებულობს, მაგრამ „აღფრთოვანების" მომენტებში [illegible] ამ სუბსიდიებს, ვინაიდან კაპიტალისტურ სახელმწიფოებს (განსაკუთრებით ინგლისს) ჯერ კიდევ არ დაკარგვიათ იმედი, რომ დადგება მომენტი, როცა შესაძლებელი იქნება თეთრი არმიის ნაშთების გამოყენება მათი პირდაპირი დანიშნულებისათვის.

თეთრი არმიის ამ ნაშთების გამოყენების გეგმები მრავალნაირია. ამ გეგმებს ჩვენ დაწვრილებით ვიცნობთ მეფის ცნობილ დიპლომატ საბლინის მიერ ბირჟაზე მინაწერ წერილებიდან (რომლებიც თავის დროზე ჩვენს გაზეთებში გამოქვეყნდა) და აგრეთვე ჯაშუშთა პროცესებიდან, რომლებშიაც ქართველ მენშევიკებსაც უკავიათ საპატიო ადგილი,

საერთოდ ყველა ეს გეგმები ერთ მიზანს ისახავენ: ტერორისტული აქტებისა და „სახალხო" აჯანყებების მოწყობას.

თეთრი არმიების ნაშთების მძიმე მატერიალური მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიური სიძლიერის ზრდასთან დაკავშირებით, თეთრგვარდიელების ბელადებს დიდი ბრძოლა სჭირდებათ, რომ შეინარჩუნონ ამ ნაშთების ერთგულობა. სახლიდან მიღებული წერილები თვალს უხელენ თეთრი არმიის მოტყუებულ ჯარისკაცებს.

რამდენიმე დასკვნა: მატერიალური გაჭირვების გამო, თეთრი არმიის ნაშთები სულ უფრო და უფრო იფანტება სხვადასხვა ქვეყნებში და ჰკარგავს თავის მნიშვნელობას, როგორც სამხედრო ძალა.

საბჭოთა კავშირის გაძლიერება ხრწნის ემიგრანტული მასის რიგებს და აძლიერებს მათ ლტოლვას სამშობლოსაკენ.

კაპიტალისტურ სახელმწიფოებს (განსაკუთრებით ინგლისს) ეს ნაშთები შეუძლიათ გამოიყენონ როგორც დივერსიონული ბანდები ჩვენი კავშირის განაპირა კუთხეებში, განსაკუთრებით ომის დროს.

იანელი.

ავიაქიმში

თავდაცვა-ავიაქიმის საზღვაო პროპაგანდა

საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმმა დაადგინა შექმნას საზოგადოების ყველა ორგანიზაციებთან სამხედრო საზღვაო სექციები.

სექციების მიზანი იქნება სამხედრო-საზღვაო ძალების აღმშენებლობის პროპაგანდა მშრომელთა შორის და თადარიგის საზღვაო მეთაურთა კვალიფიკაციის ამაღლება.

მუშაობა თადარიგის მეთაურთა შორის

თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები როგორც თბილისში, ისე ადგილებზე აწარმოებენ გაძლიერებულ მუშაობას თადარიგის მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის შორის. ადგილებიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ბევრ ქალაქში ავიაქიმის ორგანიზაციების მიერ შექმნილია კურსები, სადაც თადარიგის მეთაურნი ეცნობიან ახალ მიღწევებს სამხედრო ხელოვნებაში და აწარმოებენ სამხედრო-გამოკვლევით მუშაობას.

თესვის კამპანია და ავიაქიმი

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ წინადადება მისცა ავიაქიმის ადგილობრივ ორგანიზაციებს, რათა ამ უკანასკნელებმა მიიღონ აქტიური მონაწილეობა საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებაში. მონაწილეობა უნდა გამოიხატოს ხელოვნური სასუქის ხმარებისა და ჭირნახულის მავნებლებთან ბრძოლის დროს ქიმიური საშუალებების გამოყენების პროპაგანდაში.

სამხედრო ქრონიკა

სამხკორთა კონფერენცია

ორშაბათს, 26 მარტს, დილის 10 საათზე თბილისის წითელი არმიის სახლში გაიხსნება თბილისის გარნიზონის ქართულ ნაწილების სამხედრო კორესპონდენტთა კონფერენცია.

თადარიგის მეთაურთა მოსაწყობად

საბჭოთა კავშირის შრომის სახ. კომისარიატმა განუმარტა საკავშირო რესპუბლიკების შრომის სახ. კომისარიატებს, რომ თადარიგის მეთაურთათვის კოოპერატიულ ორგანიზაციებში და სააქციო საზოგადოებებში დაწესებულ უნდა იქნეს სამპროცენტიანი ჯავშანი.

„ზაკვოენპოს" კონკურსი

ამიერ-კავკასიის სამხედრო მომხმარებელთა საზოგადოება („ზაკვოენპო") შეუდგა კონკურსის ჩატარებას საკოოპერაციო წრის საუკეთესო ხელმძღვანელზე. საუკეთესო ხელმძღვანელი მიიღებს ჯილდოს.

სასოფლო სესხი და წითელი ყაზარმა

№ ქართ. მთ. ლეგიონის მეთაურთა და წითელ არმიელთა შემადგენლობამ დაადგინა საერთო კრებაზე შეიძინონ სასოფლო სესხის ობლიგაციები. სულ ნაწილის შემადგენლობაში გასაღებულ იქნა 4.336 მანეთის ობლიგაცია.

ახალი სამხედრო კინო-სურათები

მოკლე ხანში სამხედრო კინო-მრეწველობის მიერ გამოშვებულ იქნება შემდეგი ახალი კინო სურათები: „ავიაციის სხვადასხვა სახეები", „სამხედრო გემები", „ცხენოსანი ჯარი და საჰაერო ფლოტი", „ყაზარმა და ჯანმრთელობა". ყველა ეს სურათები გამოყენებულ იქნებიან წითელ არმიელებთან მეცადინეობის დროს.

გუნდა-ლახოსტაკი

სათაურის შესახებ ჯერ-ჯერობით ნურაფერს მკითხავთ, ვისაც დრო და მოთმინება ეყოფა, სათაურის მნიშვნელობას ამ წერილში ამოიკითხავს.

მე კი ნება მიბოძეთ გაგაცნოთ იმ ახალ ხანახაობას, რომელსაც სახელად „არიფიონი" ეწოდება,

ეს ის „არიფიონი" გახლავთ, რომელიც თურმე „იმ ქართველ მწერლებს აკავშირებს, რომელთაც უკვე შეიძინეს საკუთარი გარკვეული სახე მეტყველებისა და ესთეტიური ხილვის".

ამ პატარა ამონაწერს მე განგებ გამოვაკელი ორი სიტყვა: „ამ გზაზე", ესე იგი „არიფიონის" მწერლებს „ამ გზაზე" შეუძენიათ სახე მეტყველებისა და ხილვისა.

რომელია ეს „გზა"?

ვათქმევინოთ თვითონ არიფებს. ისინი ასე მოგვითხრობენ:

„თანამედროვე დიდმა ეპოქამ ახალი ადამიანი წარმოშვა და ახალი მსოფლმხედველობა, შეგრძნობა, მორალი და გემოვნება მისცა. მაგრამ ამ ადამიანს ჯერ-ჯერობით ვერ უპოვნია თავისი სრული სახე დღევანდელს ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

„ასოციაცია „არიფიონის" მიზანს შეადგენს ეს სახე გააცხადოს ლიტერატურაში".

ამის შემდეგ „არიფიონი" მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ, ვინაიდან ამ ასოციაციაში თავმოყრილი მწერლები „სულიერი ნათესაობის საფუძველზე" არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ეს გარემოება გაუადვილებს მათ მუშაობას „ახალი შეგნების, შეგრძნობისა და გემოვნების დასამკვიდრებლად".

ერთი სიტყვით ასეთია „არიფიონის" გზა: ისინი გვპირდებიან—თანამედროვე დიდი ეპოქის ახალი ადამიანის, რომელსაც ახალი მსოფლმხედველობა აქვს, რომელიც ახალი შეგრძნობითა და გემოვნებით არის დაჯილდოვებული, აი, ამ ახალი ადამიანის სრულ სახეს დაგანახვებთ („გავაცხადებთ"!!) ლიტერატურაშიო.

ცოტა არ იყოს ძნელად ასასრულებელი დაპირებაა, მაგრამ არიფები ჩვენ გულს გვიკეთებენ: ჩვენ ის ხალხი ვართ", რომელმაც უკვე შეიძინა გარკვეული სახე მეტყველებისა და ხილვისაო".

სხვის რა მოგახსენოთ, მაგრამ, თუ რომ მათ, მართლაც, შეძენილი აქვთ მეტყველებისა და ხილვის უნარი—ესეც დიდი ბარაქა იქნება. ასეთია იმ ახალი ჯგუფის დაპირება, რომელმაც უკვე გვაცნო თავისი თავი ერთი ტანმორჩილა მწვანე ყდიან წიგნაკით.

დავანებოთ თავი იმას, რომ „არიფიონის" ამ წიგნაკში მოთავსებული „მანიფესტი" სავსეა სხვადასხვა ფართე-ფართე დაპირებებით იმის შესახებ, რომ მათ კარგათ ესმით დღევანდელი ეპოქის მნიშვნელობა. მოკლეთ, რომ ვთქვათ, აქ ლაპარაკია იმის შესახებ რომ:

ა) რევოლიუციამ უდიდესი სოციალ-პოლიტიკური და სულიერი გარდატეხა მოახდინა (სხვათა შორის, „არიფებს" ამ თავითვე არ ემარჯვებათ ამ რევოლიუციის სრული სახელის გამოთქმა, მაგრამ ეს შეიძლება შეცდომა იყოს. ამ რევოლიუციას მგონი ოქტომბრის რევოლიუცია უნდა ერქვას, ასეა, მგონი; არა?!!).

ბ) „საბჭოთა სისტემამ ღრმათ გაიდგა ფესვები ხალხის შეგნებაში და უზრუნველჰყო ჩვენი მომავალი".

გ) „ამ რევოლიუციის წყალობით ქართული კულტურა ალორძინების ხანაში შედის".

ბოლოს კიდევ ერთხელ არის დაპირება იმის შესახებ, რომ

„არიფიონიც ამ ნიადაგზე მუშაობს და თავის ძალ-ღონის მიხედვით ხელს შეუწყობს ამ საერთო სულიერ შემოქმედებას—ლიტერატურის, ხელოვნებისა და აზროვნების განახლებას".

ამ „მანიფესტს" ხელს აწერს 14 მწერალი, ვასილ გორგაძე, შალვა დადიანი, კონსტანტინე კაპანელი, ლევან მეტრეველი, ილო მოსაშვილი, დავით სულიაშვილი; გალაქტიონ ტაბიძე; იოსებ ტატიშვილი; პეტრე ქავთარაძე, ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე; სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე და მიხეილ ჯავახიშვილი.

ამ დაპირების შემდეგ, გვაქვს თუ არა უფლება, რომ ამ ახალის ხილვითა და მეტყველების უნარით დაჯილდოვებულ ხალხს ცოტაოდენი რამ მაინც მოვთხოვოთ ამ დიდი ვექსილის გასანაღდებლად? ეს უფლება ჩვენ მით უმეტეს გვეკუთვნის, რომ „არიფიონი" ნებაყოფლობით კისრულობს ამ დიდი მოვალეობის შესრულებას.

ვნახოთ.

წიგნი იწყება სანდრო შანშიაშვილის „ორი ბალადა"-თი.

პირველის სათაურია „შოთას ბეჭედი" მეორესი: „ცაგო მღერის შაირებს".

მართალია, ქართველი მწერლისათვის, და მით უმეტეს ქართული ლექსების ოსტატებისათვის საძრახის საქციელად ითვლება, რომ შოთა რუსთაველის სადღეგრძელოთი და შესანდობელით არ დაიწყოს და არ დაათავოს თავისი მოღვაწეობა, მაგრამ ამ მწერლებს, ხომ არა ვისათვის არ მიუციათ იმის პირობა, რომ „ახალი ეპოქის" „ახალი ადამიანის" „ახალ შეგრძნობასა და მსოფლმხედველობის" სრულ სახეს გავაცხადებთ ლიტერატურაშიო"?

მაგრამ, იქნება, არც ასეთი უნდობლობა ვარგა. იქნებ შანშიაშვილი ამ ძველის-ძველი ამბავით ახალი ადამიანის ახალი შეგრძნობისა და მსოფლმხედველობის სრული სახის დანახვებას გვპირდება. მაშ, ვნახოთ ლექსი. ლექსი ასე იწყება:

„დასტოვა სოფლის სიამე
სოფლად რჩეულმა შოთამა;
მოყვარემ ცრემლი დაღვარა,
სასახლე შეაშფოთა მან"

ახალო მკითხველო, გაიგე ახალი ამბავი? შოთა რუსთაველი ბერათ შემდგარა, დაუტოვებია „სოფლის სიამე". ეს ახალი ამბავი მგონი ამ რვაასი წლის წინათ მოხდა, რა ვუყოთ მერე, განა შოთა რუსთაველის ამბავი საინტერესო არ უნდა იყოს ყოველი ქართველისათვის, თუნდაც რომ „ორთქლისა და ელექტრონის ეპოქაში" და არა „აბჯარ-კოშკების ხანაში" დაბადებულისათვის? სადაც შოთა რუსთაველია, იქვე, რასაკვირველია, თამარ მეფის ხსენებაც უნდა იყოს—ეს შანშიაშვილმა კარგათ იცის და ამიტომ სწერს:

„თამარს დრო შემოებურა
არა ბედ-სანეტაროსი".

ეს ლექსი მოკლეთ რომ ვთქვათ, ასეთს ამბავს შეიცავს. შოთა ბერათ შემდგარი ავათ გამხდარა, უგრძნია—აღარ მოვრჩებიო და დაუბარებია მოყმე, გადაუცია მისთვის თამარისაგან ბოძებული ბეჭედი და

„უთხრა: ეს არის თილისმა
ჩანგი მით მომიმართნია.
კვლავ დაუბრუნე თამარ-ქალს,
მისდამი დავრჩი მოსავი;
თან ვერ ჩავიტან ხალხის განძს,
სხვაც უნდა მღეროდეს მგოსანი",

წამოსულა ეს მოყმე, უვლია, გზაში ავათ გამხდარა, გლეხისას თავი შეუფარებია და აქვე ამ გლეხის სახლში დაულევია სული.

დარჩა ბეჭედი გადაუცემელი. ამ ლექსის ბოლო ასეთია:

„ვის დარჩა შოთას ბეჭედი?
ანუ ვის დაუმალია?
რომელმა ჰპოვოს რჩეულმა?—
საუნჯე იდუმალია.
თქვენ, მეგობრებო, ეძიეთ!
მემკვიდრეობის ვალია!"

ეძიეთ „შოთას ბეჭედი"! ეს ყოფილა ჩვენი ვალი მემკვიდრეობით ჩვენზე გადმოსული. ეს როგორი გნებავდეთ ისე გაიგეთ, მაგრამ ახალი ეპოქის ახალი ადამიანის სახის გამოსაჩენათ თუ თამარ მეფის ბეჭედის ძებნა არის საჭირო, მაშინ ყველაფერი საჭირო ყოფილა.

თბილისში ალბათ ბევრი იცნობს ევგენი დვალს. ცოტა არიყოს ასირებული ადამიანია.

— თქვენ კომუნისტები რომ წახვალთ, ამბობს ის, (ხოლო ჩვენ „წასვლაში" ის დარწმუნებულია), მაშინ ჩვენი პარტია ჩაუდგება საქართველოს სათავეშიო."

— რა პარტია, რომელ პარტიის შესახებ ლაპარაკობ მეთქი, შევეკითხე ერთხელ მას ასეთი განცხადების შემდეგ.

— ჩვენ შოთა რუსთაველის პარტია ვართ, მომიგო მან.

დვალის პარტია შოთა რუსთაველის დროშით („სმა-ჭამა მეტათ შესარგი, დება რა სავარგულია!?") დვალისათვის კი გამოდგება, მაგრამ ახალი ადამიანის სახის გამოსაჩენათ ეს მგონია არ უნდა ვარგოდეს.

შანშიაშვილი კარგს იზამს, თუ ამ შოთას ბეჭედის ძებნას ევგენი დვალს დაავალებს.

მეორე ბალადა ფშაური სიმღერაა.

ამბავია იმის შესახებ, რომ:

„ქავთარ იყო რაინდი,
მტრობდა ქისტი ნაიბი",

შემდეგ ეს რაინდი და ნაიბი (ალბათ რითმის ქესატობისათვის უფრო მოუთრევია ისინი ერთმანეთთან!!) ერთმანეთს შეხვდებიან:

„მთებში შევხდენ იალალს,
სისხლი ღებავს იარაღს",

ნაიბს რაინდი მოუკლავს და მისი (რაინდის) სატრფო

„მღერის ცაგო ქალებში,
ცრემლი უკრთის თვალებში"

ესაა და ეს!!

თუ ამ ლექსების დამწერი მართლა სერიოზულათ იმას გვპირდება, რაც ასე ფართეთ და ხელმოქნევით არის შეკაზმული მანიფესტში, მაშინ ან ის თვითონ ვერაა მიმხვდარი, რომ ის პირველი შეპირება და ეს „მოსაკითხი" შორი-შორსაა ერთმანეთზე, ან და თუ მას ამის გარჩევის თავი კი აქვს (უნდა ჰქონდეს, ყოველ შემთხვევაში!!), მაშინ ძალიან რბილად რომ ვთქვათ „თავს გაუდის"—ალბათ იმედი აქვს —განცხადებასა და მანიფესტზე ხელისმოწერას რა მნიშვნელობა აქვს, მე ჩემსას მაინც მოვიშლიო.

ეს პირველი, ეხლა მეორე.

პირველი იყო ლექსი, მეორე არის მოთხრობა, პირველი შანშიაშვილი; ეხლა შალვა დადიანი აპირებს ახალი ადამიანის სრული სახის გაცხადებისათვის საჭირო თავის მეტყველებისა და ესთეტიური ხილვის უნარის ჩვენებას.

წავიკითხოთ მისი მოთხრობა: „ათე".

ეს მოთხრობა „მონაკვეთი მოთხრობა" არისო —გვიცხადებს ავტორი. ვნახოთ ერთი, რა კენჭებით არის მორთული ეს მოთხრობა.

ჯერ ეს სათაური, რას ნიშნავს ეს „ათე"? ავტორი თვითონ გვიხსნის, ეს თურმე ანბან შებრუნებული თეა ყოფილა, ხოლო თეა ღმერთი-ქალია, როგორც მოგეხსენებათ. ეს ათე, ანუ თეა ყოფილა „ჩვიდმეტი წლის ნაწნავებიანი გოგონა", „რომელსაც სალუქი, თეთრი მარმაშის, ყელ-ამოჭრილი უსახელო კაბა აცვია".

ეს ყელამოჭრილი კაბიანი 17 წლის ღმერთი-ქალი მიემგზავრება (დაგვილოცა არიფიონის მწერლებს სამართალი!!) ზაჰესისაკენ.

მართლაც კარგი სანახავი იქნება ღმერთი და ზაჰესი.

მატარებელში სივიწროვე, მგზავრები ვაგონში არ ეტევა, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: „სრულიად ჩვეულებრივი რამ: მატარებლის ვიწროობაში ერთმა ხეულმა მეორე მოჰკვეა. ამას, როგორც ავტორი თვითონ გვიხსნის, დიდი მნიშვნელობა ჰქონია, ვინაიდან ეს „ერთი ხეული" ამ 17 წლის ღმერთის იყო, ხოლო მეორე კი ვიღაც ქერა ვაჟის.

ეს მართლაც რომ ჩვეულებრივი ამბავია. ასე იწერებოდა და ახლაც ასე სწერენ ყოველ გვარ „ქალ-ვაჟიანის" ამბავს ჩვენი მწერლები. ახალი აქ ბევრი არაფერი უნდა იყოს, მაგრამ, ალბათ, აქ ტყვილა არ არის ნახსენები ზაჰესი. გავიგოთ რა სასწაულს მოხდენას აპირობს ავტორი ზაჰესის თავზე.

საქმე ასე ყოფილა: ორი ყმაწვილი, რომლებისთვისაც დაუვალებიათ ჯვარის მონასტერის „შესწავლა, გაზომვა, გადაღება და განახლება", ზაჰესისაკენ მიემგზავრება. ამ ორ ყმაწვილში ერთი ის გახლავთ, რომელმაც ნაწნავებიანი ღმერთი „მიჰკვეა", მეორეც მისი ამხანაგი, ერთს მისთ რქმევია, მეორეს დიტო, ქალიშვილის სახელი კი ელო ყოფილა.

ქალი კომუნისტურ ჭკუაზეა, ვაჟები უფრო „დარბაისლათ" მსჯელობენ, დაახლოვებით ისე, როგორც თვითონ ავტორი. შეიქმნება კამათი; ქალი გულუბრყვილო უსუსურ აზრებს გამოთქვამს, ხოლო ვაჟები დინჯათ უმტკიცებენ ქალს, რომ საჭიროა ჯვრის მონასტერის განახლება.

აი პატარა ნიმუში ამ კამათის.

— „დიახ უნდა განახლდეს! დინჯათ უმტკიცებს ქერა (ეს ის, რომელმაც მიჰკვეა) ხუროთმოძღვარი.

— „თქვენ უსათუოთ ის გაკვირვებთ, რომ... ენაცვლება ქერას მეორე, რომ ჩვენ ეკლესიებსა და ტაძრებს ვაქცევთ და იმავე დროს ვაახლებთ ზოგიერთებსა...

— „მაკვირვებს კი არა აღშფოთებული ვარ... წკრიალებს ელო განაწყენებული".

აქვე ვაგონში თურმე ბევრი ზაჰესის მუშებიც ყოფილან, ისინი, რასაკვირველია, ელოს მხარეს არიან

— „ჩვენ ყველანი ზაჰესის მუშები ვართ...

„— ამის ნებას არ მოგცემთ...

„— ვინ გაიგონა..

„— ახლა კიდევ ეკლესია გამიმართე თუ ძმა ხარ!

„— ძლივს მოვრჩით მღვდლისა და ბერების ჩატყუარობას...

„— არა, არა...

„— არ გვინდა, არა!

„ელო გამარჯვებული იხედება"

აი ამის შემდეგ ხდება სასწაული. ახალგაზრდა ხუროთმოძღვრები მიდიან ჯვარის მონასტერზე და აქ

„მათ გაიგეს:
ბერისაგან, რომ ძველ, ოდესმე კერპთაყვანის მცემლობის დროს, აქ რომელიღაც საქართველოს დედოფალმა საბერძნეთიდან მოიტანა შიშველი ქალის ქანდაკება და მარმარილოს თეთრ სვეტებს შორის აღმართა სწორეთ ამ ადგილას"

ეს ხუროთმოძღვრებს და, როგორც ჩანს, თვით ავტორის მიხედვით აფროდიტეს ქანდაკება უნდა იყოს. ამის შემდეგ იწყება სიტყვების ნამდვილი [illegible], რომელიც ასე კოხტათ და უხეშად ჩამოსდის ავტორს კალამზე ამ „ხუროთმოძღვრებს" პირით

„...—მოდი და ნუ აღელდები, მოდი და ნუ გაეცნობი იმ საფეხურებს, იმ კვარცხლბეკსა,

სადაც პირველათ ქართველმა გაალმერთა სილამაზის კულტი სხეულის სახით..."

არის აწერილი ეს ჯვარის მონასტერი ისე პირმშვენიერათ, ისეთი დაწვრილებით, რომ მთელი ამ ქებათა-ქების გადაკითხვა ერთობ ძნელია, მიუხედავათ იმისა, რომ ეს ქებათა და აღტაცებულ შაირთა წარღვნა ხან ერთის პირიდან გადმოდის ავტორს, ხან მეორის პირით.

მოთხრობის მთელი შინაარსი ამ ძველი ქვებისა და ნამსხვრევების გარშემო ტრიალებს. ბოლოს ელოსაც იპყრობს ქერას ქადაგება, ის სავსებით ეთანხმება ხუროთმოძღვარს და საქმე თავდება იმით, როგორც ყოველთვის ასეთს შემთხვევებში: სიყვარული, მიჯნურობა და სხ. და სხ.

რითაა საყურადღებო ეს მოთხრობა?

იმით რომ ავტორი მოთხრობის ფორმით აპირობს ისე მოკვეთოს და მოაკეკლუცოს ჯვარის მონასტერის ამბავი, რომ ჩვენ ეხლავე დღესვე ვიფიქროთ და გავეჩქაროთ ვინმე მის აღსადგენათ.

ჩვენ, რასაკვირველია, გვესმის, რომ სიძველეებს მოვლა უნდა და ისიც ვიცით, რომ ზაჰესის მუშებში ისეთი უვიცი და უგუნური არავინ იქნება, რომ ეს არ ესმოდეს. მაგრამ საინტერესოა, როგორ, ან და რამდენათ შეავს ეს ჯვარის მონასტერის ამბავი ასე გაზვიადება ახალი ადამიანის, ახალი მსოფლმხედველობისა და სხვ. ახალი შეგრძნობის შეგნებისა და გემოვნების დამკვიდრებას. იქნებ შალვა დადიანს ჰგონია, რომ „ორთქლისა და ელექტრონის ეპოქის" ადამიანი „აბჯარ-კოშკის ხანას უნდა დაუბრუნდეს".

მაშ, რატომ გვერიდება ის ასე გულმოდგინეთ ამ დანგრეულ კოშკს, რატომ სრულებით ვერ ხედავს ის ამ ზაჰესს, რომლისთვისაც ასე ძუნწათ თუ გამოიმეტებს რამოდენიმე სიტყვას და ისიც იმისათვის რომ ისევ და ისევ თავის საყვარელსა და სანუკველ ნანგრევებს დაუბრუნდეს?

ან და სად ეძებს ის ამ ახალ ადამიანს, რომლის სრულის სახის გაცხადებასაც გვპირდება სხვათა შორის თვით შალვა დადიანის მიერ ხელმოწერილი მანიფესტი? ჯვარის მონასტერის ბერში, თუ იმ მუზეუმში, რომლებიც მას ასე (უკაცრავად მართლის დაურიდებლათ თქმისათვის) ასე უგემურათ გამოჰყავს თავის მოთხრობაში. ან და ის მგონია მას, იქნებ, ახალი ეპოქისათვის შეფარდებული და შესაფერი, როცა იძლევა რაღაც ბავშურათ უსუსურსა და ზღაპრულათ ამ ქვეყნის სინამდვილისაგან დაშორებულს რჩევას: ძველ ციხეებში და ტაძრებში რადიო-სადგურები, სანატორიუმები დასასვენებელი და გამასწორებელი სახლები, მუზეუმები და სხვ. ასეთები მოვაწყოთო. ასეთი წინადადება მას ჩვენი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში უნდა შეეტანა და კარგი იქნებოდა, თუ ამავე დროს არ დაივიწყებდა, რომ ეს ნანგრევები „ციცაბო კლდეების წვერო კონცხებზეა აღმართული". პატარა ამ [illegible] შეიძლება თავი არ შეეწუხებინა. ასეთ წინადადებებს აქ, ალბათ, [illegible] არ ყრიან—პირდაპირ სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატს გადაუგზავნიდენ... ავტორის ზოგიერთი თვისებათა შესამოწმებლად.

შალვა დადიანს მისდევს კონსტანტინე ჭიჭინაძე.

ის კიდევ შორს წასულა „ახლის" ძებნაში და თავის ლექსში, რომელსაც სახელათ „პრეისტორია" ჰქვია მოგვითხრობს იმ დროინდელ ამბავს, როდესაც საქართველო თურმე

„აშურბანიპალს უგზავნიდა ამაყ დესპანებს"
„და დიდ ხოლოლონს კიმერიელს [illegible] ელჩებს".

ასეთი დასაწყისი სწორეთ რომ საფათერაკო რამის მომასწავებელია და ჭიჭინაძე მართლაც რაღაც ისეთს მოგვითხრობს. ის გვეუბნება:

„მე მყვანდა ძაღლი,—დაუნდობელ, სასტიკ ღამეში
„ოთხაათას წლის წინად რომ უყეფდა ქურდებს";

ძალიან დიდ ხანს გაუძლია ამ ძაღლს, მაგრამ დაუსრულებელი არაფერია ამ ქვეყანათ და ბოლოს ამ ძაღლსაც ამოსვლია სული

„ის მოკვდა ბოლოს, დაიმალა დამპალ კანებად"

ვეღარ გაუძლია საწყალს თავისი პატრონის ასეთს მუხანათობისათვის და, ალბად იმ დროს, როდესაც კონსტანტინე ჭიჭინაძემ ხელი მოაწერა მანიფესტსა და ახალი ეპოქის ახალი ადამიანის სრული სახის გაცხადებას შეუდგა, ამჯობინა წასვლა საიქიოსაკენ.

„ო, მე მჯერა, რომ ეხლაც კიდევ იმის ყეფა
„მარადისობის უფსკრულებში მიეძინება"

ასე ათავებს ჭიჭინაძე თავის ძაღლის თავგადასავალს და იმდროინდელი საქართველოს ამბებს მოთხრობას, რაც ისტორიას არ ახსოვს.

შეიძლება ასე სთქვას ვინმემ:—რა ვუყოთ ეს იქნებ სიზმრათ მოელანდა ჭიჭინაძეს და პოეტმა ლექსათ გადმოგვცა სიზმრებიო. შეიძლება, მაგრამ ეს „არიფიონი" ხომ სიზმრის ახსნის კრებული არ არის და ახალი ეპოქის ადამიანმა, ერთი მიბრძანეთ, რა ოხრობათ უნდა ჭიჭინაძის სიზმრები და მისი ოთხი ათასი წლის ძაღლი?

ჭიჭინაძეს აქვე კიდევ აქვს ორი ლექსი, მაგრამ არც ერთში არაფერი არ ყრია ისეთი, რომ მათზე შეჩერება ღირდეს.

„ღრმა დაკვირვებით შემოვაჩერდი.
„თითქოს შორიდან ვიღაცას გვანდი.
„მაგრამ ვიტრინის წინ რომ გაჩერდი.
„მე ვიტრინაში ვიცანი ლანდი"

კარგი ხელობაა ღმერთმანი, ვიტრინაში ლანდების გამოცნობა, მაგრამ... აღარ ღირს აქ მეტი შეჩერება.

ჭიჭინაძეს ჯავახიშვილი „უმშვენებს" გვერდს. მის მოთხრობას „დამპატიჟე" ჰქვია.

ჯავახიშვილი ჩვენში იმდენად სახელოვანი მწერალი არაა, რამდენათაც უღირსად სახელგატეხილი. რამდენად დამსახურებულია ეს სახელი ეს სხვა საქმეა, მაგრამ ერთის თქმა უსათუოთ საჭიროა: ჯავახიშვილს კარგად ემარჯვება რაღაც მახინჯი ხალხის ამბავის შეკოწიწება. არც ერთი მისი მოთხრობის არც ერთი გმირი ჩვეულებრივ ნორმალურ ადამიანს არ ჰგავს. მკითხველი ეტანება ჯავახიშვილის ნაწერებს კითხვას, მაგრამ ეტანება ისე, როგორც ვთქვათ ორი თავიანი ხბო რომ იყოს სადმე საჩვენებელი, იმის დანახვას.

სერიოზული მწერლისათვის ამ გზით სიარული მიუღებელია, მაგრამ ჯავახიშვილს სხვა უნარი გააჩნია და ისიც ამ დაპირქვავებულ [illegible] თავდაღმართისაკენ, რაც დრო გადის „გულის გადასაყოლებლად", რომ [illegible] მკითხველები უფრო და უფრო მაგრათ გრძნობების გამაღიზიანებელ რამეს მოითხოვენ ავტორისაგან.

ჯავახიშვილი თავს არ იზოგავს.

მისი „დამპატიჟე" სწორედ ასეთი უფსკრულში ჩაგორებული კაცის ამბავია.

„დამპატიჟე" არ არის ასურბანიპალის დროინდელი ამბავი. ამ მხრივ ჯავახიშვილი სწორეთ ახალი ეპოქის შუაგულში ტრიალებს. ის დღევანდელი დღის ამბავს მოგვითხრობს. მისი ნაწარმოების მოკლე შინაარსი ასეთია: მებაღე-მოჯამაგირეს, საბჭოთა ხელისუფლების მიერ რეფორმების გატარების დროს არგუნა სწორეთ ის ბაღი, რომელსაც ის უვლიდა დიდი ხნის განმავლობაში. ბატონი სახლიდან გააძევეს და მთელი მისი კარმიდამო თევდორე-მებაღეს მიაკუთვნეს.

კეთილი და პატიოსანი! ასეთი ამბავი ერთი არ მომხდარა და ორი.

ვინ იცის, რამდენი მოჯამაგირე და ღარიბი გლეხი დასახლდა უწინდელი თავადების სასახლეებში, მაგრამ ჯავახიშვილი თავის კანონს ვერ უღალატებს და ამ ამბავში რაღაც უხამსი და უწმაწური უნდა ჩააქსოვოს.

თევდორეს ბაღი მიაკუთვნეს, შემდეგ „ზემდელამში" უთხრეს ბევრი მოგვიცია და მოზიარეთ აულაყუდა და ზარმაცი ოხერი ვინმე გამოუგზავნეს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი ამბავი ათასში ერთხელაც არ მოხდება ჩვენში, მაგრამ ჯავახიშვილს მახინჯები სჭირდება და, თუ ეს მახინჯი არ გამოძებნა, ხომ წახდა მაშინ მისი ხელობა და მწერლობა? მახინჯს სახელიც მახინჯი უნდა ჰქონდეს და ამ აულაყუდის ავტორმა რაღაც ასირებული სახელი უნდა უწოდოს—ესაა „დამპატიჟე".

თავდაპირველად „დამპატიჟე" მოზიარეა, შემდეგ მოსამსახურე. შემდეგ ისევ მთელი ბაღის პატრონი, ხოლო თევდორე ისევ იგივე მოჯამაგირე.

ეს „დამპატიჟე", რასაკვირველია, კომუნისტია, მას „ზემდელამში" „თავის კაცები" ჰყავს, ყველანი ერთად ქეიფობენ, ყოველგვარ იძულებასა და შევიწროებას აყენებენ საწყალ თევდორეს.

შეიძლებოდა ამ მოთხრობიდან ამონაწერების ამოკრეფა, მაგრამ ეს მეტად ბინძური საქმეა.

„რევოლიუციამ უდიდესი სოციალ-პოლიტიკური და სულიერი გარდატეხა მოახდინა. საბჭოთა სისტემამ ღრმათ გაიდგა ფესვები ხალხის შეგნებაში და უზრუნველჰყო ჩვენი მომავალი".

აი რას აწერს ხელს ჯავახიშვილი და ამის შემდეგ ერთი ჰკითხოს ვინმემ ამ ადამიანს, ნუ თუ ამ თავისი მოთხრობით აპირებს ის „ახალი შეგნების, შეგრძნობისა და გემოვნების" დამკვიდრებას?!!! ნუ თუ მისი სასტიკად გამასხარავებული და ტალახში ამოსვრილი „დამპატიჟე" არის ახალი ადამიანის სახე?

უნდა განსჯათ, როგორი სიამოვნების ნერწყვი ადგა ენაზე ჯავახიშვილს, როდესაც ის თავის თევდორეს პირით ლაპარაკობს რაღაც „კალასტოვი"-ს შესახებ, რა მახინჯათ და შავრაზმული ენის სიცინით არის არეული ერთმანეთში ეს „კულაკი", „პროლეტარი" და სხვა.

რა შეგვძინა ჯავახიშვილმა? ამ უდიდეს სოციალ-პოლიტიკური და სულიერი გარდატეხის ხანაში, მან იმდენი იმარჯვა, რომ სოფლის უჩინარ მომუშავეებს, რომლებიც „ზემდელოშიაც" მუშაობენ და ნამდვილ თევდორეს ინტერესების დაცვას ანაცვალებენ ჯანსა და სიცოცხლეს, ამ სოფლის პატარა, მაგრამ დიდი საქმის მკეთებელ ხალხს სიბინძურისა და აყროლებული წუმპის გუბე გადაასხა თავზე.

ასეთ შემთხვევაში ითქმის „კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოდინდებისო". ჯავახიშვილის მოთხრობა ასე თავდება „ფიქრობს თევდორე და დღემდისაც ვერ გადაუჭრია"

თავს ნუ იტყუებთ, ყველა ისინი, ვინც სხვისი წვენით იკვებებოდა—ყველა ასეთები თევდორემ და თევდორეებისთანა ხალხმა კარგი ხანია თავიდან მოიშორა. ერთი კია: არის ერთი წყება მეტყველებისა და ხილვის უნარით აღჭურვილი ხალხი, რომელიც იკვებება ზოგის უგუნურობითა და ზოგის უტიფრობით. ამ მეტყველების აყროლებული ორმო რაც ჩქარა ამოიფხვრება, მით უკეთესია.

ჯავახიშვილს ვასო გორგაძე მისდევს. ის ზემო-იმერეთის გლეხებს ლექსათ უგზავნის მოსაკითხს და ბოდიშს იხდის:

„ო, მაპატიეთ თუ, თქვენს წინაშე
„ვადიდებ შრომას უბრალო ლექსით"

ეს „უბრალო ლექსი" იმდენად შრომის დიდებას კი არ შეიცავს, რამდენათაც თვით ავტორის სულისკვეთების აღიარებას.

„მე გულს მიხარებს—მშობელ მიწაზე,
„რომ ასე მტკიცეთ გაიდგი ფესვი"-ო

ამბობს ის. ამ ლექსში ცოტათი მაინც სჩანს რაღაც ნიშან-წყალი ახალი დროის, ახალი ცხოვრების.

„დილით სირენის კივილი მწარე
„სერიდან სერზე გადმოგორდება
„და სოფლებიდან წყვეტ მაგარი
„მუშების წყება სწრაფად გროვდება"

„ქებათ ნაშიში"!! ეს ერთი და პირველი ნიშანია. აქ მკრთალად და მორცხვათ მაინც სჩანს ავტორის სურვილი, რომ ახალი დროის ამბავი შეიცნოს და გამოხატოს „უბრალო ლექსში", თუმცა მას ჯერ კიდევ ვერ მოუშორებია ის საერთო სენი, რომელიც ასე ჭარბათ ახასიათებს „არიფიონის" მწერლებს. გორგაძეს მაინც ვერ მოუშორებია ფიქრი იმის შესახებ, რომ

„თქვენც იცით, რომ ვარ თქვენივე ჯიშის—
გაუტეხელი დამასკის რვალი
„ჩვენ არწივებათ კლდეებზე ვიშვით
„და სისხლში გვიდუღს მზე დაუმცხრალი"

გორგაძეს, ეტყობა, სურვილი აქვს დაადგას ფეხი დღევანდელ სინამდვილეში („მშობელ მიწაში გაიდგას ფესვი", როგორც თვითონ გვაცნობს), მაგრამ ის ჯერ კიდევ ტყვეთ ჰყავს „დამასკის რვალს".

საზოგადოთ გორგაძე იძლევა იმედს იმისას, რომ თუმცა მართალია, მას არა აქვს „უკვე შეძენილი" მეტყველებისა და ესთეტიური ხილვის უნარი დღევანდელი (ორთქლისა და ელექტრონის ეპოქის) ადამიანის სრული სახის გასაცხადებლათ ლიტერატურაში, მაგრამ ამ მხრივ მას შეუძლია დაწინაურება.

რასაკვირველია, ამ შემთხვევაში საჭიროა, რომ ერთხელ და სამუდამოთ აიღოს ხელი ძველისა და ახალის ერთმანეთში აჯაფსანდლე[illegible] არევისაგან.

გორგაძის „უბრალო ლექსი" მხოლოდ მაშინ იქნება დასტურ უბრალო და ამიტომ გასაგები და მისაღები „ზემოიმერეთის გლეხებისათვის", როდესაც ის ამ არწივებს თავს დაანებებს.

მარელისელ გლეხებს დღეს ქარხანა აქვთ, ამ ქარხანაში საუკუნეების განმავლობაში თავთავის ეზო-გარემოში კარჩაკეტილი გლეხი დღეს ეჩვევა ახალ კოლექტიურ შრომას. აქ უნდა იგრძნოს მან, რომ ისინი ამ მწირი ხრიოკებში დაკიდებულ სოფლებიდან გამოსული გლეხები—არიან ახალი ცხოვრების, ახალი საზოგადოების აშენების მოწმე და მონაწილე.

მარელისელმა გლეხმა კარგად უნდა ადევნოს თვალი ღვედების ჭრიალსა და მოტორების გუგუნს, უნდა შეაჩვიოს თვალი და ყური მანქანების მოძრაობას, მათ (მანქანების) გაქანებას აყოლოს თავისი მაჯის [illegible], რომ ბოლოსა და ბოლოს იგრძნოს და იცნოს თავისი თავი, როგორც მომავალი [illegible] მშენებელი და კალატოზი.

არწივების კი რა მოგახსენოთ. არწივი ბოლოს იქნებ ერთ დროს (აშურბანიპალის დროს უგზავნიდენ საქართველოდან „ამაყ დესპანებს"—ეს ამბავი ისტორიას არ ახსოვს, მაგრამ კ. ჭიჭინაძის სიზმართა კრებულში არის ჩაწერილი!) კი იყო მარელისის ტყეებში, მაგრამ ეხლა იქ და მთებში მარელისის ქარხნისათვის საჭირო

პარტიული ცხოვრება

ანტი-რელიგიური პროპაგანდა უნდა გაძლიერდეს

მე-15 პარტყრილობაზე ამხ. სტალინმა აღნიშნა, „ჩვენ გვაქვს ისეთი ნაკლი, როგორიც არის ანტირელიგიური პროპაგანდის შესუსტება“-ო. სარწმუნოებრივ ორგანიზაციებს აქვთ უფლება რელიგიური პროპაგანდის წარმოებისა. ისინი ამით საუცხოვოთ სარგებლობენ. ამ საქმეში მათ დახმარებას უწევენ კულაკები, ნეპმანები, და ყველა ანტისაბჭოთა ელემენტები, რადგან იმათ კარგად იციან, რომ ამ გზით თავიანთ კონტრრევოლიუციონურ ზრახვების განსახორციელებლად ნიადაგს ამზადებენ.

ამ შემთხვევაში ულმერთოებსაც მართებთ გამოფხიზლება, შეკავშირება და რელიგიურ ფრონტზე სერიოზული ბრძოლის დაწყება. მე-15 პარტყრილობის დადგენილება კულტურული რევოლიუციის შესახებ შეუძლებელია განხორციელებულ იქნას, თუ სარწმუნოებას არ შევებრძოლეთ. საქართველოში მრავალი სხვადასხვა კულტურულ დონეზე მყოფი ეროვნება ცხოვრობს, მრავალია ჩვენში სარწმუნოებანიც. როცა სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლაზე ვლაპარაკობთ, უწინარეს ყოვლისა ვგულისხმობთ ქრისტიანულ ეკლესიას. მაგრამ ამით არ უნდა განისაზღვროს ულმერთოთა ორგანიზაციების ბრძოლის ამოცანები. ჩვენ ომი უნდა გამოუცხადოთ ყოველგვარ სარწმუნოებას. მაგ. მუსულმანური სარწმუნოებას. განა შეიძლება საბჭოთა სკოლა, საბჭოთა კულტურა შეიჭრას მუსულმანურ მოსახლეობაში, თუ სარწმუნოებამ არ დაუთმო მას ადგილი? არა. იგივე ითქმის სექტანტებზეც. სამწუხაროთ, სექტანტებისთვის ამ ქვეყნად თითქოს არაფერი შეცვლილა. ისინი ფიქრობენ, მსჯელობენ და მოქმედობენ ისე, როგორც მათი წინაპრები და არც უნდათ მათ „ეღალატონ“. სექტანტები შორს სდგანან ჩვენი გავლენისგან ისინი თავისებურ „კულტურულ-განმანათლებელ“ დაწესებულებებს ქმნიან და იქ ზრდიან თავიანთ ახალგაზრდებს და თანამორწმუნეთ. თუ ავიღებთ ჩამორჩენილ საქართველოს რაიონებს. სადაც განათლების შუქს ჯერ არ შეუხედავს, იქაც არაა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

საჭიროა ამ მდგომარეობას ულმერთოებმა ანგარიში გაუწიონ და შემპარავ მტრის წინააღმდეგ ორგანიზაციები განამტკიცონ. ჩვენში დღემდე არ არის უმთავრეს მაზრებში „ულმერთოთა კავშირის“ უჯრედები. მართალია აქ მხრით ერთგვარი მუშაობა დაწყებულია, მაგრამ მისი განვითარება ძლიერ ზანტად სწარმოებს. საჭიროა რომ მომავალი სააღდგომო კამპანია გამოყენებულ იქნას „ულმერთოთა“ უჯრედების დასაარსებლად.

ამის ნიადაგი ამჟამად უკვე მომზადებულია. ამ უჯრედებში უნდა გაერთიანდენ პარტიულები, კომკავშირლები, ყოფილი წითელ არმიელები, პროფკავშირის წევრები და ყველა ულმერთო უპარტიოები. „ულმერთოთა“ უჯრედები მასიურ ორგანიზაციებად უნდა გადაიქცენ. რომლებსაც კულტურულ მშენებლობაში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ანტირელიგიურ მუშაობას ჯერ კიდევ გულგრილად უყურებენ. წარმოიდგინეთ, რომ ამ დარგში ერთი სპეციალური მუშაკიც კი არა გვყავს. რომელიც თვალყურის მდევნებელი იქნება რელიგიურ-ანტირელიგიურ მოძრაობის, შეისწავლის მას და შეეცდება მოხერხებულად მას წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებას. დიდ ნაკლად ჩაითვლება ანტირელიგიურ დარგში მომზადებულ მუშაკების საერთო ნაკლებობა.

აუცილებელია ჩვენს სასწავლებლებში, პირველად ყოვლისა პარტიულ სკოლებში და პედაგოგიურ ტეხნიკუმებში შემოღებულ იქნას სპეციალური ანტირელიგ. კურსი მუშაკების მოსამზადებლად. ამასთანავე აუცილებელია მოეწყოს სპეციალური ანტირელიგ. კურსებიც. პარტგანათლების ქსელის პროპაგანდისტთა კადრიც უნდა გაეცნოს ანტირელიგ. საკითხებს. ჩვენი სკოლები ნაკლებად ამუშავებენ ანტირელიგ. საკითხებს. საჭიროა მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებზე შესწავლილ იქნას ეს საკითხები.

დაბოლოს აუცილებელია ანტირელიგ. წრეების დაარსება სოფლად და ქალაქად. მაგრამ ამას ხელს უშლის ლიტერატურის უქონლობა ქართულ და ნაციონალურ უმცირესობის ენებზე. საჭიროა ჩვენმა გამომცემლობამ ეს დიდი ნაკლი გამოასწოროს. მაშინ ანტირელიგიური ორგანიზაციების ჩამოყალიბებას და მათი პროპაგანდას მტკიცე საფუძველი ჩაეყრება.

დ. ო.—ძე.

პარტგანათლება თბილისის მაზრაში

თბილისში ამჟამად მუშაობს 250 სასწავლო ერთეული (სკოლები და წრეები). შემოკლებული სკოლები არის 45, რომლებიც აერთიანებენ 976 მსმენელს, ნორმალური სკოლები—55 1.269 მსმენელით, საღამოს პარტიული სკოლები 29—722 მსმენელით, ოქტომბრის გაწვევის სკოლები 24—492 მსმენელით; ლენინიზმის წრეები 12—186 მსმენელით; მიმდინარე პოლიტიკის წრეები 79—1.680 მსმენელით; საპროპაგანდო კურსები 6—83 მსმენელით. აღნიშნული სკოლები და წრები აერთიანებენ სულ 5.408, რომელთგან 4.497 პარტიულებია. პარტქსელში ჩაბმულია თბილისის ორგანიზაციის 41.7 პროც. ამას გარდა თვითგანვითარებით ქსელში ჩაბმულია სულ 793 პარტიული. აქედან 166 კაცი გაერთიანებულია თვითგანვითარების 18 წრეში და ინდივიდუალურ თვითგანვითარების გზით მეცადინეობს 627 კაცი. ამრიგად ქალაქში პარტსწავლას ეწევა 5.290 პარტიული, ე. ი. მთელი ორგანიზაციის 49 პროც.

თბილისის მაზრაში ამჟამად არსებობს 22 პარტგანათლების ერთეული.

5 მოძრავი პოლიტცოდნის სკოლა 199 მსმენელით, 17 სტაციონალური სკოლა 198 მსმენელით.

4 მოძრავ სკოლამ უკვე დაამთავრა მუშაობა და გამოშვებულია.

მსმენელებიდან პარტიულებია 397, ე. ი. მაზრის ორგანიზაციის 47 პროც.

ქალაქში და მაზრაში საერთოთ ჩაბმულია პარტსწავლაში 5.687 პარტიული, ე. ი. 47 პროც. მთელი ორგანიზაციისა.

ამას გარდა პარტიულ განათლებას ღებულობენ: დაუსწრებელ კომუნისტურ უნივერსიტეტში 363, დაუსწრებელ კომუნივერსიტეტის პროგრამით 25, ცენტრპარტსკოლაში 123, სახელმწიფო უნივერსიტეტში 202, პოლიტეხნიკუმში, კონსერვატორიაში და სამხ. აკადემიაში 116, მუშფაკში 389, მაღალი ტიპის სკოლებში და პროფტეხნიკურ კურსებზე 180. სულ 6905 კაცი.

საქ. კომპარტიის ორგანიზაციებში

კოლექტიურ მეურნეობათა მდგომარეობა

(სიღნაღი)

სიღნაღის პარტკომის პრეზიდიუმმა, მოისმინა რა მოხსენება კოლექტიურ ორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ, საჭიროთ სცნო: გაუქმებულ იქნას ის კოლექტივები, რომელშიაც შედიან კულაკური ელემენტები და არ ატარებენ კოლექტიურ სახეს, აგრეთვე შევსებულ და გადახალისებულ იქნეს ისეთი კოლექტივები, რომელნიც მცირე ერთეულიდან არიან შემდგარი; მოგვარდეს კოლექტიურ მეურნეობათა სოციალური შემადგენლობა; ახალი კოლექტივების შედგენის დროს გათვალისწინებული იქნეს წარსული შეცდომები; როგორც იყო კოლექტივების სტიქიურად დაარსება და ყოველ ცალკე შემთხვევაში მოხდეს მათი დეტალური შესწავლა; მიღებულ იქნეს ზომები, რათა პირველ რიგში მოწყობილ იქნეს კოლექტივების მიწათმოწყობა; კოლექტივებმა მჭიდრო კავშირი იქონიონ აგროპუნქტებთან და თავიანთი მეურნეობა აწარმოონ ინტენსიური გზით; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კულტურული მუშაობის თავის სიმაღლეზე დაყენებას კოლექტივებში და ყოფა-ცხოვრების საკითხების შესწავლას.

—:—

პარტგანათლება

(თელავის მ.)

თელავის სამაზრკომის პრეზიდიმმა მოისმინა რა მოხსენება პარტგანათლების მდგომარეობის შესახებ აღნიშნა, როგორც შემდეგი ქვე- და პარტორგანიზაციების მიერ არა საკმარისი ყურადღების მიქცევა მოძრავ პოლიტსკოლების ნორმალურ მეცადინეობის მსვლელობაზე; მოძრავ პოლიტსკოლებში დელეგატ ქალების და ა. ლ. კ. კ. წევრთა მცირე ჩაბმა; თვითგანვითარების წრეების სიმცირე და სხვა. მომავლისთვის პრეზიდიუმმა აუცილებელ საჭიროთ ჩასთვალა; უჯრედების ბიუროების და თემკომების მიერ მიღებული იქნეს საჭირო ზომები პარტდისციპლინის აღდგენისათვის, რათა ასეთი სახის სკოლებში ჩაბმული იქნეს პარტამხანაგების ასი პროცენტი, უჯრედების სხდომებზე უნდა ისმებოდეს პოლიტსკოლებზე ხელმძღვანელობის საკითხები; მოძრავ პოლიტსკოლებში ჩაბმული უნდა იქნეს ა. ლ. კ. კ. მესამე კატეგორიის წევრები და დელეგატ ქალთა საკმაო რიცხვი; წარმოებული უნდა იქნეს მუშაობა მოძრავ პოლიტსკოლებში ეროვნულ უმცირესობათა მეტი რაოდენობით ჩაბმისათვის.

—

ოქტომბრის გაწვეულთა შორის

(შორაპნის მ.)

შორაპნის სამპარტკომმა მოისმინა რა მოხსენება ოქტომბრის გაწვეულთა შორის მუშაობის შესახებ, საჭიროთ სცნო: ოქტომბრის გაწვეულთა შორის მუშაობის საწარმოებლად შეიქმნეს ჯგუფები პოლიტწრე მუშურ უჯრედებთან. პოლიტწრეებს დაეგზავნოს პროგრამა და სახელმძღვანელო წიგნები, გამოიყოს ხელმძღვანელებათ სათანადოთ მომზადებული ძალები.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ხანძარი მუშათა სასახლეში

ფოთი, 24 მარტი. გუშინ საღამოთი ადგილობრივი ტრანსპორტის კავშირის მუშათა სახლში გაჩნდა ხანძარი. ხანძარი დაიწყო ბუხჰალტერიის შენობიდან. ხანძარი ჩააქრო ქალაქის და ნავთსადგურის მეხანძრეთა რაზმმა. დაიწვა ბუხჰალტერიის ოთახი და „ზაკპოგრუზის“ ყველა დოკუმენტები. დაახლოებითი ზარალი აღწევს 4.000 მანეთამდე.

მაქსიმ გორკის იუბილეისთვის

ცხინვალი, 23 მარტი. სამხრეთ-ოსეთის პროფსაბჭოსთან მოეწყო სპეციალური კომიტეტი მაქსიმ გორკის იუბილეს ჩასატარებლად. მზადდება დასადგმელად გორკის პიესა „მეშჩანე“. 30 მარტს შესდგება საზეიმო სხდომა პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციების მონაწილეობით გორკის იუბილეს აღსანიშნავად (ადს).

წერილები

ვებრძოლოთ ცრუმორწმუნეობას

თვითმპყრობელობის ბატონობის დროს სარწმუნოება ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა გაბატონებული კლასების ხელში. სამღვდელოება პირნათლად ასრულებდა მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ისინი ყოველმხრივ უწყობდენ ხელს მშრომელი ხალხის გონების დაბნელების საქმეს. სამღვდელოება ასეთი „მოღვაწეობისათვის“ თვითმპყრობელობის მიერ შესაფერისად იყო დაჯილდოებული. გარდა იმისა, რომ ისინი სახელმწიფოს ხაზინიდან იღებდენ კარგა მოზრდილ ჯამაგირს, გლეხობას ახდევინებდენ აგრეთვე ეგრედ წოდებულ დრამის ფულს კომლზე ორ მანეთს და ზოგჯერ მეტსაც. ეს კიდევ ცოტაა, ისინი ტყავს აძრობდენ გლეხობას დაქორწინებისა, ნათლობისა და გარდაცვალებულის დასაფლავებისათვის. აურებელ ფულებს იჯიბავდენ „წმინდა სანთელის“ გაყიდვიდან. ამასთან ერთად ეკლესიებს ჰქონდა აგრეთვე მამულები, რომლის შემოსავალი სამღვდელოების ჯიბეში მიდიოდა.

ერთი სიტყვით თვითმპყრობელობის დროს სამღვდელოება ყოველ მხრივ იყო უზრუნველყოფილი.

ოქტომბრის რევოლიუციამ სამღვდელოების თარეშს ფრთები შეუკვეცა. საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესიას ჩამოაცალა სახელმწიფოს, ჩამოართვა მამულები, სამღვდელოებას მოუსპო ჯამაგირი და სარწმუნოება კერძო საქმედ გამოაცხადა.

ამას ზედ დაერთო აგრეთვე საჭირო პროპაგანდა-აგიტაცია მშრომელ ხალხში, რომელთაც განემარტა ცრუმორწმუნეობის მავნებლობა თვით მშრომელი ხალხისათვის.

ასეთმა ზომებმა გამოიღო შესაფერისი ნაყოფი. ბევრ ადგილას გლეხობას გამოჰქონდა დადგენილებები ეკლესიების გაუქმებისა და მათი კულტურული მიზნებისათვის გამოსაყენებლად. ბევრი „ნაკურთხი მამა“ იძულებული გახდა მღვდლობისათვის თავი დაენებებია და სამოქალაქო ცხოვრებას შესდგომოდა. მაგრამ სოფლად ჯერ კიდევ არიან შემორჩენილნი თითო-ოროლა მღვდლები, რომლებიც შესაფერისად სარგებლობენ ხალხის შეუგნებლობით და თავიანთ საკუთარ ჯიბეს ისქელებენ. ამის ერთ მაგალითს წარმოადგენს სოფ. სიმონეთის მღვდლის საქციელი, რომელიც მიცვალებულის დასაფლავებისათვის იღებს 10—15 და ზოგჯერ 20 მანეთსაც.

საჭიროა სოფლად მღვდლების თარეშს სასტიკი წინააღმდეგობა გაეწიოს, მაგრამ არა რა თქმა უნდა რეპრესიებით, არამედ პროპაგანდა-აგიტაციის გაწევით გლეხობაში. ეს საქმე უნდა იკისროს პარტიის, კომკავშირის და პირველ ყოვლისა პოლიტგანმანათლებელ ორგანოებმა. გლეხობას უნდა შევაგნებინოთ ცრუმორწმუნეობის მავნებლობა მათი პირადი ინტერესებისათვის.

ს—ე.

გლეხობის ნაშრომით მდიდრდება

ს. სიმონეთი, ქუთაისის მაზრა

სოფ. სიმონეთი ბუნების მიერ დაჯილდოებულია სიმდიდრით, მაგრამ სამწუხაროდ გლეხობა და მოზარდი ახალგაზრდობაც შეუგნებლობის და ჩამორჩენილობის ბურუსში გახვეული. აქ ცრუმორწმუნეობას ფართედ აქვს გადგმული ფესვები, მაგალითად, სოფელში ძველებურად სწარმოებს „ღვთის მსახურება“. არც ერთი მიცვალებული არ დასაფლავებულა მღვდელ ბერზულის გარეშე. ეს „სულის მამაც“, რასაკვირველია, ეწევა გლეხობაში თავის სასარგებლო აგიტაციას. ბერზული თვითეულ მიცვალებულის დასაფლავებისათვის 10—15 მანეთს და ხანდახან კიდ[illegible]პისათვის ღებულობს 10—15 მანეთს და ხანდახან კი მეტსაც.

ამა წლის ათ მარტს ამ სოფელში უნდა დაესაფლავებიათ სამი მიცვალებული. „მამა“ ბერზულმა დაინახა რა მათი დასაფლავება „მისი კურთხევის“ გარეშე არ მოხერხდა, გაჰმართა ვაჭრობა. ერთის ჭირისუფალს გამოართვა 10 მანეთი, მეორეს 15 და მესამეს კი 20 მანეთი.

ამ ბოროტი ადამიანის თავაშვებულებას არავინ ყურადღებას არ აქცევს. ადგილობრივი ხელისუფლება არ ეწევა გლეხობაში არავითარ აგიტაციას ამ ხალხის მყვლეფელის წინააღმდეგ. გლეხები გაიძახიან: თემის ცენტრს მოწყვეტილი ვართ და ჩვენ საჭირბოროტო საკითხებს არავინ ესარჩლებაო.

ახალგაზრდობაც არ ეწევა სათანადო მუშაობას ამ სფეროში.

სოფ. სიმონეთში სასოფლო გზებიც ცუდ მდგომარეობაში იმყოფება, გზები ძალზე ვიწროა და არავინ არ ზრუნავს მათ გაფართოებაზე და შეკეთებაზე.

საჭიროა ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა მიაქციოს ამ გარემოებას შესაფერი ყურადღება და გამოაღვიძოს სოლათის ძილში მყოფი ადგილობრივი თემაღმასკომი.

ნ. ც—ლი.

ღირსეულად ჩავატარეთ

(წერილი სენაკიდან)

ქალთა საერთაშორისო დღეს, 8 მარტის დღესასწაულის აღსანიშნავად სამაზრო ქალთა განყ. შეთანხმებით სამ. აღმასკომის მიერ ქალაქის პოლიკლინიკასთან გაიხსნა დედათა და ბავშვთა კონსულტაცია.

მაზრაში 400-მდე ღარიბი-გლეხი ქალები შეყვანილ იქნა კოოპერაციაში წევრებად კოოპერაციის მოგების ფონდიდან.

თვით 8 მარტის დღესასწაული ქ. სენაკში დიდი ზეიმით ჩატარდა, მიუხედავათ იმისა, რომ ძალზე ცუდი ამინდები იდგა: 8 მარტს საღამოს ქალაქის მუშათა კლუბის დარბაზში ვერ იტევდა საზეიმო სხდომაზე დასასწრებლად მოსულ ქალაქის მშრომელთ.

7 საათზე საზეიმო სხდომა გახსნა ქალთა განყ. გამგე ამხ. ო. ჩიჩუამ მოკლე წინასიტყვაობით. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს კომპარტიის, კომკავშირის, აღმასკომის, პროფკავშირის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა! დღესასწაულის მნიშვნელობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ო. ჩიჩუამ.

საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ მოხდა ქალაქში მცხოვრები ღარიბი ბავშვის კომუნისტური ნათლობა, ბავშვი აიყვანა ქალაქის „ეპო“-მ და იკისრა ბავშვისადმი ყოველგვარი დახმარების გაწევა, რამაც დამსწრე საზოგადოებაში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

ბოლოს უფასოდ გაიმართა სხვადასხვა სახის გასართობები.

შურა იოსავა.

ცხენის-წყლის ნაპირების გამაგრება

(წერილი ცაგერიდან)

ცაგერი გაშენებულია მდინარე ცხენის-წყალის პირას. ყოველწლიურად უკანასკნელი ავიწროებს ქალაქის ტერიტორიას. მეორე მხრით 23 წლიდან ცაგერს ემუქრება დაუპატიჟებელი სტუმარი დიდი ღელე, რომელიც მას სრულ განადგურებას უქადის.

როგორც პირველს, ისე მეორე უბედურებას დროზე უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება წინააღმდეგ შემთხვევაში რამოდენიმე წელიწადში ქალაქი მთლად დაინგრევა.

ადგილობრივ ხელისუფლების მიერ მრავალჯერ იყო აღძრული შუამდგომლობა, სადაც ჯერ არს ამ საკითხების მოგვარებისათვის. მაგრამ საკითხი მოუგვარებელი იყო. ბოლოს წყალთა სამმართველოს მიერ თებერვლის პირველ რიცხვებში მოვლინებულ იქნა ქ. ცაგერში ტეხნიკოსი, რომელმაც დაათვალიერა როგორც ცხენის-წყლის ნაპირები, ისე ხევიც. და მოახდინა სათანადო გამოკვლევა. მთელი [illegible] და მასალები წარდგენილია წყალთა სამმართველოში. წყალთა სამმართველო ახლო მომავალში უკვე შეუდგება მუშაობას, რისთვისაც განსაზღვრებით იგზავნება უკანასკნელ დასკვნისათვის ინჟინერი.

ადგილობრივი მშრომელი მოსახლეობა დარწმუნებულია. რომ წყალთა სამმართველო პირნათლად შეასრულებს მის დაპირებას, რითაც ის იხსნის ქ. ცაგერს განადგურებისაგან.

ცხენისწყლისპირელი.

წერილებიდან

აგრონომიული დახმარებაა საჭირო

ამაღლების თემი, გურია

ამაღლების თემის გლეხობა მისდევს მხოლოდ სიმინდის, ლობიოს და კარტოფილის თესვას, არც ერთი მათგანი ხეირიანად არ მოდის და გლეხს ნახევრადაც არ ყოფნის მოსავალი. ამ თემში საუცხოვო მოსავალს მოგვცემს ჩაის მოშენება, მაგრამ ამისათვის საჭიროა აგრონომის გამოგზავნა და ნიადაგის შერჩევა, თუ სად უფრო კარგი მოსავლის მიღება შეიძლება. საჭიროა აგრეთვე გლეხობისთვის კრედიტის მიცემაც, რითაც თავს დავაღწევთ ეკონომიურ სივიწროვეს.

ი. ჯ—ძე.

კიდევ განაგრძობენ

ს. ლიხაური, ოზურგეთის მაზრა

მიუხედავად აკრძალვისა, მიწების ყიდვა-გაყიდვას ზოგიერთები კიდევ განაგრძობენ. მაგალითად ს. ლიხაურის მცხოვრებმა გერასიმე მემარნიშვილმა მიყიდა 4 ქცევა მიწა იმავე სოფლის მცხოვრებ რაჟდენ სალუქვაძეს. თემაღმასკომი ამ საქმეს გულზე ხელდაკრეფილი უცქერის.

დროა სასტიკად აღიკვეთოს მიწების ყიდვა-გაყიდვა.

„მალლარი“.

დიდი მნიშვნელობა ექნება

ბაღდადის თემი, ქუთაისის მაზრა

მდინარე ყვირილაზე ხიდის უქონლობის გამო დიდ სივიწროვეს განიცდის თემის გლეხობა. უხიდობის გამო მათი ნაწარმოები ჩალის ფასად უვარდება ხელში ჩარჩებს. როგორც გამოირკვა ქუთაისის აღმასკომმა გადაუწყვეტია ყვირილის მდინარეზე ხიდის აგების საკითხი, რაც დიდ სიხარულს გამოიწვევს გლეხობაში.

ა. შავგულიძე.

მუშათა ცხოვრება

ნაწარმოების თვითღირებულების დაწევა და მუშკორთა ამოცანები

ნაწარმოების თვითღირებულების დაწევა, ერთი მთავარი საშუალებათაგანია, როგორც სოციალისტურ მეურნეობის ზრდა-განვითარებისათვის, ისე ხელფასის რეალურ ზრდისათვისაც. ეს საკითხი არ არის ახალი საკითხი. დღემდე ჩატარებული და ამჟამად მიმდინარე ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ასაწევად, მომჭირნეობის რეჟიმის ცხოვრებაში გასატარებლად, ზედმეტი ხარჯების შესამცირებლად და ბოლოს წარმოების და საერთოდ ჩვენი მეურნეობის რაციონალიზაცია—იყო და არის აგრეთვე ბრძოლა წარმოების თვითღირებულების დასაწევად. ყველა ამ კამპანიების საბოლოო მიზანს შეადგენს გამონახოს საშუალებები თვითღირებულების შესამცირებლად. ამიტომ თვითღირებულების დასაწევი ღონისძიებები განხილული უნდა იქნეს რაციონალიზატორ მუშაობასთან დაკავშირებით.

რაციონალიზაცია მაშინ არის აღსანიშნავი, როდესაც ტარდება ნაწარმოების თვითღირებულების დაწევა. სხვანაირად არც შეიძლება წარმოების რაციონალიზაცია. მუშაობის გაჰარტივება და გაადვილება სწორედ იმიტომ ხდება. რომ რაც შეიძლება წარმოებას იაფად დაუჯდეს ამა თუ იმ მასალის დამზადება. ამ მხრივ. რასაკვირველია გვაქვს მრავალი მიღწევები, მაგრამ ამასთან ერთად გვაქვს ნაკლიც, რომელიც აფერხებს თვითღირებულების დაწევას.

მუშკორებმა სასტიკი და ულმობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ თვითღირებულების დასაწევ მუშაობაში შემჩნეულ ნაკლს, როგორც მუშკორთა კრებებზე, ისე კედლის გაზეთებში უნდა წამოაყენონ თვითღირებულებასთან დაკავშირებული საკითხები და განიხილონ იგი ყოველ მხრივ.

რას უნდა მიაქციონ მუშკორებმა მთავარი ყურადღება? უპირველეს ყოვლისა, საჭიროა თვითეული მუშკორი იცნობდეს არა მარტო ნაწარმოების თვითღირებულებას, არამედ იცოდეს აგრეთვე ისიც, თუ საიდან შესდგა ეს ღირებულება: ნედლი მასალის ფასი, ნაწარმოების დამზადებაში დახარჯულ სათბობ მასალის, ან სხვა დამხმარე საშუალებების ღირებულება, სხვა რამე დამატებითი მასალის ფასი, მუშის ხელფასი და ყველა ის ხარჯები, რაც დასჭირდა ამა თუ იმ ნაწარმოებს.

გარდა ამისა მუშკორთა წრეებმა უნდა გამოარკვიონ ისიც, თუ წარმოების მოწყობილობა რამდენად აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ან რამდენად მიზანშეწონილად არის გამოყენებული და საქმეებით დატვირთული ესა თუ ის დაზგა. ხომ არ არის შემთხვევა დაზგების გაცდენისა, და თუ არის რა მიზეზით: განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე თვით წარმოების საქმიანობის ორგანიზაციულ მხარესაც.

ყველა ეს საკითხები მუშკორთა ორგანიზაციებმა საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ და გააშუქონ ისინი უმთავრესად კედლის გაზეთებში.

სასურველია კედლის გაზეთებში შემოღებული იქნეს განყოფილებები, სადაც უნდა იწერებოდეს ნაწარმოების თვითღირებულების ფორმები: ნედლი მასალის ფასი, ხელფასი და სხვა. და ამ თვითღირებულების დაწევის შემთხვევები დიაგრამების საშუალებით.

ასეთი მუშაობით გარდა იმისა. რომ მუშკორები ხელს შეუწყობენ ნაწარმოების თვითღირებულების დაწევას და საერთოდ წარმოების რაციონალიზაციას, ამავე დროს აწევენ მუშკორთა კულტურულ დონესაც. ამიტომ ყველა მუშკორი და მუშკორთა ორგანიზაცია უნდა ჩაებას ამ მუშაობაში და განსაკუთრებული ყურადღებით გააშუქოს თვითღირებულების საკითხები პრესაში.

პროლეტარი.

—:—

რა გამოირკვა

გაზ. „კომუნისტი“-ს 7 თებერვლის ნომერში მოთავსებული იყო წერილი მთიელ საბავშვო სახლის შესახებ. წერილი ეხებოდა საბავშვო სახლში კულტმუშაობის სისუსტეს, უსუფთაობას, ბავშვების კვების საკითხს და სხვა. ამის შესახებ ამხ. მარიამ ორახელაშვილის განკარგულებით შესდგა კომისია, რომელმაც გამოარკვია შემდეგი: მთიელ ბავშვთა სახლი კვების, ტანსაცმელის და ფეხსაცმელების მხრივ სრულიად დაკმაყოფილებულია. არავითარ უკმაყოფილებას, როგორც საბავშვო სახლის გამგის, ისე ბავშვების მხრით ადგილი არ აქვს. ბავშვები სუფთად და ფაქიზად არიან ჩაცმული; დაკმაყოფილებული არიან საცვლების გამოცვლით და ყოველ კვირაში იბანენ ტანს. სახლში დალაგება და საერთოდ ქვეშაგებ-თეთრეულის სისუფთავეა, კომისიამ დამაკმაყოფილებლად მიიჩნია. სახლს აქვს ჩაისთვის ფინჯნების საკმაო რიცხვი და ყველა საჭირო ჭურჭელი სადილისათვის. სახლში ეპიდემიური ხასიათის დაავადებას ადგილი არ ჰქონია, ხოლო ცალკე შემთხვევაში ადმინისტრაციის მიერ მიღებულია ყოველგვარი ზომები დაავადებულთა განმხოლოებისათვის. გარდა ამისა, სასწავლო წლის განმავლობაში იდგმებოდა წარმოდგენებიც, არსებობს კედლის გაზეთიც, მაგრამ მისი გამოცემის საქმე მოისუსტებდა. არ არის შენახული კედლის გაზეთის ძველი ნომრები და სხვ. სამრეცხაო, სადაც ამავე დროს ბავშვები ბანაობენ, საკმაოდ არის შეკეთებული, მაგრამ ტანისაბანად მოუხერხებელია. ბავშვებს არა აქვს საზამთრო პალტოები, თუმცა არის [illegible] დანარჩენი მაუდი, რომლის გამოყენება შეიძლებოდა პალტოებისათვის.

კომისია.

თბ. საქუდის საწარმოო თათბირის მუშაობა

საანგარიშო წლის განმავლობაში, საქუდის საწარმოო კომისიას ჰქონდა 11 სხდომა, საწარმოო თათბირი შესდგა სულ ხუთჯერ. საქუდის საწარმოო ქვეკომისიას ქონდა ორი სხდომა, სადაც გაირჩა 18 საკითხი, სარონდო პარკის ქვეკომისიას 4 სხდომა და გაირჩა 20 საკითხი. ქვეკომისიების მიერ გარჩეული საკითხები განსახილველად და საბოლოოდ დასამტკიცებლად, ეძლეოდა საწ. კომისიას.

საწ. კომის. და საწ. თათბირის 16 სხდომაზე გარჩეული იქნა 100 საკითხი, აქედან ორგანიზაციულ-სავეგმო 23 საკითხი, ტეხნიკური 20, მასალის ნაკლებობის 5, იარაღის შესახებ 8, დაზგების შეძენის 2, დაზგების შეკეთების 4, ცუდი ხარისხის მასალის 4, მომჭირნეობის 8, გაუმჯობეს. და გამოგონ. 6. სხვადასხვა საკითხი 20. ამ საკითხებიდან ცხოვრებაში გატარებულია 69 საკითხი. დანარჩენი, 31 საკითხი, რომელთა შორის უმრავლესობა ტეხნიკური ხასიათის საკითხებია, გაუტარებელია, რადგან ისინი თხოულობდენ კრედიტის გახსნას. მიმდინარე წელს კრედიტი გაიხსნა და ეს საკითხებიც გატარდება ცხოვრებაში.

გატარებულ წინადადებების ეკონომია აღწევს 20.000 მან. გაუმჯობესების პრემიის მისაცემად გამოყოფილია საექსპერტო კომისია, რომელსაც ჯერ-ჯერობით არ დაუმთავრებია თავისი მუშაობა, მაგრამ წინადადებისათვის 300 მან. პრემია მაინც მიეცა მემანქანე ყიფიანს.

საწ. თათბირებზე და კომისიის სხდომებზე, გარდა მუშებისა, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა, როგორც ადმინისტრაცია, ისე ტეხნიკური პერსონალიც. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მუშების ზოგიერთი წინადადებები ჯერ კიდევ არ არის განხილული, ხოლო განხილულების შესრულებას კი აგვიანებენ.

საერთოდ საწ. კომისიის და თათბირების სხდომებზე უმთავრესად ირჩევა ისეთი საკითხები, რომლებიც მოითხოვენ საკმაო თანხას, რის გამო ან გვიანდება წინადადებების შესრულება, ან და სავსებით უყურადღებოდ რჩება.

ამავე დროს არის ბევრი წვრილმანი საკითხები, რომლის გატარებაც არც ისე დიდ თანხებს მოითხოვს.

მომავალი მუშაობის გასაღრმავებლად საჭიროა საწარ. კომის. სხდომებზე პერიოდულად ისმებოდეს ადმინისტრაციის მოხსენებები წინადადებების გატარების მსვლელობის შესახებ.

პროფორგანოები ვალდებული არიან გამოარკვიონ ყველა წინადადებებს შეტანილ სამეურნეო მუშაკების მიერ მომჭირნეობის რეჟიმის დარგში და სხვა. ადგილკომებმა მიზანშეწონილად უნდა მიუდგნენ ყველა საკითხებს და მოამზადონ მუშათა მასსა ამა თუ იმ საკითხის განსახილველად.

საწარმოო თათბირების და საწარმოო კომისიების მიერ უნდა მიექცეს ყურადღება, როგორც მსხვილ, ისე წარმოების წვრილმან საკითხებს და მიიღონ ზომები დეფექტების გასასწორებლად, ეს ხელს შეუწყობს საწარმოო საშუალებების დაგროვებას და შრომის ნაყოფიერებასაც საგრძნობლად ასწევს.

მუშკორი ფხიზელი.

—:—

ნაკლებს რად ვღებულობთ?

ნავთლუღ შუა ყოველდღე ინიშნება ორი კონდუქტორთა გუნდი გადამცემ მატარებლებზე. თითო გუნდს უხდება თორმეტ-თორმეტი საათი მორიგეობა. ამ ხნის განმავლობაში მათ რამოდენიმეჯერ მიჰყავთ და მოჰყავთ მატარებელი სადგ. თბილისიდან ნავთლუღამდე. თითო მატარებელი შესდგება 50—60 ვაგონიდან. ვაგონები თითქმის ყველა დახსნილია, მათ ჯაჭვებით ერთი-მეორეზე გადაბმა, [illegible] გასინჯვა და სხვა, ბევრ შრომას იწვევს. ეს შრომა კი მათ ძალიან მცირე რაოდენობით უნაზღაურდებათ: რადგან თბილისიდან ნავთლუღამდე მოკლე მანძილია, ამიტომ ისინი ღებულობენ თითო კილომეტრზე თითო კაპიკს.

ამავე პირობებში მომუშავე წევის დარგის მუშები კი მემანქანე, თანაშემწე და სხვები, რომლებიც ემსახურებიან გადამცემ მატარებლებს, ღებულობენ საათში ხუთი ვერსტის ღირებულობას და საერთოდ ჯილდოს კიდევ სხვას.

საჭიროა შრომის დაცვის ინსპექტორმა მიაქციოს ამ საკითხს ყურადღება და კონდუქტორების შრომა შეაფასოს, როგორც მემანქანეების.

წყალტუბელი.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

ხშირად იგვიანებს. თბილისის საქუდის თვითეულ მორიგე რევიზორს ჰყავს ორი შიკრიკი, მაგრამ ხშირად ორი შიკრიკის მოვალეობას ასრულებს ერთი, რადგან შიკრიკი მურადოვი ან სულ არ ცხადდება სამსახურში, ან და კიდევ იგვიანებს; რაც აფერხებს ორთქლმავლების თავის დროზე გაშვებას, ადმინისტრაციამ უნდა გამოასწოროს მოქ. მურადოვი.

ორხანელი.

შეაკეთეთ სახურავი. მთავარ სახელოსნოს ალითონის სამქროს სახურავი ძალზე დაზიანებულია. განსაკუთრებით თითბრის განყოფილებაში წვიმის დროს ყოვლად შეუძლებელია მუშაობა. სამქროში ჩამოდის წყალი, რის გამო შესაძლებელია უბედური შემთხვევაც მოხდეს. საწარმოო თათბირზე რამოდენიმეჯერ დაისვა ეს საკითხი, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. შეაკეთეთ სამქროს სახურავი.

მუშკორი მონადირე.

ჩემი ქვეყანა

მე წინ დავსძარი აზროვნების მჭრელი გენია,
საუკუნოებს თავს მოვავლე ჰაერონავტი,
ჩემთვის ყოველი ჯიუტი, დღეც კართაგენია,
დაინგრეს უნდა! დავსწვა უნდა, წავასხა ნავთი....
გავუქნევ ქიაფს, რომ აცეცხლდეა გული [illegible]!..
გზა! ჩამოდექით!.. რა შეზღუდავა ამ გატაცებას?!.
მე ყველა პილოტს მით ვჯობნი, რომ ვარ თავმომწონი,
რომ მივისწრაფვი სულ სხვა ქვეყნის სხვა განკაცებას...
ოი, რამდენი ჭაობია ამ ქვეყანაზე,
სად განახლების სიო არხევს მძიმე ლაქაშებს!..
მე კი ვისწრაფვი ხვალინდელ დღის გამოფენაზე
და, კუბოს ნაცვლად, ძლევის გემი მიმათამაშებს...
ბევრია ამ გზად ამხანაგი, ჩემი ერთგული,
და ჩვენ კი ყველა ერთგულნი ვართ ერთი რამისა,
არა მონობის, ხსნის უღელში ნებსით შებმულნი,
ხან თანამგზავრნი, ხან წინმსწრებნი დრო და ჟამისა!..
უეჭველია, ჩვენ გვიტაცებს [illegible],
მაგრამ წინ ლელო რომ საშურად გასატანია,
აქ არის ჯიბრი, არ ზვიადი კამანდორობა.
ხალისი და არ განდიდების ფუჭი მანია!..
უწინ ბუნებამ წლის ოთხი დრო მხოლოდ იცოდა
და ზამთრის სევდებს გაზაფხულის ლანქრები რეცხდა,
მაგრამ ცხოვრების სიღრმეში რომ ძალა იწოდა,
ის დღეს ახალ მზეთ აღიმილდა და გამოცეცხლდა!..
მოდის ლანქერად ის არა წყლის, ნაკვერჩხლებისა,
დაიწვა მასში ოქრო, ვერცხლი, ოფლი და ცრემლი,
ფრთა აწეული ის გემია შემეცნებისა
და მძიმე, როგორც უებარი მოძრავი გრდემლი!..
მას დრო-მჭედელი, აკალთული წინსაფრით მკერდზე,
მოსდევს ფეხ და ფეხ შანთითა დაჩაქუჩით ხელში,
უნდა დაურთოს, უნდა დაჰკრას მეორეც ერთზე
და ამ სურვილსაც რჩება უკან მოხრილი წელში...
მე მივსდევ პირველს... დროებას კი ვიცვლი, ვით კანებს..
მე, გრდემლით ხელში, გადავსწყვიტე ლელოს გატანა,
და ძლევის გემიც შეუცდომლად წინ მიმაქანებს,
სადაც ახალი გაშლილია ჩემი ქვეყანა!..

ნ. ზომლეთელი

თბ. მუშკოოპის რწმუნებულთა კრება

პირველი სხდომა

გუშინ საღამოს გაიხსნა თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა წლიური (მეთორმეტე) კრება.

ხელმძღვანელ ორგანოების არჩევის, დღის წესრიგის მიღების და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ, კრებამ მოისმინა მუშკოოპის გამგეობის მოხსენება 1926—27 წლის საქმიანობის შესახებ.

მოხსენებით გამოვიდნენ ამხ. ვ. ბოლქვაძე (ქართულ ენაზე) და ამხ. ა. ერისთავი (რუსულ ენაზე).

მუშკოოპის საქმიანობა

მომხსენებლები შეეხენ მუშკოოპის საქმიანობის ორ მხარეს—ორგანიზაციულს და სამეურნეოს.

საქმიანობის ორგანიზაციული მხარის დახასიათებიდან გამოირკვა, რომ საგრძნობლად გაზრდილა წევრთა აქტივობა.

საანგარიშო პერიოდში გამგეობას დაუმთავრებია 1925—26 წელში დაწყებული წევრთა ხელახალი რეგისტრაცია და 1927 წ. 1 ოქტომბრისათვის ამ რეგისტრაციაში გატარებულა სულ 24.052 წევრი. გარდა ამისა 1927—28 წლის პირველ კვარტალში რეგისტრაციაში გატარებულა კიდევ—7.978 წევრი. ასე რომ ა. წ. 1 იანვრისათვის მუშკოოპის წევრთა რიცხვი გაიზარდა 32.030-დე. სოც. შემადგენლობის მიხედვით წევრთა მასაში პირველი ადგილი უჭირავთ მუშებს (50,3 პროც.) და შემდეგ მოსამსახურეებს (42.9 პროც.). წევრთა მასაში ქალები შეადგენენ—20 პროცენტს.

წევრთა აქტივობის და რიცხვობრივ ზრდასთან ერთად, საანგარიშო წლის განმავლობაში თვალსაჩინოდ გაიზარდა საპაიო თანხების აკრეფა. 1927 წ. 1 ოქტომბრისათვის ეს თანხა გადიდდა—137.770 მანეთამდე, ხოლო ა. წ. 1 იანვრისათვის—208.955 მანეთამდე (1926 წ. 1 ოქტომბრისათვის შეადგენდა—68.207 მანეთს). საშუალო საპაიო გამოსაღები თვითეულ წევრზე უდრის (ა. წ. 1 იანვრისათვის)—6 მან. 53 კაპეიკს. ათ მანეთიანი პაი გადახდილი აქვს 7.798 წევრს, ეხლა, რწმუნებულთა გადარჩევის დროს ჩატარებულ კრებებზე გამოტანილ დადგენილებების თანახმად, ტარდება პაის გადიდება—15 მანეთამდე. 15 მანეთიანი პაი გადახდილი აქვს 157 წევრს.

1926—27 წელში ფართოდ გაიშალა მასიური მუშაობა წევრთა შორის. შეიქმნა კოოპერატიული აქტივის ახალი კადრები და გაძლიერდა კავშირი წევრებთან, წლის განმავლობაში რწმუნებულთა უმეტესობას უხდებოდა მუშაობა კოოპერატიულ კომისიებში, (რომელთა რიცხვი უდრიდა—40-ს) და ახალ წევრების მოზიდვის და საპაიო თანხების შეკრების საქმეში. სადუქნო კომისიები იყო—55; ამ კომისიებში ჩაბმული იყო—320 წევრი. საგრძნობათ გაიზარდა ქალთა მონაწილეობა კოოპერატიულ აქტივის მუშაობაში. ასეთივე მიღწევებს აქვს ადგილი კულტგანმანათლებელ მუშაობისა და სხვა დარგებში.

ორგანიზაციულ მუშაობის მიღწევათ უნდა ჩაითვალოს ამასთანავე სამეურნეო საქმიანობაში გეგმიანობის და რაციონალიზაციის ღონისძიებათა გატარება და საერთოდ კოოპერატიული საზოგადოებრიობის განვითარება.

რაც შეეხება გამგეობის საქმიანობის სამეურნეო მხარეს, მომხსენებლებმა აღნიშნეს მუშაობის პირობების გაუარესება წინა წლებთან შედარებით რაც გამოიწვია საბანკო კრედიტების შემცირებამ და შეძენილ საქონლის საფასურის გადახდის ცუდმა პირობებმა.

მიუხედავად ამისა, სავაჭრო ქსელი მაინც გაიზარდა, 286-დან—575-მდე, მაღაზიების და დუქნების რიცხვი—183-დან ავიდა —336-დე და მოძრავ სავაჭრო ერთეულების—51-დან—152-დე. ყველა სავაჭროებში მტკიცედ იქმნა გატარებული განყოფილებების სპეციალიზაცია, თითოეულ მათგანისათვის ცალკე ნოქარის დანიშვნით: სავაჭრო ქსელის გადიდება უმთავრესად მოხდა პურის, სახორცე-მწვანეულობის და ნავთის დუქნების რიცხვის გადიდების ანგარიშზე.

საანგარიშო წლის განმავლობაში მუშკოოპის ვაჭრობა უფრო ინტენსიური იყო, ვინემ გასულ წელს. წლის განმავლობაში მუშკოოპმა შეიძინა—16.752.269 მან. 46 კაპ. საქონელი, ე. ი. 52,2 პროც. მეტი, ვიდრე 25-26 წელში. მთელი ამ საქონლის 45 პროც. შეძენილია კოოპერატიულ ორგანიზაციებისაგან. 46 პროც. სახელმწიფო ორგანიზაციებისაგან, (ნაცვლად 62,4 პროც. 25-26 წელში) და დანარჩენი—უმთავრესად გლეხებისა და შინამრეწველებისაგან. გეგმა შესრულდა—9,4 პროც. გადაჭარბებით.

წლის განმავლობაში გასაღდა—19.495.685 მან. 40 კაპ. საქონელი (ზრდა 32,6 პროც.). გეგმა შესრულებულია 5,2 პროც. გადაჭარბებით (დასახულ გეგმასთან შედარებით).

შეძენილ საქონლიდან—53,5 პროც. შეადგენს საკვები პროდუქტები და 41,5 პროც. ფართო მოთხოვნილების საქონელი.

ვაჭრობის განვითარებასთან ერთად გაფართოვდა მუშებისათვის ნისიად საქონლის მიცემაც. საანგარიშო წელში ნისიად გაცემული იქნა სულ —698.793 მან. საქონელი (1925-26 წელში—353.339 მანეთის). აქედან—446.836 მ. —გრძელი ვადით და 251.956 მან.—მოკლე ვადით. ნისია მიეცა სულ 8.200 წევრს.

1927-28 წ. პირველ კვარტალში (მეოთხედში)—5.711 წევრზე ნისიად გაცემულია 303440 მან. საქონელი.

შემდეგ მომხსენებლები შეეხენ ფასების დაკლების, ხარჯების შემცირების, აპარატის დატვირთვის და ფინანსიურ მდგომარეობის საკითხებს.

ფასების დაკლება მუშკოოპში საშუალოდ უდრის არა ნაკლებ 10—15 პროცენტს. ხარჯები სავაჭრო ბრუნვასთან შედარებით შეადგენენ—12,16 პროც. აპარატი გაიზარდა—38,2 პროცენტით. დატვირთვა თითოეულ თანამშრომელზე გაიზარდა—21,2 პროცენტით.

რაც შეეხება ფინანსიურ მდგომარეობას, ამ მხრივაც აღსანიშნავია თვალსაჩინო მიღწევები. 1927 წ. 1 ოქტომბრისათვის მუშკოოპის თანხების საერთო ჯამი უდრიდა—5.264.200 მანეთს (ზრდა—64,4 პროცენტით). აქედან საკუთარი თანხებია—1.251.900 მან. და ნასესხები—4.012.300 მან.

დასასრულ მომხსენებლები შეეხენ მუშკოოპის 1927-28 წლის სამეურნეო მუშაობის გეგმას მიმდინარე წელს მუშკოოპმა უნდა შეიძინოს —22.300.000 მანეთის საქონელი და გაყიდოს—26.700.000 მანეთის, ამრიგად სავაჭრო ბრუნვა განსაზღვრულია 49.000.000 მანეთით.

მასალას ამზადებენ და ვისაც „მშობელ მიწაში“ უნდა „მტკიცეთ გაიდგას ფეხი“ ეს ახალ (დიაღაც რომ ახალი და უჩვეულო რამ!!) უნდა დაინახოს და არწივის ლანდებს კი არ უნდა გამოეკიდოს.

მე განგებ უწევ ჯერ-ჯერობით გვერდს **დ. სულიაშვილის** მოთხრობას „კედელი“ და გადავდივარ **ილო მოსაშვილის** „უღელტეხილზე“.

ეს „უღელტეხილი“ მოსაშვილის გალექსილი თავგადასავალია. აქ, ვისაც დრო არ დაენანება, შეუძლია ამოიკითხოს, მოსაშვილი ბევრჯერ დაცემულა

„უიმედობის ჯვარზე გაკრული“

გარდა ამისა ბევრჯერ ჰქონია „გული ნაკლული“ და.

„ბევრჯერ განცდა უკვდავესი“

ვერ არის კარგ გუნებაზე მოსაშვილი, მოსთქვამს და სტირის.

„საით წავიდე ავცდე უკუნეთს,
„გულო, გატეხილ ბედის ნაჭერო,—
„რომ ეს გრიგალიც, ეს საუკუნეც,
ჩემს თავზე წყევლით არ შევაჩერო.

ეს საუკუნე მართლაც რომ გრიგალიანი საუკუნეა, მაგრამ ტყუილად ფიქრობს მოსაშვილი, რომ ეს საუკუნე, რომელმაც რევოლიუციის გრიგალი დაანთო მთელ მსოფლიოში, საუკუნე, რომელიც ამ რევოლიუციების ალში დასწვავს ძველ სამყაროს, შეჩერდება მოსაშვილის თავზე.

არ ეცლება მას ამ საქმისათვის.

ის ყოველ შემთხვევაში წყევას კი არ დაუწყებს მათ, ვინც ამ ცხოვრების გარეშე სდგას და უიმედობით არის გარემოცული, რევოლიუციის გრიგალი მას გაქრობს—მოსპობს. გრძნობს, ალბათ, ამას მოსაშვილი და კითხულობს დაფეთებული:

„საით წავიდე?“ წასასვლელი მართლაც რომ არსადაა. სანუგეშოთ მხოლოდ ის შეიძლება მოსაშვილს დარჩეს, რომ მას ერთხანს კიდევ შეუძლია ზიდოს თავისი გრძნობები „როგორც მირონი“ და ერთ ხანს კიდევ „დაადგება მხრებზე“ მას

„მთაწმინდის ღამე და საფირონი“

რა თქმა უნდა, მოსაშვილისებური ლექსებით ახალი ადამიანის სრული სახის გამოჩენა, ეს რაღაც უკურნებელი სენით შეპყრობილ იდიოტის ბოდვაა!!!

მოსაშვილს მისდევს **ლევან მეტრეველი.** ის საგულდაგულო [illegible] თემას ჩაფრენია. მის მოთხრობას სახელად „ბოლშევიკი“ ჰქვია.

ამბავი ასეთია. ყოფილა ორი მეგობარი: ჩაჩანო და სვიმონი, პირველი მენშევიკია, მეორე ბოლშევიკი. მენშევიკების დროს სვიმონი იმალებოდა, ჩაჩანო ინახავდა, ბოლშევიკების დროს ჩაჩანოს დასჭირდა დამალვა, მაგრამ ის სვიმონთან არ მისულა თავის შესანახავათ. სვიმონმა ერთ დღეს გამვლელი მენახშირისაგან ნახშირი იყიდა და უცაბედათ მენახშირის მაგივრად თავისი ძველი მეგობარი ჩაჩანო შერჩა ხელში.

ჩაჩანო აჯანყებას აწყობს ბოლშევიკების წინააღმდეგ. ეს იცის სვიმონმა. ჩაჩანოს ხელისუფლება დაეძებს. შეიქმნა მეგობრების შორის ლაპარაკი და ვაჭრობა. ჩაჩანო ცხვარივით უკან მისდევს თავის მეგობარს და ეხვეწება ნუ გამცემო. სვიმონი ორ ცეცხლს შუაა ჩავარდნილი, არ იცის რა ქნას, შეატყობინოს, თუ არა, სადაც საჭიროა, რომ ჩაჩანო მას ხელში ჩაუვარდა, თუ დაფაროს ის.

ბოლოს ის უშვებს ჩაჩანოს, შემდეგ მენშევიკების ტერორისტები იჭერენ სვიმონს და ჰკლავენ მას. სიკვდილის წინ ის სწერს:

„ბოლშევიკებს გამცემლობა არ ეხერხებათ“,

„სიკვდილისა კი არ ეშინიათ“.

მოთხრობა უშნოთა და უღამაზოდ არის აღწერილი.

ეს იმდენად სინამდვილეს ოდნავ მაინც ჩამომზგავსი ამბავის აღწერა კი არ არის, არა!

ლევან მეტრეველს უნდა გადასწყვიტოს საკითხი „გამცემლობის“ შესახებ. არ ვარგა, როდესაც ადამიანს [illegible] არაფერი არ ესმის იმ საგნის შესახებ, რომლის გადმოცემა და შეფასება მას უკისრია. ტყუილად წვალობს და კიდევ უფრო ტყუილად აწვალებს ამ ვიღაც თავისებურ ბოლშევიკს სვიმონს ლევან მეტრეველი.

უბრალო კომკავშირელისათვის, რომ ეკითხა მას წინასწარ დაუყოვნებლივ მიიღებდა მტკიცე და ურყევ პასუხს.

ძველ რომაელებს ერთი საზომი ჰქონდათ „Salus respublicae suprema lex“ ჩვენ სხვანაირად ვლაპარაკობთ, ჩვენთვის რევოლიუციის კეთილდღეობა უმაღლესი და [illegible] კანონია. რაც რევოლიუციის საზარალო და მავნებელია, ის ჩვენთვის არ არის და არც შეიძლება იყოს მისაღები და დასანდობი. ჩვენ ეს მტკიცეთ გვწამს.

ტყუილად ფიქრობს მეტრეველი, რომ ჩვენ „სიტყვა და საქმე“ სხვადასხვა გვაქვს. კომუნისტური პარტია „არიფიონის“ კორპორაციაში შემავალი ჯგუფი, როდი გახლავთ, რომ ერთი ვაღიაროთ და მეორე ვიწამოთ.

მეტრეველს მისდევს: **მიხეილ მრევლიშვილი,** (მოთხრობა „სიმდაბე“), **ბასილ მელიქიშვილი** (მოთხრობა „მჭერდუშებო ლილი მერცხალი“) პირველი მოთხრობა რაღაც საყვარლების თარგზეა ამოქარგული, მეორე ძველი დროის ამბავია და ისიც სპარსელების ცხოვრებიდან. ჩვენი დროის მკითხველისთვის ის არც გრძნობასა და მით უმეტეს არც გონებას არაფერს ეუბნება.

მეორე მოთხრობა კავკასიონის მწვერვალების თოვლიან ქედებისა აღწერით იწყება. აქ არის ლეკებთან ბრძოლა, ალექსანდრე ბატონიშვილი და სხვა ასეთი „ახალი ადამიანის“ სრული სახის გამოსახატავათ საჭირო მასალა.

არც ერთზე არ ღირს შეჩერება.

მეტი ყურადღების ღირსია **ლეო ქიაჩელის** „თავადის ქალი მაია“, მოთხრობა ვითომც ჩვენ დროსაა დაწერილი. მოთხრობაში არის აქა-იქ სიტყვა ბოლშევიკი, არის ერთი მოქმედი პირი — გლეხი, რომელსაც ავტორი „მობოლშევიკოს“ ეძახის, სხვა და დანარჩენი იგივე ძველი ამბავია.

სამეგრელოს თავადის ქალი მაია წარამარა იცვლის საყვარლებს, ბოლოს მობერდა, ხანში შევიდა, მაგრამ თავსაც იტყუებს და სხვების მოტყუებასაც ცდილობს, გულმოდგინეთ იხეხება ფერ-უმარილით, არ იკლებს გუნდა-ლახტაკსაც, მაგრამ მისი მოჯნური ბონდო მაინც ახალგაზრდა გლეხის გოგოს ამჯობინებს.

მოთხრობაში არის სროლა, სიკვდილი, თავის დაღრჩობა წყალში და სხვ. და სხვ. ქიაჩელს ამ მოთხრობაში კარგად ემარჯვება თავადის ქალი მაიას თვითეული მიხრა-მოხვრის გადმოცემა, მაგრამ სრულებით რაღაც უსულო და უსიცოცხლო ტიკინაა ის „მებოლშევიკე“ გლეხი, რომელიც არ იცის კაცმა რატომ არის მიკერებული ამ თავადის გადახრუკულ [illegible].

ქიაჩელს აქვს საზოგადოთ ახალი დროის ადამიანის ერთგვარი მიხვედრა. მას ჟამსა შინა ის ამ ახალ დროის ხალხში იყო, ოდესღაც სადღაც რაღაც მონაწილეობას ღებულობდა რევოლიუციონურ მოძრაობაში. ალბად, ამიტომაცაა, რომ ხანდახან თან შესწევს ამ ხალხის სულისკვეთების ზერელეთ მაინც გადმოცემის უნარი, მაგრამ ამ მოთხრობაში ის ნამდვილი „არიფიონელი“ გახლავთ, რომელიც ახალი ხალხის ახალი დროის გამოსახვისათვის კაკანობს, ხოლო კვერცხს იმავე ჭიჭინაძის ოთხიათასი წლის ძაღლების საბუდარში სდებს.

ქიაჩელს მისდევს **ტატიშვილი,** მას ზღაპარი უძღვნია „არიფიონისათვის“, ზღაპარი, რომელსაც „უსათაურო“ ჰქვია.

„დიდი ხანია დაბერდა და დაუძლურდა მე
„ფეთ-მეფე და სარეცელს დაეკრა, ვე-
„ღარც ნადირობა შეეძლო, ვეღარც ნადი-
„მობა, ვეღარც [illegible] და სიყვარუ-
„ლი“.

ასე იწყება საზოგადოთ ზღაპრები.

აბა, კიდევ ერთი ამონაწერი ვნახოთ სანიმუშოთ.

„ბევრი საკმეველი დაიწვა, მრავალი გუდა
„ოქრო და თვალ-მარგალიტი მოვიდა სა-
„ხაზინიდან ღმერთისათვის ქრთამად და
„ქურუმების სარდაფები გაავსო“.

მე ეს ზღაპარი მთლად არ წამიკითხავს. ალბად აქაც რაღაც უნდა იყოს ნათქვამი ქარაგმით, რომელსაც „გამგონი გაიგებს“, აშკარად უნდა გავამხილო, იმდენად თავს ძალა ვერ დავატანე, რომ ეს მექებნა.

ტატიშვილის შემდეგ ისევ ჭიჭინაძეა. კონსტანტინე ჭიჭინაძეს, თურმე, ლექსების წერისა და ვიტრინაში ნაცნობი ქალების გამოცნობის გარდა კიდევ ჰქონია ერთი სხვა ხელობა. ეს გახლავთ „ვახტანგისეული რედაქცია ვეფხის ტყაოსანის“.

არც ეს წამიკითხავს, მაგრამ, მკითხველი და მიჯერებს, რომ „არიფიონის“ მანიფესტში ჩამოთვლილი შეპირებებისათვის ეს საქმე არც იმდენად საჭიროა, ისე როგორც არაა საჭირო არც **კ. კაპანელის** „მიმოქცევის იდეა“ და **პეტრე ქავთარაძის** მიერ „ბერძნულით თარგმნილი“ „კრიტონი“ პლატონისა.

„არიფიონის“ კრებული „პირველი“ თავდება გერონტი ქიქოძის „არიფიონი ჰერეთში“.

კრებულს როგორც მოგახსენეთ თავში დართული აქვს მანიფესტი, ხოლო ბოლოში გერონტი ქიქოძის უფრო ვრცელი და ფართო დასაბუთება იმისა, თუ რატომ და რა მიზნით დაარსდა „არიფიონი“.

ქიქოძე ოსტატურად კიდებს ამ საქმეს ხელს.

მისი წერილი არ არის უბრალო წერილი, ქიქოძე მუსაიფის სახით გადმოგვცემს თავის აზრებს. მუსაიფობს ვიღაც „არიფიონელი“ და ერთი კიდევ უფრო ვიღაც „ცნობისმოყვარე ახალგაზრდა“.

ეს შეიძლება იმისათვისაც დაჭირდა ქიქოძეს, რომ თვითონ არ იტვირთოს ამ ვიღაც „არიფიონელის“ ნათქვამის პასუხისმგებლობა. თუ ასეთი იყო განზრახვა, უეჭველია, რომ ეს ხერხი ვერაფერი შველი ფარია ქიქოძისათვის, ვინაიდან ამ 14 მწერალთა შორის, რომელიც აწერს ხელს „არიფიონის“ განცხადებას, ქიქოძის ხელისმოწერაც უზის.

ჩვენ არ გაგვიგონია („არიფიონიც“ არაფერს გვამცნობს ამის თაობაზე); რომ ამ 14 რჩეულთა გარდა კიდევ მოიპოვებოდნენ ამ ჯგუფის მორწმუნენი და მიმდევრები, ხოლო თვით „არიფიონის“ შესახებ თვით იმავე გერონტი ქიქოძისაგან ასეთი დახასიათება გვესმის:

„ჩვენ არ წარმოვადგენთ პოლიტიკურ შეჯგუფებას, მაგრამ ვფიქრობთ **მწერალი დღეს პოლიტიკის გარეშე ვერ დარჩება.** ის მცირეოდენი განსხვავება, რომელიც ამ დარგში „არიფიონელებს“ შორის არსებობს, შეიძლება უფრო **ტემპერამენტისა და მგრძნობიარეობის** სხვა და სხვაობიდან გამომდინარეობს, ვიდრე აზროვნებისა ან მსოფლმხედველობიდან“ აქედან დავიმახსოვროთ ორი რამ:

ა) „არიფიონი“ აცხადებს და აღიარებს, რომ მწერლობა (პირველ ყოვლისა ეს სავალდებულო უნდა იყოს, ალბათ, თვით „არიფიონისათვის“) „დღეს პოლიტიკის გარეშე ვერ დარჩება“,

ბ) ამ საგანში „არიფიონის“ მწერლებთა შორის არსებობს მართალია, უმნიშვნელო რამ განსხვავება, მაგრამ ეს „ტემპერამენტისა და მგრძნობიარობის სხვა სხვაობიდან“ გამომდინარეობს.

მაშასადამე, ჩვენ უფლება გვაქვს მივიდოთ და გავსინჯოთ „არიფიონი“, როგორც იმ მწერალთა ჯგუფი, რომელსაც არ სურს პოლიტიკის გარეშე დარჩენა და განზრახული აქვს მწერლობის საშუალებით მიიღოს პოლიტიკაში ერთგვარი მონაწილეობა.

ამის შემდეგ გავიგოთ, თუ როგორია ეს მონაწილეობა. ჩვენ სათითაოთ გავარჩიეთ თვითეული მწერალის ნაწარმოები, რომელიც ამ „პირველ კრებულში“ არის მოთავსებული. რა პოლიტიკაა ამ მწერლობაში მკითხველმა უკვე თვალსაჩინოთ დაინახა. თამარ მეფის ბეჭედი, ჯვარის მონასტერი, ოთხიათასი წლის ძაღლი და სხვა ასეთი სიბრძნე, რომლებსაც თავს დასტრიალებენ ლექსათ, თუ პროზით „არიფიონის“ მწერლები, ტალახში ამოსვრილი („მუქთა - ხორა“, „უბედი“, „გარყვნილი“ და „მექრთამე“) „**დამპატიჯი**“, როგორც კომუნისტი. სოფლის შემწუხებელი და მშრომელი ადამიანის დამბრიყვებელი — აი რას ვნახავთ ჩვენ ამ მწერლების ნაწარმოებში.

აი ამით აპირებენ ისინი „ორთქლისა და ელექტრონის ხანის“ ადამიანის („ახალი მსოფლმხედველობის, შეგრძნობის, მორალის და გემოვნების მქონე ადამიანის“) „სრული სახის განცხადება ლიტერატურაში“.

ახლა დაუგდეთ ყური, როგორ ასაბუთებს ამას თვით გერონტი ქიქოძე (როგორც მგავს „არიფიონის“ მწერლებში საუკეთესო მეცნიერი!!)

„ჩვენ არ გვინდა კარის მგოსნების როლი ვითამაშოთ და მწერლობა ვიწრო პოლიტიკის იარაღათ ვაქციოთ. ამ მხრივ დიდათ განვსხვავდებით იმ პოეტებიდან, რომელნიც ერთმანეთს ეჯიბრებიან შაბლონური ოდების წერაში. ისინი თანადროულობას იჩემებენ და ჰგონიათ თანადროულობა იმაში მდგომარეობს, რომ გაუხედნელი კვიცივით მისდიო და უჭიხვინო რევოლიუციის ეტლს“.

აქ მინდოდა ზოგიერთ სიტყვებისათვის ხაზი გამესვა, მაგრამ ვერ მოვახერხე. აქ თვითეული სიტყვა ისეთი მარგალიტი რამ არის, რომ არ იცი, რომელი რომელს სჯობია. დაუკვირდით ამ სრულებით ხეპრულ ნასროლ სიტყვებს.

გვესმის თქვენი მაღალი ბანი, ბატონო გერონტი, თქვენი სიტყვები მიზანს არ ასცილებია, ჩვენ კარგათ გვესმის, ვინ არის ეს „კარის მწერლები“ — თქვენ ღმერთმა და კონსტანტინე ჭიჭინაძის ძაღლის

„ოთხიათასი წლის წინათ რომ უეფდა ქურდებს“

უყეფამ რომელიც თურმე

„მარადისობის უფსკრულში მიექანება“

აგაცდინოთ ასეთი სამარცხვინო საქმე. ჩვენ ისიც გვესმის, თუ ვინ არის ეს „გაუხედნელი კვიცები“, რომლებიც თურმე „ერთმანეთს ეჯიბრებიან შაბლონური ოდების წერაში“. ჩვენ კარგათ ვუხედავთ, რომ კონსტანტინე ჭიჭინაძეს ქეციანი ძაღლი და ჯვარის მონასტერის ჩამონგრეული ყორედან ჩამოვარდნილი ქვა გირჩევნიათ ყოველგვარ „შაბლონურ ოდებს“. აღარც კი იყო საჭირო თქვენის ბედნიერი პირით იმის ბრძანება, რომ

„ეს შენობა (ჯვარის მონასტერი, ზ. ფ.) მხატვრული თვალსაზრისით უფრო მონუმენტალურ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე იქვე მტკვრის პირას აგებული ელექტრონის სადგური“.

ხომ გესმით, რა კარგათ არის ნათქვამი: „მტკვრის პირას აშენებული ელექტრონის სადგური“. „გაუხედნელმა კვიცებმა“ ამ სადგურის სახელი კარგათ იციან. მართალია ისინი, ვისაც ქიქოძე კვიცებს უწოდებს, ამ სადგურს ასე ვაგლახათ არ იხსენიებენ, მათ არამც თუ იციან მისი (ამ სადგურის) სახელი, ისინი, მართლაც რომ ოდებს სთხზავენ „ზაჰესის“ შესახებ, ვინაიდან სწორეთ აქ ამ „ზაჰესის“ აშენებაში უნდა ვეძიოთ „ორთქლისა და ელექტრონის“ ხანის ადამიანის სახე და არა იქ მაღალ გორაკზე წამოსკუპებულ მონასტერში.

„არიფიონის“ მწერლებს რომ მართლა რაიმე სწამდეთ თვითონ თავიანთი „მანიფესტის“ მაშინ ამ კოშკიდან ცოტა ძირს ჩამოიწევდენ, მაშინ ისინი „ჯვარის მონასტერს“ „აბჯარ კოშკის ხანის“ მკვლევარებს დაანებებდენ და „ორთქლისა და ელექტრონის“ ადამიანის სულისკვეთების გასაგებათ ამ „მტკვრის პირას აშენებულ ელექტრონის სადგურის“ ამშენებლებში მოსძებნიდენ.

ერთს რამეში მაინც უნდა უმადლოდეთ „არიფიონის“ მწერლებს: მათი მოძღვრების ფილოსოფიურ სამოსელით შემოსავი გ. ქიქოძე საუცხოვოთ აბათილებს ყოველივე იმას, რაც ასე უხვათ და ხელგაშლილათ არის დაბნეული მათ კრებულის დასაწყისში რომაა მოთავსებული იმ მანიფესტში.

გ. ქიქოძე თვითონ ასეთს დახასიათებას იძლევა „არიფიონის“ შესახებ.

„არიფი თანამესუფრეს ნიშნავს, არიფიონი შეზარხოშებული ადამიანთა კავშირია. მაგრამ ჩვენ ვითრობით არა ღვინით, არამედ ურთიერთ შთაგონებითა და შემოქმედებით“

მიუმატოთ ესეც იმას, რაც ჩვენ უკვე მოვისმინეთ თვითონ „არიფიონელებისაგან“ მათ შესახებ.

ქიქოძის წერილი საზოგადოთ მეტად საგულისხმოა, „არიფიონის“ სახის ნამდვილათ გამომჟღავნებისათვის უსათუოდ საჭირო იყო ასეთი ვრცელი და გულახდილი (მგონი აჯობებდა, რომ „ნილაბჩამოხეული“ მეთქვა!) წერილის დაწერა, ამიტომ მე ვურჩევდი ყველას მის თავიდან ბოლომდე გადაკითხვას. ჩემთვის კი საჭირო და საკმარისი იქნება კიდევ რამოდენიმე ამონაწერის ჩვენება მკითხველისათვის. ქიქოძე ერთი არიფიონელის პირით, რომელიც თურმე თავის ამხანაგებს შორის „სკეპტიციზმით არის ცნობილი“ (ნუ დაივიწყებთ, რომ ეს „ტემპერამენტისა და მგრძნობიარობის“ საქმეა და მეტი არაფერი) ასეთს რამეს მოგვითხრობს:

„... დღეს ძნელია იმ სულიერ კატასტროფის, იმ ძველი ღირებულებათა გადაფასების და [illegible] გაგება, რომ ეგრეთ წოდებულმა მეცნიერულმა სოციალიზმმა მოახდინა საქართველოში“

ამ „ეგრეთ წოდებული მეცნიერული სოციალიზმის წყალობით“ თურმე,

„გაქრა საუცხოვო მოჩვენებათა ქვეყანა, რომელიც ქრისტიანობამ და ბუნების რელიგიამ შექმნა, ჩვენ დავკარგეთ რწმენა ღმერთების, ეშმაკებისა და კუდიანების, დავკარგეთ რწმენა, რომ გარდაცვლილ მეგობარს შევხვდებით სადმე უნისლო ქვეყანაში“.

მოდი და ნუ იწუხებ, ამდენი რამის დაკარგვის შემდეგ, მაგრამ ჩვენ ხომ სხვა რამეც დაგვიკარგავს, ჩვენში მოისპო და აღმოიფხვრა

„ღამის თევა, თეთრი გიორგის კულტი და ბატკნის მსხვერპლი“.

მართალს ბრძანებს გერონტი ქიქოძე!

ეშმაკებისა და კუდიანების ჩვენში ეხლა გადახრუებულს ბებრებსაც აღარ სჯერათ, არც ღმერთების რწმენაა მაინცა და მაინც ფესვგადგმული ჩვენში. ღამის სათევარში ეხლა აღარავინ დაიარება, ბატკანსაც აღარავინ კლავს მსხვერპლათ, ხოლო თეთრი გიორგის კულტი მენშევიკებს ძალიან უნდოდათ გაეცოცხლებიათ, მაგრამ ამ ცდამ (ეს ალბათ, „არიფიონელებსაც“ მოეხსენებათ) ფუჭეთა და ამაოთ ჩაიარა. მართლაც რომ სავალალო საქმე დაგვემართია ჩვენ ამ „ეგრეთწოდებული მეცნიერული სოციალიზმის“ გადამკიდეს. მართლაც და რა ოხრობა შეგვამთხვა ჩვენ ამ „ეგრეთწოდებულმა მეცნიერულმა სოციალიზმმა, როდესაც საქართველოში

„საშუალო საუკუნეებში საუცხოოთ სცოდნიათ საზოგადო შრომის დაწყობა და გამოყენება“.

ვის სცოდნია მერე ეს? აი პასუხი:

„ჩაქუჩიან მამაკაცს და იმ უბრალო უსახელო ბრბოს, რომელიც ალაზნის ან იორის ნაპირიდან გომბორის მთის კალთებამდე მწკრივდებოდა და ქვას ქვაზე ადებდა, რათა ის გმირთნაკვეთი გალავნები აეგო, რომელიც უჯარმოს, თელავსა და სიღნაღს გარს ეკროდა და თუ მტერი შემოიჭრებოდა, მთელი ერთისა და კახეთის მშვიდობიან მოსახლეობას დაიტევდა“.

სრულებით არ უნდა ქიქოძეს გაიხსენოს, თუ როგორ „მწკრივდებოდა“ ეს „უბრალო უსახელო ბრბო“, თავისი ნებით, თუ ვინმეს მათრახის ქვეშ. განა „ეგრეთწოდებული მეცნიერული სოციალიზმის“ მამამთავარმა მარქსმა სწორეთ იმ (როგორც თქვენ ბრძანებთ) „ფხიზელი (მე დავუმატებდი კიდევ—კლასობრივი) აზროვნების წყალობით“ შეუბრალებლათ არ გამოააშკარავა, თუ როგორ „მწკრივდებოდენ“ უწინ და როგორ უნდა „დამწკრივდენ“ შემდეგში, რომ ადამიანს ადამიანური ღირსება და მდგომარეობა ეღირსოს, რომ ადამიანმა შექმნას ის „ორთქლისა და ელექტრონის“ ხანა, რომლის შესახებაც თქვენც ამდენ სიკეთეს გვპირდებით.

ქიქოძე ეხება ეგრეთწოდებულ „ორიენტაციის საკითხსაც“.

ქართველი მწერალი, ხომ „პოლიტიკის გარეშე“ ვერ დარჩება და აბა ამ საკითხზე რომ არაფერი სთქვას, როგორ შეიძლება?!

ქიქოძეც იძლევა პასუხს, მაგრამ არა პირდაპირ არამედ ქარაგმით. აქაც ისევ საქართველოს ისტორიიდან ამოღებული ამბები წადგომია. ამ ამბავის სრულათ ამოწერას ბევრი ადგილი დასჭირდება, მოკლეთ საქმე ასეა.

კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი სპარსეთის შეურიგებელი მტერი ყოფილა, ქართლის მეფე როსტომი კი შაჰის კარზე გაზრდილი და ამიტომ სპარსეთის მოყვარული. ეს ორი მეფე ერთი მეორეს დატაკებია. ერთ ბრძოლაში თეიმურაზს მოუგია, მაგრამ სამი წლის შემდეგ როსტომს გაუმარჯვია. ქიქოძე ასეთ დასკვნას იძლევა:

„მაგრამ მაჰმადიანური რწმენისა და სპარსული სიმპატიების მიუხედავათ როსტომ მეფე ნამდვილი მამულიშვილი და გონიერი მმართველი იყო და მან ბევრი გააკეთა ჩვენი ქვეყნის დამშვიდებისა და ეკონომიური აღორძინებისათვის“.

ჩვენც ვიცით „გადაკრული სიტყვების“ და ქარაგმების გამოცნობა. დიდი მადლობა ბატონ ქიქოძეს, რომ ის ჩვენ „ბოდიშს გვიწყალობს“ და იმედი აქვს, რომ ჩვენაც „მაჰმადიანური რწმენისა და სპარსული სიმპატიების მიუხედავათ“ ბევრს გავაკეთებთ „ჩვენი ქვეყნის დამშვიდებისა და ეკონომიური აღორძინებისათვის“, ესეც რომ არ იყოს, მას მაინც სხვა რამის იმედიც აქვს. ის ასე გამოთქვამს თავის იმედებს:

„ბევრ მტერს გადაუთელავს ალაზნის ველი,.. მაგრამ დღეს სადღა არიან შაჰაბაზები, ნადირშაჰები, ხუნძახის ბატონები? **აქ უცხო თესლი მოისრება,** მათ ეირიშებს ზღუდე დაედო“.

მაშ, გიხაროდეთ, თუმცა ჩვენ „მაჰმადიანური რწმენისა და სპარსული სიმპატიების მიუხედავათ“ ბევრ რამეს გავაკეთებთ „ჩვენი ქვეყნის დამშვიდებისა და ეკონომიური აღორძინებისათვის“, მაგრამ უკვე ნაცადია, რომ „უცხო თესლი“ საქართველოში ვერ ხეირობს, მოისრება!!

რაღა გვიჭირს ჩვენ, თუ ამ ქვეყანაში. იქ, სადაც „უძველესი ციხე კოშკები და ტაძრები აგებული“.

„ალაზნის ველი დღესაც ისეთივე ხელუხლებელია, ხოლო კავკასიონის ვერცხლის სარტყელი დღესაც ისეთივე ქალწულებრივია, როგორც ქვეყნის გაჩენის დღეს“.

აქ შეიძლებოდა წერტილის დასმა.

დასკვნის გაკეთება არც კია საჭირო. ცხადია და აშკარა: ახალი დროის „თანამედროვე დიდი ეპოქის“ შესახებ „არიფიონი“ მხოლოთ იმედებით სწუხს, რამდენადაც მისი წყალობით გაჰქრა „საუცხოვო მოჩვენებათა ქვეყანა“: ეშმაკებით, კუდიანებით და თეთრი გიორგის ზღაპრებით სავსე.

საით ეწევა „არიფიონი“? ახლისკენ, „ორთქლისა და ელექტრონის ხანისაკენ?— არა.

„არიფიონის“ მწერლებს ამ ეპოქაში კარგი და სახეირო არაფერი ეგულებათ („დამპატიჯე“!!!).

მაშ, საითკენაა მათი გეზი და კვალი, ძველისაკენ? უსათუოთ! ამის დამამტკიცებელია ამ „პირველი კრებულის“ მთელი შინაარსი.

რა იმედით გამოდიან ეს „გახედნილი ბედაურები“ („გაუხედნელი კვიცები“ ხომ კარის მწერლობას უწოდებიან!!) ასე თავხედურათ და ამ თვალთმაქცური განცხადების შემდეგ. როგორ ბედავენ ამდენი ზიზღისა და ბოღმის ამონთხევას სწორეთ იმის წინააღმდეგ, რის გულწრფელ სამსახურსაც ისინი ჩვენ გვპირდებიან?

იქნებ მათ ჩვენი უვიცობის იმედი აქვთ, იქნებ ფიქრობენ, რომ ჩვენ ან ვერ შევნიშნავთ, ან და ვერ გავიგებთ. უკაცრავათ, „არიფიონო“, თქვენი „სრული სახის გაცხადება“ ისე ნათელია და აშკარა, რომ ჩვენ კარგათ ვამჩნევთ თქვენ სულისკვეთებას, გადაკრული სიტყვების გუნდა-ლახტაკი თქვენ სიდუხჭირეს ვერ დაფარავს.

მე განგებ მოვიტოვე **სულიაშვილის** მოთხრობა.

მინდა ორიოდე სიტყვით ისიც მოვიხსენიო. სულიაშვილი ერთი შეხედვით თითქოს ამ „გახედნილი ბედაურების“ ჯოგში შეცდომით მისული, რაღაც „შემოსწრებული სტუმარი“ უნდა იყოს.

მართლაც, ადამიანი, რომელიც მთელი თავისი წარსულით ამ „გაუხედნელ კვიცებთან“ იყო დაკავშირებული უკეთესათ უნდა ერკვეოდეს ამ საკითხებში. ადამიანი, რომელიც სწერს თავის მოგონებას ლენინთან ნაცნობობისა და მასთან მოგზაურობის შესახებ, უკეთ უნდა იყოს ჩახედული დღევანდელი ცხოვრების ვითარებაში.

ასე უნდა იყოს, მაგრამ საუბედუროთ ასე არ არის, ასე არ ყოფილა.

გულმოდგინებით გადავიკითხე მისი „კედელი“, როგორც მოთხრობა, ის უსუსურია, მშრალია და უგემური ვითარცა გამხმარი აბედი, რომელსაც არც სიცოცხლე აქვს და არც გემო. მას მოთხრობაშიაც ჩაქსოვილია და „გატარებულია“ ერთი აზრი.

ორი ადამიანის ამბავს მოგვითხრობს დ. სულიაშვილი; ერთი ბოლშევიკია, მეორე მენშევიკი, ძველათ მეგობრები, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ერთი ყოფილი (მენშევიკების დროინდელი) დიდი ჩინოვნიკი, ხოლო მეორე ეხლა გაჩინოვნიკებული. მათი ლაპარაკი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ, მათი ერთსა და იმავე ქალის გარშემო ტრიალი (ქალი, რასაკვირველია, ბოლშევიკს არჩევს, ის ეხლაა დიდი ჩინოვნიკი, ხოლო მენშევიკი უწინ ყოფილა ჩინოვნიკათ), ადასტურებს მხოლოთ იმას, რომ მათ შორის კედელია აღმართული.

საით არის თვით ავტორი თავისი თანაგრძნობით, რას იწუნებს და რას იწონებს? ძნელი სათქმელია.

ყოველ შემთხვევაში, მას კარგათ ესმის მენშევიკების გულისთქმა და მასთან ერთათ თვითონაც ვერ გაუგია, თუ რატომ ეძახიან მენშევიკებს საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჩვენში აქ, საქართველოში კონტრ-რევოლიუციონერს. ესაა და ეს!!

„კედლის“ ავტორი რომელ მხარეს დგას ამ კედლიდან, ამის გაგება მის მოთხრობიდან შეუძლებელია.

სხვებთან ერთად დ. სულიაშვილსაც უწერია ხელი „არიფიონის“ მანიფესტზე, შეიძლება ის დასრულებული „არიფიონელი“ არ იყოს, მაგრამ ჩვენ მაინც არ გვაქვს საბუთი არ დავუჯეროთ გ. ქიქოძეს რომელიც გვიმტკიცებს, რომ ჩვენ შორის „მხოლოდ ტემპერამენტის და მგრძნობიარობის“ მიხედვით თუ არის ცოტა რამე უმნიშვნელო განსხვავებაო.

სასურველი კი იქნებოდა, რომ ეს განსხვავება ყოფილიყო, მაგრამ რადგან ეს არ არის, მით უარესი სულიაშვილისათვის.

პ. მ. საყვარელიძე.

პატარა ფელეტონი

მოდი, ვნახოთ „ცხვარი“

(იგივე „მოდი ვნახოთ ვენახის“ ხმაზე)

„საფრანგეთის შავრაზმული პრესა ნაღველსა და გესლს ანთხევს „საბჭოთა მგელისა“ და „გერმანული ძაღლის“ საშიშროების წინააღმდეგ მშვიდობიანი „ცხვარისათვის“. („ცხვარში“ შავრაზმელები, ალბათ, თავიანთ თავს გულისხმობენ).
(ამონაწერი გაზ. „პრავდა“-დან).

მოდი, ვნახოთ რური,
ვინ მოსჭამა ყური?
მიველ ვნახეთ რური:
„ცხვარმა“ მოღრეჯნა ყური,
რურს ადინა სისხლი,
მოსცხო ნიახური,
ნახშირი წაართვა,
შეიძინა პური!..
რალას სჩივის „ცხვარზე“
ხალხი უმადური?!.

—:—

მოდი, ვნახოთ „ძაღლი“,
ვინ მუკლო სახლი?
მიველ, ვნახეთ „ძაღლი“,
თავში რა ქვას ვახლი?
„ცხვარმა“ ყურიც მოღრეჯნა,
ცოტა ხორციც ბარკლის,
ჟენევაშიც უწყო
თავზე მტვრევს კაკლის!..
მიკვირს „ცხვარზე“ კიდევ
„ცუდი აზრი“ ხალხის!..

—:—

მოდი, ვნახოთ „მგელი“,
აგი ენა—გრძელი,
განიარაღებას
რომ ჩასჭიდა ხელი,
განა „ცხვრისგან“ ცოტა
ხერხს მას საქმე ძნელი?
ყალბი ჩერვონცებით
ლამის მოსჭრა ყელი!
ბესარაბიაშიც
რუმინეთის მშველი!..
პოლონეთშიც მუდამ
ცეცხლისკენ აქვს ხელი...
ერთი სიტყვით, „ცხვარმა“
ყველგან სჭამა „მგელი“!..
მაინც რომ არ ტყდება
აგი საძაგელი?!.

—:—

მოდი, ვნახოთ რიფი,
თვალში ვინ მკრა ჩქიფი?
თავი მოსჭრა, ვისი
ხმალით მოსჭრა ფიფი?
გული ვინ გაუპო,
გულ-ხელ-დაკრიფი?
სახლშიც ვინ დაპრია
ხოლერა თუ ტიფი?
„ცხვარმა“ მოგვცა ყველა
ამის მაგალითი!
მოდი და „ცხვარს“ ჰკადრე
შენ ამისთვის: „ფი“!.. „ფი“!..

—:—

„ცხვარმა“ ჭამა რური...
(შეიძინა პური!..)
„ცხვარმა“ ჭამა „ძაღლი“...
(„ძაღლს“ დაენგრა სახლი!..)
„ცხვარმა“ ჭამა „მგელი“...
(„მგელს“ შეეკრა ყელი!..)
„ცხვარმა“ სჭამა რიფი...
(რიფს კი—თავი ძგიფი!..)
ახლა მოდის „მგელი“,
რომ გამოსჭრას ყელი:
განიარაღების
აქვს პროექტი გრძელი,
„ცხვარის“ „შემოკლებას“
ითხოვს საძაგელი!..
მო და, ამის შემდეგ,
შენ ცხვარის ბედს ენდე!..

ონისიმე.

ქართული მართლწერის კონფერენციისათვის

საქართველოს მწერალთა უკანასკნელმა ყრილობამ დაავალა ქართველ მწერალთა ფედერაციის საბჭოს მიმდინარე წელს მოიწვიოს სახ. უნივერსიტეტთან შეთანხმებით ქართული მართლწერის შემმუშავებელი კონფერენცია.

თუ ათი წლის წინად ქართული ენა გაძევებული იყო სახელმწიფოდან, იგი დღეს სახელმწიფო კანონების ენაა, ენა მეცნიერების, მწერლობის და იურისდიქციის.

სრ. საქართველოს ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ფილიპე მახარაძემ გულისტკივილით შესჩივლა ყრილობას: ქართული ენა ჩვენს თვალწინ მახინჯდება.

ეს აღინიშნა აგრეთვე სხვა ორატორების მიერ.

შეუწყნარებელი თვითნებობაა მართლწერის მხრით გამეფებული, როგორც სახელმწიფო უწყებათა მეტყველებაში, ისე პრესაში, მწერლობაში და თვით სამეცნიერო გამოცემებში.

იცემა აუარებელი ლექსიკური მასალა, სახელმძღვანელოები, და ყველას თავისებური მართლწერა აქვს, ყველა ისე სწერს, როგორც მოეპრიანება.

ჩვენს თვალწინ არა ერთსა და ორს საშვილიშვილო საქმეს ეყრება ფუძე. მე სიხარულით შევსცქეროდი იმ თეთრ ქვას, საქართველოს მუზეუმის წინა ფასადში, რომ კიაფობს და შორს არაა ის დრო, როცა სასახლე ქართული კულტურისა გვერდს დაუმშვენებს მთავრობის სასახლეს.

ყოველმა ოსტატმა რომ თავის გემოზე გამოკოდოს სხვა დანარჩენი თავკიდურები, ეს ხომ მომავალ სასახლის სტილს ააჭრელებდა. იგივე ითქმის ენაზედაც.

ენა ხომ ხალხის საკუთრებაა, მისი ერთობლივი მეტყველება.

ამ მეტყველებას ერთნაირი ყალიბი უნდა, ერთ დიდი ხუროთმოძღვარის გეგმაზე აგება.

ვინ იქნება ეს ხუროთმოძღვარი?

მწერლებისა და ენათმეცნიერებებისაგან შემდგარი კონფერენცია.

ამ კონფერენციაზე დიდი ენერგია ვალება დასჭირდება ქართულ მწერლობას.

რამოდენიმე წლის წინად გამოიცა პროფესორების: ა. შანიძის, ქ. კეკელიძის და ლინგვისტის ვუკოლ ბერიძის პროექტი ქართული ორთ-გრაფიისა.

მიკვირს რატომ ერთი მწერალიც არ გაირიეს ამ პატივცემულმა ავტორებმა ამ პროექტის შემუშავებაში.

დღეს დიდი დუღილი და ზრდაა ქართულ ენაში; ამ ენერგიულად წინ გაქანებულ ენის სტიქიას ყალიბი უნდა.

ეს ყალიბი არსადა სჩანს.

უამრავი წიგნი იცემა, ქართულმა გაზეთმა 70 ათას მიაღწია.

მონუმენტალური კრებულებიც იცემა მეტყველების ყოველ დარგში.

ამიტომაც ძლიერ საშურია ამ კონფერენციის მოწვევა. ცხადია მართლწერის კონფერენციის დასკვნებს ხელისუფლება დააკანონებს და აღსდგება ქართული ენის სისადავე.

კონსტანტინე გამსახურდია.

მეტრიული სისტემა

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა წინადადება მისცეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და სავაჭრო-სამრეწველო ორგანიზაციას, აგრეთვე კოოპერატიულ ცენტრს ყოველგვარ მიწერ-მოწერაში, შეძლებისდაგვარად, ზომა-წონა აღნიშნონ მეტრიული სისტემით; ხოლო უმაღლეს დაწესებულებისადმი მიმართვაში ზომა-წონა აუცილებლად მეტრული სისტემით აღნიშნონ.

დაევალა საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებათა (სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, სახალხო კომისართა საბჭო, ეკონომიური საბჭო და საგეგმო კომისია) საქმეთა მმართველობებს, აგრეთვე რესპუბლიკის ყველა სახალხო კომისარიატს განუხილველად დასტოვონ მათ მიერ მიღებული ყველა ისეთი მიწერ-მოწერა, სადაც ზომა-წონა ნაჩვენები იქნება ძველი სისტემით და ეს მიწერ-მოწერა დაუბრუნონ ხოლმე სათანადო დაწესებულებას აღნიშნულთა ზომა-წონის მეტრული სისტემაზე გადასატანად.

სამთო-სამრეწველო სასწავლებლის გახსნა

საქართველოს სამთო-მადნო მუშაკთა კავშირის თაოსნობით და მის ხარჯზე ჭიათურაში გაიხსნა ახალი სამთო-სამრეწველო სასწავლებელი. ამ სასწავლებლის გახსნამდე ჭიათურაში არსებობდა მხოლოდ ერთი პროფტექნიკური კურსები წარმოებაში ჩაბმულ მუშების კვალიფიკაციის ასაწევად. მაგრამ ეს კურსები სავსებით ვერ აკმაყოფილებდა შავი ქვის ქარხნების საჭიროებას და მოთხოვნილებას მაღალ კვალიფიკაციურ მუშა-ხელზე—და არ იძლეოდა მომზადებულ ოსტატებს შავი ქვის მრეწველობისათვის. ამიტომ საქციო საზოგადოება „საქართველოს მარგანეცი“ იძულებული იყო კვალიფიციური მუშები გამოეწერა საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებიდან. ახალი სასწავლებლის გახსნა საშუალებას იძლევა კვალიფიციური მუშა-ხელი ადგილობრივ მომზადდეს. თუ რამდენად დიდი იყო ასეთი ტიპის სასწავლებლის საჭიროება, ამტკიცებს ის ფაქტი, რომ სასწავლებლის 25 თავისუფალ ადგილზე შეტანილ იქნა 300 განცხადება. მოწაფეების შერჩევა ჩატარდა სოციალური მდგომარეობის მიხედვით რისთვისაც მუშაობდა სპეციალური კომისია. სასწავლებელში მიღებულ მოწაფეებს დაენიშნა სტიპენდია 15 მანეთის რაოდენობით თვეში. სასწავლებლის კურსი ორწლიანია. მასწავლებელთა შტატი შედგენილია სამთო დარგის გამოცდილ მუშა-სპეციალისტებისაგან.

საერთაშორისო სანიტარული კონფერენცია

(საუბარი კონფერენციიდან დაბრუნებულ ექ. მარუაშვილთან)

გუშინ თბილისში დაბრუნდა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სამალარიო სექციის გამგე ექ. მ. მარუაშვილი, რომელიც გაგზავნილი იყო ჟენევაში ერთა ლიგასთან გახსნილ საერთაშორისო სანიტარულ კონფერენციაზე დასასწრებლად, როგორც საქართველოს დელეგატი.

კონფერენციის მუშაობის შესახებ და იქ მიღებულ შთაბეჭდილებებზე ექ. მარუაშვილმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— საერთაშორისო სანიტარული კონფერენცია მოწვეული იყო ჟენევაში ერთა ლიგის ჰიგიენური სექციის ინიციატივით გასული წლის ნოემბრის 1-ლ რიცხვებში. კონფერენციას დაესწრო 22 სახელმწიფოს დელეგატი, ბოლო საბჭოთა კავშირიდან 2 დელეგატი.

კონფერენციის დღის წესრიგში დასმული იყო რამოდენიმე აქტუალური საკითხი და სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელთა მოხსენებები სახელმწიფოებში ჯანმრთელობის საქმისა და სანიტარიის მდგომარეობის შესახებ, აღნიშნული მოხსენებები უმთავრესად საინფორმაციო ხასიათის იყო. გარდა ამისა კონფერენციაზე განხილულ იქნა კიდევ შემდეგი საკითხები: ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის გაუმჯობესება სხვადასხვა ქვეყნებში და გერმანიის გამოცდილება ამ მხრივ, ვენერიულ სნებებთან ბრძოლის პრობლემები, კონტროლის მოწყობა საკვებ პროდუქტების ღირსების გამოსარკვევად და სხვა.

კონფერენციას თავმჯდომარეობდა დანიის მეცნიერი და ერთა ლიგის ჰიგიენური სექციის თავმჯდომარე პროფ. მარცენი.

კონფერენციის მუშაობამ გასტანა ერთი კვირა და შემდეგ კონფერენციის მთელი შემადგენლობა გაემგზავრა გერმანიაში სანიტარული საქმის მდგომარეობის გასაცნობათ. გერმანიაში დავათვალიერეთ 15 მთავარი ქალაქი, სადაც დელეგატები ვეცნობოდით სანიტარულ ჰიგიენური საქმის დაყენებას უმთავრესად მრეწველობაში და შემდეგ ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციებს, მათ მუშაობას და სტრუქტურას.

ამის შემდეგ ერთა ლიგის ინიციატივით მოეწყო დელეგატებისათვის თვენახევრიანი კურსები, სადაც გავეცანით და შევისწავლეთ სანიტარული ორგანიზაციების რაციონალურად მოწყობის წესი, ეპიდემიებთან ბრძოლის ორგანიზაციის მოწყობა და სხვა.

დასასრულ, მე უნდა განვაცხადო, რომ როგორც ჟენევაში, ისე გერმანიაში და ევროპის სხვა იმ ქვეყნებში, სადაც საბჭოთა დელეგატებს მოგვიხდა ყოფნა, ჩვენ დიდის პატივისცემით გვეგებებოდნენ; შვეიცარიაშიაც, სათანადო წრეები დიდის ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ჩვენს თანამშრომლობას კონფერენციაზე.

ამჟამად მე ვამზადებ მოხსენებას ჯანმრთელობის კომისარიატში წარსადგენათ, ჩემი ევროპაში მუშაობისა და ნანახის შესახებ.

რიონჰესის სამშენებლო პროექტი დამტკიცებულია

გუშინ თბილისში დაბრუნდნენ რიონჰესის სამუშაოთა უფროსი და სადგურის საამშენებლო პროექტის ავტორი ინჟ. მელიქ-ფაშაევი და რიონჰესის ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟ. ა. ჩიქოვანი, რომლებიც გამგზავრებული იყვნენ მოსკოვში უმაღლეს საკავშირო ორგანოებში პროექტის გარჩევაში მონაწილეობის მისაღებად.

რიონჰესის საამშენებლო ტექნიკური პროექტი გასარჩევად და დასამტკიცებლად წარდგენილი იყო საკავშირო ს. მ. უ. ს. მთავარ ელექტრო-სამმართველოში, სადაც პროექტის შესასწავლად გამოყოფილი იქნა სპეციალისტთა კომისია, რომელმაც თავისი მუშაობა დაასრულა მარტის შუა რიცხვებში, ხოლო 16 მარტს პროექტი ოფიციალურად მიიღო ცენტრალური ელექტრო საბჭოს პლენუმმა.

პროექტის დამტკიცების შესახებ ინჟ. მელიქ-ფაშაევმა ჩვენს თანამშრომელს გადასცა:

— საამშენებლო ტექნიკური პროექტის დაუმტკიცებლობა შესამჩნევად აბრკოლებდა რიონჰესის სამუშაოების სათანადო მასშტაბით წარმოებას, რადგან ყოველი დიდძალოვანი ჰიდრო-ელსადგურის აგების დროს საჭიროა, რომ ყველა წვრილმან ნაგებობათა გეგმები მუშავდებოდეს მთავარი ტექნიკური პროექტის საფუძველზე, ხოლო ჩვენ კი არ გვქონდა დამტკიცებული ტექნიკური პროექტი.

რიონჰესის ტექნიკური პროექტი პირველად გადაიგზავნა ცენტრალურ ელექტრო საბჭოს ლენინგრადის განყოფილებაში. თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში კი პროექტი ჩამოვიტანეთ მოსკოვში, სადაც დანიშნული იყო ცენტრ. ელ. საბჭოს სპეციალური სხდომა. სხდომაზე პროექტის დასაცავად გამოვიდნენ ცნობილი პროფესორი კანდიბა და პროფ. ეგიაზაროვი.

16 მარტს პროექტი ოფიციალურად იქნა დამტკიცებული.

ზამთრის შედეგები

შირაქის ველზე

როგორც მეცხვარეთა ამხანაგობას ატყობინებენ, შირაქის ველის საძოვრებზე ცხვრის ფარა განსაცდელშია. დიდი სიცივეების, ამინდის სწრაფი, უეცარი ცვალებადობის, ტემპერატურის რყევის გამო და აგრეთვე იმის გამო რომ მეცხვარეებს საქონლის საკვები პროდუქტები არ მოეპოვებათ, და ცხვრის ჯოგი სისტემატიურ შიმშილს განიცდის, გახშირდა მაკე ცხვრების მობერწყება. იანვრის პირველ რიცხვებში ცხვრის მობერწყება იშვიათი იყო, თებერვლის შუა რიცხვებში მობერწყებულ ცხვრის რიცხვი სამ პროცენტს შეადგენდა, ხოლო ამჟამად იგი უკვე ექვს-რვა პროცენტს აღწევს. მეცხვარეებმა დასახმარებლად მიმართეს მეცხვარეთა ამხ. „მწყემს“. მაგრამ უკანასკნელ დრომდე მან ვერ შესძლო რაიმე შემწეობა აღმოეჩინა მათთვის. მეცხვარეებს არც ფურაჟი მიუღიათ და არც ვეტერინალური დახმარება.

აფხაზეთში

თოვლის ერთბაშად გადნობის გამო გუმისტინის რაიონში (აფხაზეთი) გაფუჭდა ადრე ნათესი ბოსტნები, რომელიც ბოსტნეულობას და მწვანეულობას აწვდის სოხუმის ბაზარს. კრიტიკულ მდგომარეობაში არიან აგრეთვე მესაქონლეები, რომელთაც შემოაკლდათ საკვები, ხოლო დიდი თოვლი საშუალებას არ აძლევს მათ საქონელი გარეკონ საბალახოებზე. აფხაზეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი აწვდის მესაქონლეებს საკვებ მასალას, რომელიც მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

გლეხთა ცენტრალური სახლის საბჭო

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა გლეხთა ცენტრალური სახლის საბჭოს ახალი შემადგენლობა. საბჭოში შედიან: სოც. უზრუნველყოფის განყ. გამგე ამხ. კ. ხომერიკი (საბჭოს თავმჯდომარეთ), სახლის გამგე—მშედლიშვილი, საქ. ცაკიდან — ამხ. აფციაური, 1 დივიზიის პოლიტგანიდან —ამხ. სიმონგულოვი, მუშათა და გლეხთა ინსპექციიდან — ამხ. ვ. გოგიბერიძე, ცეკავშირიდან—ამხ. ნაფეტვარიძე, პროფსაბჭოდან—ამხ. ს. ხვედელიძე, თბილისის აღმასკომიდან—ამხ. თხილავა, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატიდან—ამხ. ფსიტიძე, „სოფლის კავშირიდან“—ამხ. ვლ. ცაგარელი, სახ. კომისართა საბჭოდან—ამხ. მეგრელიშვილი, ცეკას ქალთა განყოფილებიდან —ამხ. ჩერქეზიშვილი, ცეკადან—ამხ. ჟუჟიკაშვილი, იუსტიციის სახ. კომისარიატიდან—ამხ. ზერზერაშვილი, ფინსახკომიდან ამხ. ფანცხავა, განათ. სახ. კომისარიატიდან—ამხ. ზაუტაშვილი, თბ. კომიტეტიდან—ამხ. ბედია, გაზ. „ახალი სოფლის“ რედაქტორი —ამხ. გ. მუშიშვილი და ვ. გოგინაშვილი და ჯვარიშვილი.

თბ. მაზრის მოსამართლის დანიშვნა

ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, თბ. მაზრის მოსამართლედ დაინიშნა ამხ. ბაჭუ დიანოზის ძე კუპრაშვილი.

პენსიები დამსახურებულ მასწავლებლებს

საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების შუამდგომლობის თანახმად საქ. ცაკის პრეზიდიუმმა პენსიები დაუნიშნა შემდეგ დამსახურებულ მასწავლებლებს: ესტატე ახალაიას, კონდრატი ჩაჩიბაიას, ჭუმბურიძეს, ხრისტაფორ სოლეიმანოვს, გიორგი ახალაიას, ნიკო რაზიკაშვილის ქვრივს, დავით გოგიას, ზიად შარაფოვას, იოსებ ბარბაქაძეს, ალექსანდრე გუნიას და სოლომონ ზურაბიშვილს.

ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში

ქუთაისის მაზრაში

საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით: — საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩასატარებლად ქუთაისის სამაზრო გლეხკომმა მოაწყო მაზრაში 30 პუნქტი, რომელთაც გლეხებს შორის გასანაწილებლად გადაეცა 210 სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღი. თესვის კამპანიისათვის გლეხკომმა ამჟამად ახლად დაიკვეთა 3 ტრაქტორი და 200 სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღი. გლეხკომმა თავის საშუალებებიდან გადასდვა 2.000 მანეთი სათესლე სიმინდის შესაძენად. ეს სიმინდი მიწების დასათესად გაუნაწილდება ქვრივებს, ობლებს და წითელარმიელების ოჯახებს. სამაზრო გლეხკომმა თესვის კამპანიისათვის სპეციალურად მოიწვია აგრონომი, რომელიც ქუთაისში გლეხკომის შენობაში, ყოველ-დღე აწყობს ლექციებს და საუბრებს საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების მნიშვნელობაზე და რჩევა-დარიგებას აძლევს გლეხებს, როგორ უნდა დაამუშავონ მიწები. ქუთაისის მაზრის სოფლებიდან ჩამოსული გლეხების გარდა, ამ საუბრებს ესწრება რაჭიდან, ლეჩხუმიდან და სვანეთიდან ჩამოსული გლეხები.

ინვალიდების კოოპერატიული ნადები

სოც. უზრუნველყოფის ორგანოების ხელმძღვანელობით საქართველოში ამჟამად სულ არის მოწყობილი ინვალიდების 37 კოოპერატიული ნადი. ამ დღეებში მთავრობამ დაამტკიცა სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული კავშირის წესდება. ახლო მომავალში საქართველოში მოწყობილი იქნება ინვალიდების კოოპერატიული ნადების (არტელების) ცენტრალური კავშირი.

საქ. სახკომსაბჭოში

დუშეთის წყალსადენი

წინადადება მიეცა ს. მ. უ. ს. შეადგინოს კომიტეტს წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან ერთად შეამოწმოს დუშეთის წყალსადენის გაყვანისათვის წარმოებული მუშაობა და აგრეთვე ამ სამუშაოთათვის გასული წლის ბიუჯეტით გაღებული 15.000 მანეთის დახარჯვის სისწორე.

აბრეშუმის სახვევი ფაბრიკის აგება ქალ. ზუგდიდში

წინადადება მიეცა ს. მ. უ. ს. შეადგინოს ზუგდიდის აბრეშუმის სახვევი ფაბრიკის აგების პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. მასვე დაევალა განსაზღვროს, როდის იქნება შესაძლებელი ხსენებულ ფაბრიკის აგების დაწყება.

ფოთის ელექტრო-ქსელის შესახებ

წინადადება მიეცა ფოთის აღმასკომს დაუყოვნებლივ შეუდგეს ქალაქის ელექტრო-ქსელის მოწყობის სამუშაოთა წარმოებას.

აღნიშნულ სამუშაოთა ჩატარებისათვის ზედამხედველობის გაწევა დაეკისრა ს. მ. უ. ს. საბჭოს.

საკურორტო სეზონის წინ

23 მარტს სახკომსაბჭოში შესდგა თათბირი დაინტერესებულ უწყებების მონაწილეობით, კურორტ აბასთუმანისა და ბორჯომის სასურსათო საქონლით უზრუნველყოფის საკითხის მოსაგვარებლად.

თათბირმა საჭიროდ სცნო დაევალოს საქ „წყემს“ და „ხორცის პროდუქტს“ მიაწოდოს კურორტ აბასთუმანს და ბორჯომს, საჭირო რაოდენობით, ხორცი და ერბო, ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს მიერ დაწესებულ ფასებში.

ა.-კავკასიის სახ. ვაჭრობის სამმართველოს დაევალა სისტემატიურად მიაწოდოს აბასთუმანს და ბორჯომს ძვირცხები კოოპერატიულ ორგანიზაციების საშუალებით.

ცეკავშირის გამგეობას დაევალა მიიღოს წინასწარ სათანადო ზომები საკურორტო ადგილების პურით, ჩაით, კაკაოთი, მაკარონით, კარტოფილით, და სხვა საჭირო სანოვაგით უზრუნველყოფის შესახებ.

ორშაბათს, 26 მარტს, საღამოს 6 საათზე სახელმწიფო ოპერის დარბაზში შესდგება

თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს მორიგი

მეორე გაფართოებული პლენუმი,

სექციებზე მიმაგრებულ აქტივის, ფაბრიკა-ქარხნების ადგილკომების, თბილისის გარნიზონის უფროსშემადგენლობისა და წითელ არმიელთა ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად.

დღის წესრიგი:
1. საერთაშორისო და ს.ს.ს.რ. შინაური მდგომარეობა
მოხსენება ამხ. მამია ორახელაშვილის.
2. პურის ბაზრის მდგომარეობა თბილისში
ცნობა სახ. სავაჭრო კომის. რწმუნებულის ამხ. სააკიანის.

საბჭოს წევრები შედიან დარბაზში თავიანთი ბილეთებით, დანარჩენები სათანადო მოწმობებით.

ნ. 828. თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

ქრონიკა

პენსია პროფ. კახიანის ოჯახს

სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა პროფ. კახიანის ოჯახს პენსიის სახით ყოველთვიურათ დაუნიშნოს 200 მანეთი.

არსებულ კანონის მიხედვით პროფ. კახიანის ოჯახს 100 მანეთი მიეცემა სოციალურ დაზღვევის ფონდიდან, ხოლო 100 მანეთი სახ. კომისართა საბჭოს საშუალებებიდან.

სოფლის კავშირის საბჭოს სესია

დღეს საღამოს „სოფლის კავშირში“ შესდგა „სოფლის კავშირი“-ს საბჭოს პირველი სესია. დღის წესრიგი შემდეგია: გამგეობის მოხსენება 1926—27 წელში ჩატარებულ მუშაობის შესახებ, გასული წლის ანგარიშების განხილვა. —1927—28 წლის მუშაობის გეგმის და ხარჯთაღრიცხვის განხილვა; გამგეობის შევსება ორი ახალი წევრით,—მერძეულის და მეაბრეშუმეთა სექციის გამოყოფა და მიმდინარე საკითხები.

კოოპერატიული აგიტპროპაგანდა

ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ორშაბათს, 26 მარტს, დღის 11 საათზე იწვევს თათბირს კოოპერატიულ საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის საკითხების განსახილველად. თათბირზე მოწვეულნი არიან: ცეკავშირის, კოოპერატიულ საბჭოს, სოფლის კავშირის, მუშკოოპის, ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ კავშირის, „ზაკტპის“, სამხედრო კოოპერატივის პროფსაბჭოს, კოოპერატიულ განყოფილების და კომკავშირის ცეკას წარმომადგენლები.

ამავე განყოფილებაში 28 მარტისათვის მოწვეულია გაფართოებული თათბირი კულტ-განმანათლებელი მუშაობის შესახებ.

პირველი სამთამადნო საშველი სადგური საქართველოში

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის მოთხოვნით, ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროებში ეწყობა სამთომადნო საშველი სადგური, რომელიც შრომის დაცვის დარგში პირველ ცდას წარმოადგენს საქართველოში. სამთო საშველი სადგ. აუცილებელ ინსტიტუტს წარმოადგენს ყველა იმ ადგილებში, სადაც მაღაროების დამუშავება ფართო მაშტაბით სწარმოებს. სადგურის მთავარ დანიშნულებას შეადგენს სასწრაფოდ მიშველება და დახმარების აღმოჩენა მემაღაროე მუშებისათვის, როცა მაღაროებში მოულოდნელად გაჩნდება ცეცხლი, მოხდება უეცარი აფეთქება, გადმოხეთქს წყალი. ასეთი სადგურების დიდ საჭიროებას განსაკუთრებით განიცდის შავი ქვის მაღაროები, სადაც მუდამ არის იმის საშიშროება, რომ გაჩნდება სხვადასხვა გაზები. ან ნახშირის გახურებით ხანძარი იფეთქებს. დონის მაღაროებიდან უკვე გამოწერილია და ამ მოკლე ხანში მიღებული იქნება სადგურისათვის დრამეტის სისტემის საშველი აპარატები და სხვა საჭირო იარაღები. სადგურის გამგედ მოწვეულია სამთო ინჟინერი კ. ჭიჭინაძე.

თბილისის აღმასკომში

◆ სიმინდი დაზარალებულებს. თბ. აღმასკომმა ერწო-თიანეთის რაიონში დაზარალებულ გლეხებისათვის შეიძინა 1 ვაგონი სიმინდი.

◆ თბ. ხაჰნის ქარხნებში საპნის სტანდარტის გამომუშავება დაევალა ფასების მომწესრიგებელ კომისიას.

◆ ახალი წყალსაზომები. კომუნალურმა განყოფილებამ გარეუბნებში მოსაწყობათ შეიძინა 910 წყალსაზომი.

◆ პურის [illegible] წერტილები. თბ. აღმასკომმა დაადგინა მუშკოოპს ქალაქის სხვადასხვა უბნებში [illegible] რაბები.

◆ ტრამვაის დირექციამ გადასწყვიტა წელს განაპირა უბნებში გაიყვანოს ტრამვაის ახალი ხაზები.

◆ სადეპუტატო მაგიდები. თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა გააფართოოს წარმოება-დაწესებულებებთან სადეპუტატო მაგიდების ქსელი.

◆ გზის შეკეთება. ალბულაღის გზის შესაკეთებლად აღმასკომმა გადასდო 28.500 მანეთი.

◆ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა თბილისის მაზრაში სავსებით დამთავრდება ამ დღეებში.

მიწსახკომში

◆ ვენახების დაზარალება. ქართლში დიდი ყინვების გამო საგრძნობლად დაზარალდა ვენახები.

◆ ახალი სანერგეები. მიწსახკომი ადგილობრივ აღმასკომებთან ერთად სოფ. ატენში (გორის მაზრა) და ქალ. ონში წელს მოაწყობს ამერიკული ვაზის სანერგეებს.

საბინაო მშენებლობა

◆ საბინაო კოოპერაცია ამ ჟამად თბილისში აგებს 22 ახალ სახლს.

◆ დახმარება. რესპუბლიკის კომუნალურმა ბანკმა დაადგინა გაადიდოს საბინაო მშენებლობისათვის გასაცემი თანხების რაოდენობა.

კრებები და მოხსენებები

— სამშაბათს, 27 მარტს, დღის 12 საათზე მოწვეულია სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა აღმასბიუროს პლენუმი.

სხვადასხვა

◆ განათლების მუშაკთა სახლში ორშაბათს, 26 მარტს, საღამოს 7 საათზე მე-30 შრომის სკოლის გამგე გააკეთებს მოხსენებას „თვითმართველობის გატარების შესახებ სკოლაში“.

◆ სოცჰიგიენის ინსტიტუტის აუდიტორიაში დღეს, საღამოს 5 ს. სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის საერთო კრებაზე მოხსენებას წაიკითხავენ: პროფ. ალ. ნათიშვილი—სამეცნიერო წრის ამოცანების შესახებ და მე-4 კურსის სტუდენტი გ. კვიტაიშვილი—„კეთრი“.

◆ საქ. მუზეუმის აუდიტორიაში ორშაბათს, 26 მარტს, საღამოს 7 ს. შესდგება საქ. საფსიქოლოგიო საზ-ბის სხდომა, რომელზედაც გრიგოლ ხმალაძე წაიკითხავს მოხსენებას: „ეჭვის ცნობიერების მდგომარეობა“. დასწრება თავისუფალია.

◆ ქართული ენათმეცნიერთ საზ-ბის მორიგი საჯარო სხდომა შესდგება სამშაბათს, 27 მარტს საღამოს 7 ს. საქ. მუზეუმის აუდიტორიაში. სხდომაზე მოხსენებებს წაიკითხავენ: 1) ვარ. თოფურია: „მედიო-პასიურ ზმნებისათვის ქართულ და სვანურში“ და 2) არნ. ჩიქობავა—„ელიზიისათვის ჭანურში“.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები. სიმფეროპოლიდან—ახალაიას, კუბიდან—შამაილოვს, ზესტაფონიდან—ზამბახიძეს, ბახჩისარაიდან—ქავთაძეს, თეირანიდან—დივიზიანს.

რკინისგზებზე

საქმე, მატარებლის დაკავებულ ხაზზე მიღების შესახებ

ა. კ. რკინის გზებზე შემთხვევებთან ბრძოლის საგზაო კომისიამ განიხილა საქმე, ა. წ. თებერვლის დამდეგს სადგ. თბილისში დაკავებულ ხაზზე საბარგო მატარებლის მიღების შესახებ.

გამოირკვა, რომ მეისრე არსენ შკირენკომ, რომელიც იღებდა მატარებელს, თავის დროზე გამზადა გეზი მატარებლისათვის მე-9 თავისუფალ ხაზზე. მაგრამ უკანასკნელად, როდესაც მატარებელი უკვე შემოდიოდა სადგურში, მან რატომღაც მოიფიქრა, რომ ისარი სწორად არ ქონდა დაყენებული და გადაიყვანა იგი მეორე ხაზისაკენ, რომელიც უკვე დაკავებული იყო შემადგენლობით.

თავის შეცდომა შკირენკომ მაშინვე შეამჩნია და მიიღო ყველა ზომები მატარებლის გასაჩერებლად და შედეგსაც მიაღწია—მატარებელი გაიჩერა.

მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ შკირენკომ თვით შეამჩნია თავის შეცდომა და თავის დროზე გააჩერა მატარებელი, რითაც თავიდან იქნა აცილებული მარცხი, შემთხვევებთან ბრძოლის საგზაო კომისია დაკმაყოფილდა მისთვის საყვედურის გამოცხადებით და გაფრთხილებით, რომ მომავალში თუ ადგილი ექნება ასეთ შეცდომებს, მას დაითხოვენ სამსახურიდან.

დაჯახება „ვაგონეტკაზე“

სადგ. ბილაჯარაში საყუდიდან გამოსული ორთქლმავალი დაეჯახა რელსებით დატვირთულ ვაგონეტკას. ვაგონეტკა სრულიად დაიმსხვრა. ორთქლმავალი გადავარდა ლიანდაგიდან. ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

ფურაჟის გადაზიდვა

ამიერ-კავკასიის უმეტეს რაიონებში ადგილი აქვს საქონლის საკვების ნაკლებობას, რაც გამოწვეულია ხანგრძლივი ზამთრით და დიდი თოვლით.

გლეხობისათვის ამ მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად ამიერ-კავკასიის რკინის გზების გამგეობამ დაადგინა საქონლის საკვების შემოზიდვა ამიერ-კავკასიაში დროებით, სანამ ადგილი აქვს საქონლის საკვების სიმცირეს, აწარმოოს პურის ტვირთებთან ერთად.

ხარჯები ჯანმრთელობის დაცვისათვის

მიმდინარე წელს საექიმო-სასანიტარო ღონისძიებათა გატარებაზე ა. კ. რკინის გზებზე უნდა დაიხარჯოს—210.000 მანეთი. ამ თანხიდან—20.000 მან. დაიხარჯება შენობების კაპიტალურ შეკეთებაზე, 16.300 მან. მათ მიმდინარე შეკეთებაზე, 3.000 მან. სამეურნეო ხასიათის ტვირთების გადაზიდვაზე და წყლით მომარაგებაზე—5.700 მანეთი.

ამასთან ერთად, ამიერ-კავკასიის რკინის გზ. გამგეობამ გზათა კომისარიატს მიმართა თხოვნით,—მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვის ანგარიში გაიღოს კიდევ—45.000 მანეთი საავადმყოფოების შენობების დასამთავრებლად.

მატარებლის გაწყვეტა და დაჯახება

23 მარტს სადგ. შაქარლიდან გაგზავნილი საბარგო მატარებელი გაწყდა. მოწყვეტილი ბოლო ნაწილი დაეჯახა წინას.

დაჯახების დროს საგრძნობლად დაზიანდა ორი და დაიმტვრა ერთი ცისტერნა. დამტვრეულ ცისტერნამ დაიკავა სადგურის ხაზები.

ხაზების გასაწმენდად აქსტაფიდან გაგზავნეს დამხმარე მატარებელი.

მეცნიერება და ტეხნიკა

სრიალა მოტორ-ნავი

(წერილი გერმანიიდან)

დღეს ტეხნიკამ მიაღწია 500 კილომეტრის სისწრაფეს ჰაერში და 250 კილომეტრს დედამიწაზე. წყალზე კი ჯერ-ჯერობით ნელი ნაბიჯით მიდის წინ. დიდი საოკეანო გემი საათში გადის მხოლოთ 35 კილომეტრს, საქონლის კი—15—20 კილომეტრს.



სურ. 1.



სურ. 3.

მფრინავი მანქანის განვითარების შემდეგ, განვითარდა გემის აგებულებაც.

აეროდინამიკის წინსვლამ და ჰაერის დენის მოძრაობის შესწავლამ გამოარკვია, რომ ჰაერის და წყლის წინააღმდეგობის მოქმედება ერთგვარია.



სურ. 2.



სურ. 4.



სურ. 5.

ზევით: სრიალა მოტორ-ნავი „დელფინი I“, რომელიც გერმანიაში მდ. ელბაზე მუშაობს.
ქვევით: სურათი იმის, თუ როგორი სიღრმით ძევს წყალში სრიალა მოტორ-ნავი ნორმალურ მოტორ-ნავთან შედარებით.

ეს თეორია გამოიყენეს მფრინავი მანქანების კონსტრუქტორებმა არა მარტო ჰაერში, არამედ წყალზედაც და ააშენეს ეგრეთ წოდებული სრიალა - მოტორნავი — პროპელერით.

თვით სიტყვა — სრიალა - მოტორნავი ცხადყოფს, რომ უკანასკნელი დასცურავს წყლის ზედაპირზე და ამგვარათ წყლის წინააღმდეგობა ზომიერზე ნაკლები აქვს, ვიდრე ნორმალურ მოტორნავს, რომლის კორპუსის დიდი ნაწილი წყალში ძევს. სასპორტო მოტორნავი აკეთებს საათში 75 კილომეტრს, მხოლოდ ერთი პირობით: წყალი ღრმა და ფართო უნდა იყვეს, რადგან დიდი სიჩქარის დროს ნავის სხეული ღრმათ სჭრის წყალს, ქმნის ამით დიდ ტალღებს და თვით თითქმის წყალში იმალება. სრიალა - მოტორნავი კი თითქმის არავითარ ტალღებს არ იწვევს.

საინტერესოა ამ სრიალა მოტორნავის კონსტრუქცია. ნავს აქვს კიბისებური, რამოდენიმე ადგილას ჩაჭრილი ძირი, რომელიც ხელს უწყობს სიჩქარის დროს ნავის კორპუსის ამოტივტივებას.

სურათი პირველი წარმოადგენს ნორმალურ მოტორნავს მოძრაობის დროს. სურათიდან სჩანს, თუ რა ღრმათ ზის წყალში მისი კორპუსი. ამის გამო მას უხდება წყლის დიდი წინააღმდეგობის დაძლევა და მისი მოძრაობის დროს დიდი ტალღები იქმნება.

მეორე სურათზე ვხედავთ სასპორტო მოტორნავს, რომელიც დიდი სიჩქარის გამო წინა ნაწილს ჰაერში სწევს, მხოლოდ უკანა კი ღრმათ წყალში აქვს. ნავი ქმნის ვეებერთელა ტალღებს და ამით იწვევს წყლის დიდ წინააღმდეგობას.

მესამე სურათი წარმოადგენს სრიალა-მოტორნავს, სვლის დროს თითქმის არავითარ ტალღებს არ ქმნის და წყლის წინააღმდეგობა პატარა აქვს.

თუ რათ დასცურავს სრიალა-მოტორნავი წყლის ზედაპირზე, ამას გვიხსნის მეოთხე სურათი. წარმოვიდგინოთ, რომ a არის ერთი სრიალა მოტორნავის კიბისებური ფუძე, რომელიც მოტორის ძალით მიისწრაფის c—მიმართულებით. ამ დროს წერტილში n ჩნდება ძალა e, რომელიც ცდილობს დააყენოს ნავის ფუძე a ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. ეს ძალა e შესდგება ორი ძალისაგან: 1) b—ამწევი (ანუ ამოტივტივების) ძალა და 2) d წყლის წინააღმდეგობა.

მოტორის ძალა, რომელიც მიიმართება c-ს მიმართულებით, აბათილებს ძალა d-ს და რჩება ძალა b, რომელსაც ნავი ამოყავს წყლიდან.

გერმანიაში — შარშან მოხდა სრიალა-მოტორნავის პირველი გამოცდა, რომელმაც გამოარკვია, რომ ეს ნავი როგორც საბარგოთ, ისე სამგზავროთ კარგი გამოსადეგია.

მეხუთე სურათი (ზევით) წარმოადგენს სრიალა-მოტორნავს „დელფინი I“, რომელიც გერმანიაში მდინარე ელბაზე მუშაობს.

პროპელერს ამოძრავებს 300 ცხ. ძალიანი მოტორი. წყლის პროპელერი არის პატარა მანძილებისათვის, როგორც მაგალითად ნავთსადგურში წინ და უკან დახევა. „დელფინი“ იტევს 40 კაცს და აქვს სიჩქარე დაახლოებით 100—120 კილომეტ. საათში.

ლევან ნაკაშიძე.

დარმშტადტი, 14 მარტი.

რადიო-სხდომა

ვის მოუვიდოდა აზრათ ამ რამდენიმე ხნის წინათ, რომ შესაძლებელია ერთდროულათ მოწვეულ იქნეს რომელიმე საზოგადოების ლონდონში და ნიუ-იორკში მყოფ წევრების შეერთებული კრება და სხდომას ისე გაძღოლა, თითქო იგი ერთ შენობაში იყო მოწვეული? მაგრამ ეს წარმოუდგენელი რამ ამ ცოტა ხნის წინეთ განხორციელებული იქნა რადიო—ტელეფონის ზღაპრული განვითარების წყალობით.

ინგლისელ ელექტრო-ტეხნიკოსების ინსტიტუტი (რომელიც ლონდონში იმყოფება) და ამერიკულ ელექტრო-ტეხნიკოსების ინსტიტუტი (რომელიც ნიუ-იორკში იმყოფება) ერთსა და იმავე საათში შეიკრიბენ „გაერთიანებულ“ სხდომაზე. ნიუ-იორკში და ლონდონში სხდომის დარბაზებში დადგმული იყო ხმამაღალი მოლაპარაკე აპარატები და ორივე დარბაზი ერთმანეთთან იყო შეერთებული რადიო-ტელეფონით.

ნიუ-იორკში, სხდომის თავმჯდომარის თავისუფალ სავარძელთან გამოჩნდა სურათი ჯემს პეჯისა, ინგლისის ელექტრო-ტეხნიკოსების ინსტიტუტის თავმჯდომარის. ლონდონში კი სადაც სხდომის დარბაზში იმყოფებოდა თვით ჯემს პეჯი, ორ სავარძელზე, რომლებიც დადგმულ იყო ამერიკელ თავმჯდომარის მოადგილეებისათვის, მოთავსებული იყო ორი ხმა-მაღლა მოლაპარაკე აპარატი.

ნაშუადღევის სრულ 3 საათზე და 30 წ. ერთ-ერთი აპარატიდან ნათლად და გარკვევით გაისმა:

— დილა მშვიდობისა მისტერ პეჯ (ამ დროს ნიუ-იორკში დილა იყო).

— დილა მშვიდობისა, მისტერ გერარდი,— უპასუხა პეჯმა სხდომის უხილავ მონაწილეს და მოკლე სიტყვით მიესალმა „ერთად შეკრებილ“ ინსტიტუტების წევრებს.

თავისი სიტყვის გათავების შემდეგ პეჯმა სიტყვა მისცა დ—რ ჯუეტს, ამერიკულ ინსტიტუტის თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც ამ დროს ნიუ-იორკში იმყოფებოდა.

სიტყვები გაგრძელდა 15 წუთს. წარმოდგენილი რეზოლიუცია ერთსა და იმავე დროს ერთხმად იქნა მიღებული ლონდონში და ნიუ-იორკში, სხდომის შემდეგ მიღებულმა დეპეშებმა დაადასტურეს, რომ ამერიკელებს არ გამორჩენიათ არც ერთი სიტყვა, რომელიც ლონდონში წარმოითქვა სხდომაზე და პირიქით.

ზღვის სიღრმის გამორკვევის ახალი წესი

უკანასკნელ დრომდი ზღვის სიღრმეს არკვევდენ მძიმე ტვირთის საშუალებით, რომელსაც გრძელი თოკით უშვებდენ წყალში მანამ, სანამ ტვირთი ფსკერამდი არ დაიდოდა. შემდეგ ტვირთს იღებდენ და სიღრმეს არკვევდენ ჩაშვებულ თოკის სიგრძის მიხედვით. ეს წესი მეტად დიდ შრომას და დროს მოითხოვს და არც სწორ შედეგებს იძლევა. რადგან ზღვის დინებას ტვირთი განზე მიაქვს და თოკით ნაჩვენები სიგრძე ჩვეულებრივ სიღრმეზე მეტი გამოდის.

ამჟამად სპეციალურ გემებზე შემდეგი წესია შემოღებული ზღვის სიღრმის გამოსარკვევად.

განსაკუთრებული აპარატი ზღვის ფსკერის მიმართულებით გზავნის ხმის რყევას. რომელთაც ზღვის ფსკერი უკან იტყორცნის. უკუტყორცნილ რყევათა დაბრუნებას ზღვის ზედა პირზე აღნიშნავს სპეციალური აპარატი. ხმის გავრცელების სისწრაფე წყალში გამორკვეულია. იმ დროის მიხედვით, რომელიც მოუნდა ხმის მიღწევას ზღვის ფსკერამდი და უკუტყორცნილი ხმის დაბრუნებას ზედაპირზე, არკვევენ ზღვის სიღრმეს ამა თუ იმ ადგილში. თუ ზღვის სიღრმის გამორკვევას პირველი წესით უნდოდა არანაკლებ ორი საათისა ახალი წესით ამის გამორკვევა შეიძლება რამოდენიმე წამში გემის გაუჩერებლად.

დამზადებულია სიღრმის საზომი ავტომატიური აპარატები, რომელთა საშუალებით საათში შესაძლებელია 15.000 გაზომვის შესრულება.

სიმშილობა, როგორც სამკურნალო საშუალება

ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა პროფ. რიხტერმა ბერლინში გააკეთა მოხსენება სიმშილობაზე. რიხტერმა აღნიშნა, რომ სიმშილობა იწვევს ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის შემცირებას და თერაპევტებისათვის წარმოადგენს მნიშვნელოვან სამკურნალო საშუალებას. სიმშილობა დადებითი გავლენას ახდენს კუნთებზე და ნერვებზე და აძლიერებს მათს შრომის უნარიანობას. დადებითი გავლენას ახდენს სიმშილობა შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებზეც. ადამიანის სხეულის უჯრედები სიმშილობის დროს ახალგაზრდავდება. პროფ. რიხტერმა მოიყვანა რამდენიმე მაგალითი, როცა მკურნალობა სიმშილობით შველოდა თირკმელების ანთებას, დიაბეტს (შაქრის ავადმყოფობას), ქარებს და სხვა.

საბჭოთა რენტგენოლოგიის 10 წლის თავი

ოქტომბრის რევოლიუციის პირველ თვეებში ლენინგრადში ჩაისახა ევროპაში პირველი სამეცნიერო დაწესებულება რენტგენისა და რადიუმის სხივების ბუნების შესასწავლად და მათ გამოსაყენებლად სამეცნიერო მიზნებისათვის. ასეთი ინსტიტუტის მოწყობის ინიციატორი იყო ექიმი (ამჟამად ინსტიტუტის დირექტორი) მ. ი. ნემენოვი, რომელმაც მოიწვია სპეციალისტების ჯგუფი. ეს იყო 1918 წ.

მ. ი. ნემენოვისა და მოწვეულ სპეციალისტების მიერ შექმნილმა რენტგენოლოგიისა რადიოლოგიის ინსტიტუტმა 1919 წ. იანვარში უკვე შესძლო მსოფლიოში პირველი რენტგენოლოგიური კლინიკის გახსნა სტაციონალურ ავადმყოფთათვის. ინსტიტუტში მიმდინარეობდა და აგრეთვე რენტგენოლოგების და რადიოლოგების სამი ყრილობა, რომელთაც მთელი რიგი ევროპიელი მეცნიერებიც დაესწრნენ.

ინსტიტუტის 10 წ. თავისათვის მის სახელწოდებას მიემატა სახელი და მას ახლა ეწოდება: რენტგენოლოგიური, რადიოლოგიური და კიბოს ინსტიტუტი.

ინსტიტუტის სამეცნიერო დაწესებულების ცენტრში იმყოფება საერთო ბიოლოგიის ლაბორატორია. აქ იქმნება რენტგენო-თერაპიისა და რადიო-თერაპიის მეთოდები. მაგრამ სანამ ამ მეთოდებს ადამიანზე გამოიყენებდენ მათ დიდი ხნის განმავლობაში სცდიან ცხოველებზე. შემდეგ მიდის—ბიო-ქიმიური ლაბორატორია, ბოტანიკო-მიკრობიოლოგიური, ჰისტოლოგიური, პატალოგო-ანატომიური და კიბოს ლაბორატორიები. რადონის ლაბორატორია დანიშნულია რადონის (რადიუმის ემანაცია) მოსაპოვებლად. ფიზიკო-გაზომვითი ლაბორატორიაში სწარმოებს საპასუხისმგებლო მუშაობა რადონისა და რენტგენის სხივების დოზის გამოზომვისა—მათ გამოსაყენებლად სამკურნალო მიზნებისათვის.

სახ. რენტგენოლოგიურ, რადიოლოგიურ და კიბოს ინსტიტუტის მთავარი შენობა ლენინგრადში, რენტგენის ქუჩაზე.

ინსტიტუტს აქვს ორი კლინიკა 125 საწოლით. ინსტიტუტის ლაბორატორია, სადაც ყოველწლიურად 50.000 ავადმყოფი ტარდება, შესდგება ორი განყოფილებისაგან: რენტგენოდიაგნოსტიკის და რენტგენოთერაპიის განყოფილება. პირველ განყოფილებაში სწარმოებს ავადმყოფთა გასინჯვა-გამოკვლევა, მეორეში—მკურნალობა რენტგენის სხივებით.

ინსტიტუტი სარგებლობს დამსახურებული მსოფლიო სახელით.

ინგლისის ახალი საზღვაო-საჰაერო სადგური

ინგლისში, ამ რამდენიმე ხნის წინათ, წყალში ჩაუშვეს ახალი გემი—საზღვაო-საჰაერო სადგური—„კურეჯეს“. თუმცა „კურეჯეზი“ თავისი მოცულობით და აეროპლანების რიცხვით (გემი იტევს 60 აეროპლანს) ბევრად ჩამოუვარდება ამერიკის ასეთივე ტიპის გემებს—„სარატოგა“-ს და „ლევიაფან“-ს (რომლებიც 150—150 აეროპლანს იტევენ), მაგრამ „კურეჯეზის“ საომარი თვისებები უფრო მაღალია. „კურეჯეზი“ დიდ სისწრაფეს ავითარებს. იგი საათში აკეთებს 22 კვანძს (კვანძი—1,853 კილომეტრს), აქვს მშვენიერი შეიარაღება—16 თორმეტ დიუმიანი ზარბაზანი, შეუძლია 100 ყუმბარის გასროლა საათში ზარბაზნების დამიზნება ავტომატიურად ხდება, ყუმბარების მიწოდება, ლულაში ჩადება და გასროლაც ავტომატიურად სწარმოებს. გემზე მოთავსებული აეროპლანები დაყოფილია ცალკე ჯგუფებათ: 2 მზვერავი ჯგუფი, 2—გამანადგურებელი, 1—სროლის მომწესრიგებელი და ერთიც—ბომბების გადმომყრელი.

მიწის ქვეშ მავთულის გამყვანი მანქანა

გერმანიაში გამოუშვეს მიწისქვეშა მავთულის (კაბელის) გამყვანი მანქანა. მანქანა თვითონ თხრის თხრილებს მავთულისათვის, დებს შიგ მავთულს, აყრის მიწას და ტკეპნის. მანქანის მუშაობის ნაყოფიერება მეტად დიდია. 12 საათის განმავლობაში მანქანამ მიწისქვეშ მავთული გაჰყავს რამდენიმე კილომეტრის მანძილზე. ამისათვის კი საჭირო იქნებოდა რამდენიმე ასეული მუშა.

ხოლერის აცრა

პროფ. ბეზრედკა პასტერის ინსტიტუტში (პარიზში) ცხოველებზე მრავალრიცხოვან ცდების შემდეგ იმ დასკვნამდი მივიდა, რომ ტიფის, ხოლერისა და დიზენტერიის თავიდან ასაცილებლად უფრო მოხერხებულ საშუალებას წარმოადგენს არა აცრა კან-ქვეშ, არამედ ასაცრელი საშუალების მიღება შიგნით. ამ ავადმყოფობისაგან თავის უზრუნველსაყოფად საკმაოა სამი დღის განმავლობაში საუზმის წინ ასაცრელი საშუალების (შრატის) მიღება აბებით, რისთვისაც წინასწარ საჭიროა ხარის ნაღველის მცირე რაოდენობის გადაყლაპვა. ნაღველა საჭიროა იმისათვის, რომ იგი ნაწლავების ლორწოვან გარსს ამზადებს იმ ქვედარი ბაქტერიების მისაღებად, რომელთაც ადამიანი ყლაპავს პირით. რომ ნაღველა არ სწმენდს ნაწლავების ლორწს, შრატი არ გაერეოდა სისხლში და ისე გაქრებოდა.

ბეზრედკამ თავისი შინაგანი აცრის თეორია ააშენა იმ მოსაზრებაზე, რომ უმჯობესია ორგანიზმის დაცვა იმავე გზით, რა გზითაც ხდება დაავადება. ტიფის, დიზენტერიის და ხოლერის შემთხვევებში ავადმყოფობის მიკრობი ნაწლავებში ხვდება პირიდან და ამიტომ შინაგანი აცრა უფრო სწრაფად აღწევს მიზანს, ვიდრე კანქვეშ აცრა. აცრის ახალი წესის უდიდესი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი თითქმის უმტკივნეულოა და არ იწვევს იმ ავადმყოფურ შედეგებს, რომლებიც თან ახლავს კანქვეშ აცრას. ასე მაგალითად, დიზენტერიის აცრამ კანქვეშ ისეთი ავადმყოფური შედეგები გამოიწვია, რომ მასზე სრულიად აიღეს ხელი. შინაგანი აცრის დროს ორგანიზმი სწრაფად ითვისებს იმმუნიტეტს (ავადმყოფობისაგან თავდაცვის უნარს). ცდებით დამტკიცდა რომ შრატის უკანასკნელი დოზის მიღებიდან 1—2 დღის შემდეგ ორგანიზმს უკვე აქვს მიღებული სრული იმმუნიტეტი.

გარდა ამისა, ახალი მეთოდი ისეთივე მიზანშეწონილია როგორც ძველი, ზოგიერთი შემთხვევებში კი გაცილებით უკეთეს შედეგებს იძლევა. აი ზოგიერთი ცნობები, რომელიც შეკრიბა ექიმმა რუსსელმა, მადრასის (ინდოეთში) სახალხო ჯანმრთელობის განყოფილების დირექტორმა ხოლერის უკანასკნელი ეპიდემიის დროს. აცრა პირიდან გაუკეთეს 4.982 კაცს, რომელთაგან მხოლოდ 18 გახდა ავად და 4 მოკვდა, რაც შეადგენს აცრილთა დაავადმყოფების 0,36 პროცენტს და დაავადებულთა სიკვდილიანობის 22,2 პროცენტს. კანქვეშ აცრა გაუკეთეს 8.485 კაცს, მათგან ავად გახდა 31 კაცი და 2 მოკვდა, რაც შეადგენს აცრილთა დაავადებას 0,37 პროცენტს და სიკვდილიანობის 6.5 პროცენტს. 11.004 კაციდან, რომელთათვისაც არ აუცრიათ, მაგრამ მათზე დაწესებული იყო მეთვალყურეობა ავად გახდა 222 კაცი და მოკვდა 93. ამრიგად, უკანასკნელი შემთხვევაში დაავადება შეადგენს 2,02 პროცენტს, სიკვდილიანობა კი—41.9 პროც.

ამჟამად იმმუნიზაციის ახალი მეთოდი ფართო გავრცელებას პოულობს, როგორც საბჭ. კავშირში, ისე საფრანგეთში, იტალიაში; ინდოეთში და ესპანეთში.

შაქარი გამხმარი ჭარხლიდან

ერთად-ერთ ნედლეულს საბჭოთა კავშირის შაქრის მრეწველობისათვის წარმოადგენს ჭარხალი. ამ ნედლეულს მთელ რიგ დადებით თვისებებთან ერთად აქვს აგრეთვე ზოგიერთი ნაკლი. მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ჭარხალი ჩქარა ფუჭდება, ვერ უძლებს შენახვას. როდესაც ჭარხალი გუნდათ არის დაწყობილი, იგი ლპება. გარდა ამისა, რომ არ დალპეს, შაქრის პროცენტი ჭარხალში ასეთ პირობებში კლებულობს, რადგან ჭარხალი „სუნთქავს“ და ამ „სუნთქვაზე“ იხარჯება შაქარი. ამის გამო ჭარხლის შაქრის ქარხნები ვერ მუშაობენ მთელი წლის განმავლობაში. მათი მუშაობის ხანგრძლივობა საბჭოთა კავშირში 100—110 დღეს არ აღემატება. დანარჩენი დროის განმავლობაში ქარხნები უქმად დგას.

ადვილი გასაგებია, თუ რამდენად არასასურველია ასეთი მდგომარეობა. უკვე დიდი ხანია მთელი რიგი მკვლევარები აწარმოებს ცდებს იმის გამოსარკვევად—შესაძლებელია, თუ არა ჭარხლის შენახვა გაყინვის ან გაშრობის საშუალებით. უკანასკნელი წესი მეტად სასურველი იქნებოდა, რადგან შესაძლებელი იქნებოდა არა მარტო შენახვას ჭარხლისას, არამედ აგრეთვე გაადვილებდა მის გადაზიდვასაც.

მაგრამ ჭარხლის შრობას მთელი რიგი დაბრკოლებები ელობებოდა. შაქარი, რომელსაც ჭარხალი შეიცავდა, უკანასკნელის შრობის დროს იშლებოდა, ჭარხალი შავდებოდა და მისგან შაქრის დამზადება სიძნელეს წარმოადგენდა. და მხოლოდ უკანასკნელ ხანებში იტალიაში შესძლეს ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა. იტალიაში უკვე მოწყობილია სპეციალური ქარხნები, სადაც დე-ვეკქის მიერ შემუშავებული წესით შაქარს გამშრალი ჭარხლიდან ამზადებენ. ამ ქარხნებს მთელი წლის განმავლობაში შეუძლია მუშაობა. წინად კი იტალიის შაქრის ქარხნებში მუშაობა მხოლოდ 50 დღის განმავლობაში სწარმოებდა (იტალიის მაღალი ტემპერატურა ხელს უწყობს შაქრის უფრო სწრაფად დაშლას ჭარხალში).

რუსმა მეცნიერებმა—პროფ. პრიანიშნიკოვმა და პროფ. იაკუშკინმა, რომლებიც გაეცვნენ ამ ქარხნების მუშაობას, დადებითი შთაბეჭდილება გამოიტანეს. შაქრის მრეწველობის მეცნიერულ-ტექნიკური საბჭო იმ დასკვნამდი მივიდა, რომ საბჭოთა კავშირში მშრალი ჭარხლიდან შაქრის დამზადებაზე გადასვლა მიმდინარე წლიდან უნდა დაიწყოს.

305 კილომეტრი საათში



სურათზე ნაჩვენებია სასპორტო ავტომობილი, რომელიც დაამზადა ინგლისურმა „ნეპირმა“ საერთაშორისო საავტომობილო შეჯიბრისათვის, რომელიც შეერთებულ შტატებში უნდა შესდგეს. ავტომობილი დაჯდა 20.000 გირ. სტერლინგი (190.000 მანეთი).

ამ მანქანით აპირებენ სისწრაფის იმ მსოფლიო რეკორდის გადამეტებას, რომელიც ახლა არსებობს (უდრის 305 ვერსს საათში).

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

ვ. ბარსოვას მესამე გასტროლი

„რომეო და ჯულიეტა“

23 მარტს „რომეო და ჯულიეტა“-ს პირველ წარმოდგენას ამ სეზონში ფართო მასა ინტერესით მიეგება, მიუხედავად იმისა, რომ ჯულიეტას როლს ასრულებდა ვ. ბარსოვა. ეს მოვლენა, ერთხელ კიდევ ასაბუთებს იმ აზრს, რომ მუსიკის სილამაზე და ყურთასმენისათვის სასიამოვნო ხასიათი ვერ ამოსწურავს თანამედროვე მსმენელთა ინტერესს ოპერისადმი. ყველა ამ თვისებებთან ერთად ოპერა უნდა შეიცავდეს თანამედროვე ცხოვრების დამახასიათებელ ელემენტებს: დრამატიულ მოქმედების დინამიურ განვითარებას მუსიკალურ ფრაზეოლოგიის ლაკონიზმს და გარკვეულობას, ჰარმონიულ წყობათა მიმდინარეობის ლოღიკურ საფუძვლიანობის მიხედვით არსებულ ტრაფარეტიდან დაშორებას და სხვ. უმთავრეს მოთხოვნილებად კი ჩაითვლება, რომ მუსიკალური ფრაზეოლოგია თავის სილამაზის განმტკიცებისათვის, არ აჩერებდეს დრამატიულ განვითარებას, არ იწვევდეს ამიტომ ერთ და იმავე მოქმედების მაჩვენებელ ან და წარმომშობელ სიტყვების ჩამდინარეობის განმეორებას და არ ქმნიდეს ამით ლოღიკურად გაუმართლებელ სცენიურ მდგომარეობას, რომელსაც „ვამპუკიზმი“ ეწოდება.

„რომეო და ჯულიეტას“ მუსიკალური შინაარსი ამ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს. შექსპირის გენიალური პოემის სიუჟეტს ოპერა გამოხატავს მუსიკალურ სენტიმენტალობით და „სიყვარულის“ ადგილების დაშვებით. ამიტომ როგორც წინად, ისე ახლაც ეს ოპერა მოკლებულია პოპულიარობას და შეიძლება [illegible] თეატრის რეპერტუარში მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო არ [illegible] ამ ოპერაში მცირე რიცხვი, სადაც მთავარი როლი დამუშავებულია კოლორატურულ სოპრანოსათვის.

ბარსოვას მიერ კარგად მოსაზრებული ჯულიეტას სოლოს სიმწიფე და უმანკო სიყვარული რომეოსადმი. მისი ჯულიეტა [illegible] ერთად მიმზიდველი ბავში, გატაცებული პირველი სიყვარულის გრძნობით, და ამ გრძნობის გულახდილობას და ბავშურ სისუფთავეს მომღერალი გადმოგვცემს სასიამოვნო კილოს და სიმღერის მიხვრა-მოხვრით ხასიათის საშუალებით. ტეხნიკური შესრულებით ქმნის საერთოდ მშვენიერ შთაბეჭდილებას და შეთანხმებულ უნდა იყოს როგორც მაღალხარისხოვანი მომღერალი [illegible] უნდა იყვეს [illegible]. მაგალითად, პირველ მოქმედებაში მშვენიერი ვალსის [illegible] ტეხნიკურ [illegible] ვერ არის საკმარისად თანდათანიული ბავშური [illegible] სიცხოველე და მხიარულება, მეორე მოქმედებაში კი (სცენა აივანზე) სიყვარულის გრძნობა ვერ არის ჩვენის აზრით, საკმარისად გაღრმავებული და ხმოვანების დეტალები [illegible] ხელოვნურ განცდის შთაბეჭდილებას.

მაგრამ მეოთხე მოქმედება (სცენა საძინებელ ოთახში) სავსეა ბარსოვას შესრულებაში მძლავრი ხიბლით. ეს შთაბეჭდილება არ იკარგება მე-5 მოქმედებაშიც, ოპერის დამთავრებამდე. როლის სცენიური დამუშავება, ჩვენის აზრით, [illegible] უნაკლო, რომ ბარსოვას ჯულიეტას დამჩნეოდა ამაყი სენიორიტის, არისტოკრატიის ჩამომავლობის რაიმე სპეციფიური ნიშნები და ამ ნიშნების იმგვარი გატარება, რომ არ [illegible] ჯულიეტას უბრალობა. ჩვენის აზრით, ბარსოვას ჯულიეტას აკლია იმის დასაბუთება, რომ ის არის წარმოშობილი არისტოკრატიზმის ეპოქის მიერ.

კულაგინი, როგორც რომეოს როლში, ისე მრავალ სხვა როლებში, თავისი სცენიური მოქმედებით, სიმღერის დროს თვითონვე [illegible] სასიამოვნო შთაბეჭდილებას, რომელსაც ხშირად ჰბადებს მისი სიმღერა. რა საჭიროა [illegible] განცდის გარეგნულობა, თუ რომ სიმღერის კილო გამოხატავს იმავე განცდის უფრო სასიამოვნოთ და ნატურალურად, [illegible] პირველ მოქმედებაში („მადრიგალი“) და მეტადრე მეორე მოქმედებაში თავიდან ბოლომდის? ძალიან კარგია მერკუციოს ტიპიურ როლში [illegible] შთაბეჭდილება, როგორც [illegible] გამომეტყველებით. [illegible] საერთო შეხედულებით და როლის [illegible] დამუშავებით. ბანის [illegible] გამოსვლას ლორენცოს როლში, [illegible] შემთხვევითი ხასიათი [illegible]. ლორენცოს როლის სიმღერა მძლავრ მოქმედებაში წარმოადგენს ჩვენის აზრით, სუსტიერ ადგილს ამ ოპერისა, და თუ ამას დავესძენთ, რომ მომღერალისთვის [illegible] ეს ადგილი დამუშავებულია ისე, რომ არის ტენდენციურად ადვილი, მაგრამ [illegible] გამომეტყველი [illegible].

ოპერას ლოტბარობდა ი. ფალიაშვილი.

კოტე მეღვინეთ-უხუცესი.

ხელოვნების ქრონიკა

სახ. არტ. ა. ვ. ნეჟდანოვას ჩამოსვლა

აპრილის პირველ რიცხვებში თბილისში ჩამოვა და კონცერტს გამართავს ცნობილი მომღერალი ქალი სახალხო არტისტი ა. ვ. ნეჟდანოვა.

მასთან ერთად ჩამოვა მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი და მოსკოვის სახელმწიფო აკადემიურ დიდი თეატრის დირიჟორი ნ. ს. გოლოვანოვი.

სათეატრო მუზეუმის გამოფენა

დღეს, 25 მარტს, გაიხსნება სათეატრო მუზეუმის გამოფენა. გამოფენა გაიხსნება სათეატრო მუზეუმის შენობაში (ყოფ. სასტუმრო „ბომონდი“-ს შენობაში) და გასტანს რამდენიმე დღეს. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება 3.000 ექსპონატამდე.

დისპუტი თეატრზე

ორშაბათს, 26 მარტს, განათლების კომისარიატის სამეცნიერო და სახელოვნო დაწესებულებათა მთ. მმართველობა რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში აწყობს დისპუტს შემდეგ თემაზე „ქართული თეატრი დღეს“. შესავალი სიტყვით გამოვა სამეცნიერო და სახელოვნო დაწესებულებათა მთ. მმართველობის გამგე ამხ. ს. თოიძე, მომხსენებელი ამხ. შ. დადიანი. დისპუტში მონაწილეობას მიიღებენ: ს. ამაღლობელი, ალ. ახმეტელი, ბ. ბუაჩიძე, კ. მარჯანიშვილი; გრ. რობაქიძე, პლ. ქიქოძე; ტ. ტაბიძე, ბ. ჟღენტი, ს. ჩიქოვანი და სხვა. დასაწყისი საღ. 7 საათზე.

სამხრეთ-ოსეთის ეროვნული გუნდი

ცხინვალი, 22 მარტი. სამხრეთ-ოსეთის განათლების სახალხო კომისარიატი შეუდგა ნაციონალურ გუნდის შედგენას. გუნდში მიწვეული იქნებიან ოლქის საუკეთესო მომღერლები. (ადს).

— კომპ. კ. მეღვინეთ-უხუცესის ლექცია დღეს სომეხ ხელოვანთა სახლში „ჰაიარტუნში“ კომპ. კ. მეღვინეთ-უხუცესი წაიკითხავს ლექციას ქართული მუსიკის შესახებ.

— განათლების მუშაკთა სახლში დღეს გაიმართება [illegible] ი. რომინიშვილის კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ქუთხიაშვილი, ბადრიძე, დოლიძე, ჩიჯავაძე, [illegible] და სხ.

— სამშაბათს, 27 მარტს, საღ. 6 საათზე სახ. უნივერსიტეტის კლუბის დარბაზში შესდგება სტუდენტების ლიტერატურულ წრის კრება. ამხ. დავით რონდელი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „საქართველოს თანამედროვე ლიტერატურა“. კამათში გარდა ადგილობრივი ძალებისა მოწვეულნი არიან: ამხ. სერგო ამაღლობელი, ბენიტო ბუაჩიძე, შ. დადიანი, ვ. კოტეტიშვილი, ვ. ლორთქიფანიძე, შ. რადიანი, ალ. სულავა, ტ. ტაბიძე; ბესო ჟღენტი; ს. ჩიქოვანი, კ. [illegible] და სხვები.

— მომღერალ ვ. ქუჩაკაშვილის კონცერტი. დღეს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება მომღერალ ვ. ქუჩაკაშვილის დიდი კონცერტი.

—გოლოვინის მე-4 გამოსვლისათვის ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „აიდა“.

— ხელოვანთა სახახლეში ორშაბათს, საღამოს 7 ს. დანიშნულია მწერალთა ფედერაციის საბჭოს სარევიზიო კომისიის სხდომა, რომელზედაც კომისიის წევრების დასწრება აუცილებელია.

— წითელ არმიელთა კლუბში დღეს გაიმართება ნ. სმირნოვ-სოკოლსკის გამოსათხოვარი საღამო.

— კომკავშირელ მწერალთა შორის დღეს საღამოს 6 საათზე კომკავშირელ მწერალთა წრეში („ახალგაზრდა კომუნისტი“-ს რედაქციაში) შესდგება ლიტერატურული წრის კრება. დღის წესრიგშია: ლიტერატურული მასალების განხილვა.

„რევოლიუციის მატიანე“

გამოვიდა ჟურნალ „რევოლიუციის მატიანე“-ს 1928 წლის 1-ლი № შემდეგი შინაარსით: რედაქციისაგან; თენგიზ ჟღენტი—წითელი რაზმი, წითელი გვარდია და წითელი ჯარი; შაშუ ლეჟავა—რევოლიუციონური ბრძოლა და პარტიული მუშაობა; მელიტონ ფილია—წარსულიდან; ჩვენი პარტიის პირველ ყრილობის 30 წ. თავისთვის; სამსონ მამულია—მოგონება კომუნისტური პარტიის მუშაობიდან სენაკის მაზრაში 1919—20 წ.; თენგიზ ჟღენტი—ერთი ფურც. უკრაინიდან; ვ. გეგეჩკორი—თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაობა (1919—20 წ.); ვიქ. ნანეიშვილი—თბილისის ორგანიზაცია რეაქციის ხანაში (1907—10 წ.); გ. მგალობლიშვილი—ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობა გურიაში 1917—1921 წ.; დ. რუხაძე—პარტიული მუშაობა მენშევიკების ბატონობის დროს; ნეკროლოგი (ამხ. ეპიფანე ენუქიძე); ვ. გეგეშიძე—პირველი კომუნარები თბ. სახელმწ. უნივერს.; ი. კაკაბაძე—არალეგალური ლიტერატურის შემოტანა საზღვარ-გარეთიდან ჩვენში; დ. [illegible]—ჩემი მოგონებიდან; მ. ჩოდრიშვილი—სახალხო უნივერსიტეტების დაარსება თბილისში თვითმპყრობელობის დროს; ძველი ბოლშევიკთა საზოგადოების დაარსება საქართველოში; მ. კარაპეტაშვილი—1905 წელი ახალციხის მაზრაში; [illegible] გოგუაძე—მოსკოვის საკატორღო ციხე (ბუტირკა); პარტიული არქივი; მასალები და დოკუმენტები; მ. გოგუაძე—ერთი პატარა საიდუმლო სტამბის ისტორია; შეცდომის გასწორება. სურათები: 1) შაშუ ლეჟავა, 2) მელიტონ ფილია, 3) სამსონ მამულია, 4) გრ. დენისი და მის მიერ ჩამოჩრჩენილ ამხანაგთა ერთი ჯგუფი უკრაინაში, 5) ვიქტორ ნანეიშვილი, 6) ჯგუფი—ეპიფანე [illegible], ვალერიან ვეშაპიძე, პარმენ საბაშვილი, ისმაილ (სამსონ) იოხაძე, 7) ეპიფანე ენუქიძე. წიგნი შეიცავს 320 გვერდს სურათებით და ღირს 1 მ. 50 კაპ.

ამიერ-კავკ. თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს პირველი პლენუმი

გუშინ, საღამოს 6 საათზე, თბილისის წითელი არმიის სახლის სათეატრო დარბაზში გაიხსნა ამიერ-კავკ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების საბჭოს პირველი პლენუმი.

პლენუმი გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ ამხ. მამია სტურუამ, რომელმაც შესავალ სიტყვაში აღნიშნა თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების უდიდესი მნიშვნელობა, როგორც ომის, ისე მშვიდობიან დროის პირობებში.

ამხ. სტურუას სიტყვის შემდეგ დამტკიცებულ იქნა პლენუმის დღის წესრიგი, რის შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის საზოგადოების პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ ეძლევა საზოგადოების გენერალურ მდივანს ამხ. ს. [illegible].

ამ.-კავკ. თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმის მუშაობა

ამხ. ეგიკოვი მოხსენების დასაწყისში ეხება თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებათა ჩამოყალიბებას და იმ ეტაპებს, რომლებიც განვლო საზოგადოებამ დღევანდლამდის. შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკ. თავდაცვა-ავიაქიმს აქვს დიდი მიღწევები, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებას ამიერ-კავკასიაში არა აქვს დიდი ხნის ისტორია. „თავდაცვის კვირეული“-ს შემდეგ საზოგადოება გაიზარდა, განმტკიცდა, გაიზარდა აგრეთვე [illegible] ინტერესი და ლტოლვა საზოგადოებისაკენ. გაფართოებულია საზოგადოების პრაქტიკული მუშაობა, საზოგადოება შეუდგა პრაქტიკულ სამხედრო-ქიმიური, სასროლო და სამხედრო მუშაობის წარმოებას წევრთა შორის.

1927 წლის 1 ნოემბრისათვის საზოგადოებაში იყო 120.000 წევრი, რომლებიც დარაზმული იყვნენ [illegible] უჯრედებში. გაზრდილია კომკავშირელ წევრთა რიცხვი (15—20 პროცენტი), დიდათ გაიზარდა აგრეთვე ქალების რიცხვიც (თბილისში 7 პროცენტი, ბაქოში—14 პროცენტამდე). გაფართოებულია პრაქტიკულ ორგანიზაციების რიცხვი: გასული წლის 1-ლი ნოემბრისათვის საზოგადოებას ჰქონდა 500 სასროლო, სამხედრო ცოდნის, პირველი დახმარების და საჰაერო ქიმიურ თავდაცვის წრე.

ჩატარებულ იქნა ორი პოლიტიკური კამპანია: „თავდაცვის კვირეული“ და „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“, რომლებმაც საზოგადოებას შესძინეს თანხები მატერიალურ [illegible].

აღნიშნულ კამპანიების შემდეგ შემჩნეულ იქნა გლეხობის ლტოლვა საზოგადოებისაკენ.

იმ მაზრებში, სადაც დაბანაკებულ არიან ჯარის ნაწილები, ძლიერია მუშაობა გლეხობაში.

დიდი მიღწევები აქვს საზოგადოებას გასამხედროების საქმეში, ამ მხრივ მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია გასამხედროების მუშათა ლეგიონების და ათასეულების შედგენამ. გასამხედროების საქმეში ჩაბმული არიან კომკავშირი და მუშათა ახალგაზრდობა.

რაც შეეხება ფინანსიურ მხარეს, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საჭიროა ამ საკითხს მიექცეს ყურადღება. იზრდება უჯრედების მოთხოვნილება, საჭიროა შეძენა იარაღის, გაზების, ხელსაწყოების, ნიღბების, ლიტერატურის და სხვა. საწევრო შემოსავალი [illegible] ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, გამოძებნილ უნდა იქნეს სხვა სახსარიც.

ამის შემდეგ მომხ[illegible] საზოგადოების ორგანიზაციების ნაკლზე, როგორც არის [illegible] სუსტობა, სხვადასხვაობა მუშაობაში, [illegible] დისციპლინის სისუსტე, [illegible] და სხვა.

მოხსენების დასასრულს ამხ. ეგიკოვი შეეხო მასიური მუშაობის წარმოებას და აღნიშნა რომ მასიურ მუშაობას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება, ვინაიდან ამ მუშაობაზეა დამოკიდებული საზოგადოების სიძლიერე.

პლენუმის მეორე სხდომაზე, რომელიც შესდგება დღეს, დილის 9 საათზე, მოსმენილ იქნება საზოგადოების სარევიზიო კომისიის და [illegible] მოხსენება.

სასამართლო

ცოლ-შვილი დაეკარგა

სამუშაოდ წავიდა სახლიდან თადეოზ ასატუროვი და რამდენიმე კვირა დაჰყო სხვა სოფელში.

სახლში დატოვა ახალგაზრდა ცოლი და პატარა ვაჟი.

ხელმომჭირნებული დაბრუნდა სახლში თადეოზი. საჩუქრები წამოუღო ცოლსაც და პატარა ვაჟსაც.

საუბედუროდ, სახლში არავინ დაუხვდა, არც ცოლი და არც შვილი. წარმოიდგინეთ, ერთგული ძაღლიც, რომელიც თადეოზს ყოველთვის მიაშურებდა კუდის ქნევით, არსად სჩანდა.

დაფიქრდა თადეოზი. იგრძნო, რომ ცუდი ამბავი ტრიალებს მის თავზე. გადავიდა მეზობელთან და გაიკითხა ამბავი.

— არამ ალექსანდრიანცს იცნობ? იმას მოჰკითხე შენი ცოლ-შვილი,—უკმაყოფილო კილოთი უპასუხა თადეოზს მეზობელმა.

და მართლაც თადეოზმა თავისი ცოლ-შვილი აღმოაჩინა მოქ. არამ ალექსანდრიანცის ოჯახში.

ცოლს მიეტოვებია თადეოზის ოჯახი და ცოლად გაჰყოლოდა ალექსანდრიანცს.

— შენ შეგარცხვინა ღმერთმა! შენი გულისთვის წლებში ფეხს ვიდგამდი, ოფლში ვცურაობდი და ასე დამფასე! გრცხვენოდეს!—უთხრა თადეოზმა თავის ყოფილ ცოლს.

— მომატყუა ამ ოჯახდაქცეულმა, შემაცდინა.., მე შენთან მირჩევნია ცხოვრება, შენ შემოგევლოს ჩემი თავი!—უპასუხებს ცოლი.

დაუბრუნდა თადეოზს ცოლი თავისი პატარა ვაჟით, მაგრამ ალექსანდრიანცმა საჩივარი აღძრა თადეოზ ასატუროვის წინააღმდეგ, რომელსაც აბრალებდა ცოლის წართმევას.

— მე პატიოსნად მოვიქეცი, რომ არ ჩავაძაღლე არამი! რაკი ასეა, რაკი ჩემს საკუთარ ცოლზე მედავება, აწი მე ვიცი,—დაიმუქრა თადეოზმა.

საგამომძიებლო ორგანოებმა დაიბარეს თადეოზი და გააფრთხილეს, რომ მუქარა [illegible] არ მოეყვანა.

საქმე სასამართლოს გადაეცა. თადეოზი გულზე სკდებოდა ჯავრისაგან. უმატა მუქარას... საქმის გარჩევის დღეც მოვიდა.

თადეოზი სასამართლოში [illegible] ორი საათით, იცოდნენ, რომ ცუდ რამეს უპირებდა ალექსანდრიანცს.

— მე ალექსანდრიანცთან მირჩევნია ცხოვრება, ის მიყვარს, ჩემი ქმარი ცუდათ მეპყრობა,—აცხადებს სასამართლოში თადეოზის ცოლი.

— ჯანდაბამდე გზა გქონია!—მიაძახა თადეოზმა და დაემუქრა ალექსანდრიანცს.

სასამართლოს სხდომა გათავდა. ალექსანდრიანცმა ხელი გამოსდვა თადეოზ ასატუროვის ცოლს და გაუყვა გზას.

ამბავი ხდება სოფელ ანთოკში (თბილისის მაზრა).

ალექსანდრიანცი გააფრთხილეს, რომ ერიდოს ასატუროვს, ნუ შეხვდება, სხვა გზით წავიდეს თავის სოფელში.

ასატუროვმა ჩამოიკიდა ხანჯალი და გაუდგა გზას, რომლითაც მიდიოდენ მისი ყოფილი ცოლი და ალექსანდრიანცი.

შეხვდენ ერთმანეთს მეტოქეები. ალექსანდრიანცმა ამოიღო რევოლვერი (ძველის ძველი „სმიტვესონი“), დაუმიზნა ასატუროვს და გამოუშვა ჩახმახს ორჯერ დააცემინა, მაგრამ არც ერთი არ გავარდა.

ასატუროვმა იხელთა დრო და იშიშვლა ხანჯალი. ჯერ ხელზე დაჰკრა და რევოლვერი გააგდებინა. შემდეგ სამჯერ ჩარტყა გულთან და მოჰკლა.

საქმე გაარჩია თბილისის საოლქო სასამართლომ.

თადეოზ ასატუროვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, მაგრამ რადგან დანაშაული ჩადენილ იქნა ასატუროვისათვის დამამცირებელ პირობებში, სასჯელი ორ წლამდე შეუმცირდა. [illegible] შეეფარდა ამნისტია და დარჩენილი სასჯელი შეეცვალა პირობით სასჯელად 5 წლის ვადით.

—:—

მარიამ ხოსროშვილის საქმე

ერისთავის ქუჩაზე სახლი ჰქონდა ხაიმ ვოვშლოვიჩს. თითონ ხაიმი სცხოვრობდა ზედა სართულში და მის გვერდით ოთახი ეჭირა ხაიმის ცოლის დას სოფიო შტერნს. სოფიო შტერნი ქვრივი იყო და ჰყავდა მცირეწლოვანი ვაჟი.

— ჩემო დაო, ხომ ხედავ რანაირი ამბავია ოთახების გამო! ეგ შენი ოთახი გავაქიროთ, შენ გადმოსახლდი ჩემთან და შემოსული ქირა შენც შეგინახავს და შენს შვილსაც,—ეუბნება თავის ცოლის დას ხაიმი.

— თუ ვინმე კარგი ვიშოვე; გავაქირავებ, თუ არა და გაფხეკილ მოსამსახურეს ოთახში არ შემოუშვებ, მილიონებიც რომ დამპირდეს,—უპასუხებს სოფიო შტერნი.

რასაკვირველია, შეძლებული ვინმე უნდა მოენახოთ,—კვერი დაუკრა ხაიმმა.

— შენ გამოცდილი კაცი ხარ ხაიმ. ერთი შეხედვით მიხვდები, ვის რა მოხელეა, ვის რა ალი-დიდება აქვს და ამიტომ შენ გევალება დეს მდგმურის მოძებნა.

—შენ გრძნეულად იყავი,—დაიმედა სოფიო ხაიმმა.

ხაიმმა აფრინა დალალები. მოდიან ოთახის დასათვალიერებლად. (ამბავი ხდება 1925 წელში).

მოქალაქეები ათვალიერებენ ოთახს, ხოლო ხაიმი კი მოქალაქეებს ათვალიერებს. შიშობს არ მოსტყუვდეს მდგმურის შერჩევაში.

ხაიმთან მოდის ერთი კარგად ჩაცმული მანდილოსანი და ეუბნება:

— ორმოცი მანეთის მეტს ვერ შეგპირდებით ოთახში, ხოლო რასაც შეგპირდები, იმას არ გადავთქვამ.

ხაიმს თვალში დაუჯდა მანდილოსნის ტანსაცმელი და დაუწყო „სოციალური მდგომარეობის“ გამოკითხვა.

— ჩემი ქმარი, ბატონო ჩემო, ღვინით ვაჭრობს. ეხლა კახეთშია წასული და მე დამავალა ოთახის მოძებნა.

ხაიმს თვალები გაუბრწყინდა, როცა ვაჭრის სახელი გაიგონა და ბევრი აღარ უვაჭრია, დაეთანხმა ორმოც მანეთზე.

— ორი თვის წინდაწინ ინებეთ და ჩემი ქმარი რომ ჩამოვა, თუ გნებავთ ერთი წლისაც მიიღეთ წინდაწინ.

ქალს გაუღეს ოთახის კარები. (ოთახი ჩააბარეს გარეგნის თანახმად მთელი მორთულობით).

გავიდა ერთი დღე, ორი, ერთი კვირა. ქმარი არსად სჩანს. ხაიმი ითხოვს პირადობის მოწმობას დავთარში გასატარებლად.

— დღეს თუ ხვალ ჩამოვა ჩემი ქმარი... წერილი მივიღე და მოწმობასაც ჩაგაბარებს,—ეუბნება მანდილოსანი.

გათენდა მეორე დილა და მდგმურმა გაუგზავნა ხაიმს პირადობის მოწმობა: „[illegible] პავლე ხოსროშვილს მას შინა, რომ ის [illegible] და ამ დაწესებულების თანამშრომელი“ და სხვ...

[illegible] შემდეგ დაიწყო განუწყვეტელი ჩხუბი და დავიდარაბა ვოვშლოვიჩებს და მდგმურებს შორის.

განსაკუთრებული მწვავე ხასიათი მიიღო ქალების ურთიერთ [illegible].

დღე ისე არ გადიოდა, რომ ოქმი არ შემდგარიყო ვოვშლოვიჩის სახლში.

მარიამ ხოსროშვილს, უკმაყოფილო მხარეები უჩივიან: ერთი ამბობს—თვალში ვაშლი მესროლაო, მეორე—წიხლი გამარტყაო, მესამე—(სოფიო შტერნი) თავზე დამაფურთხაო, მეოთხე—„ჟიდებს“ გვეძახისო, და ასე.

1925 წლიდან მოყოლებული ყოველთვის სასამართლოში საქმე, მაგრამ ამნისტიებით გაურჩევლად ისპობა.

საქმე გუშინ გაარჩია სამორიგეო კამერამ. როგორც სასამართლო გამოძიებით დადასტურდა, მოტყუებით შესახლებული მდგმური მარიამ ხოსროშვილი მართლაც ავიწროებდა ვოვშლოვიჩებს, აგინებდა, ლანძღავდა და ფიზიკურადაც შეურაცხყოფდა.

მარიამ ხოსროშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 თვით; სასამართლომ მხედველობაში მიიღო დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებანი და სასჯელი შეუცვალა პირობითად ერთი წლის ვადით.

ზერ.

ქაპაიძის მოკვლის საქმე

ბათუმი, 24 მარტი. აჭარისტანის უზენაეს სასამართლოში დაიწყო კომკავშირელების ლევშინის და [illegible] ქალის გასამართლება. მათ ბრალად ედებათ თედორე ქაპაიძის მოკვლა რომანიულ ნიადაგზე.

24 მარტს სწარმოებდა ბრალდებულთა დაკითხვა. ლევშინმა თავი სრულ დამნაშავედ ცნო, მაგრამ განაცხადა, რომ წინასწარი განზრახვით არ ჩაუდენია დანაშაული.

საქმე დიდ ინტერესს იწვევს. მუშათა ახალი კლუბი ხალხს ვერ იტევს.

დღეს საღამოს დაიწყება მოწმეების დაკითხვა. (ადს).

შემთხვევები

13 კაცის დაკარგვა

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გახშირდა მოქალაქეთა დაკარგვის შემთხვევები. სისხლის სამართლის მილიციის ცნობით, დაკარგულთა რიცხვში უმთავრესად სჭარბობს მცირეწლოვანები, შემდეგ ბავშვები.

უკანასკნელ ათი დღის განმავლობაში უგზო უკვლოდ დაიკარგნენ: ნატალია ტიმოთეს ასული რუდნიევა (მცხ. ელიავას ქუჩა № 2), 20 წლისა; ბიქტორ ივანესძე ბუდარინი, 13 წლისა; გურგენ სიმონისძე პარტერიანი, 38 წლისა (მცხ. აზიზბეკოვის ქუჩა № 16); გიორგი ნიკოლოზისძე ანდრონიკოვი, 25 წლისა (მცხ. კონის ჩიხი № 4); დავით სიმონისძე თოდაძე, 18 წლისა; თამარა ოქროპირის ასული ხარაძე, 19 წლისა (მცხ. ჩხიკვაძის ქუჩა № 15); მიტო მელქისისძე ქიტიაშვილი, 22 წლისა; ვალენტინა ნიკოლოზის ასული დანაჩევა, 7 წლისა; ბიქტორ ივანესძე ბუდაგინი, 13 წლისა; ისიდორე ლუარსაბისძე შაქარაშვილი, 14 წლისა; ლუარსაბ კობერიძე, 50 წლისა (მცხ. შორაპნის მაზრაში); მიხეილ სიმონისძე ტაბალიკინი, 12 წლისა (მცხ. გუთნის ქუჩა № 9) და იაგორ პოლოსისძე ალთუნაშვილი, 15 წლისა, მცხოვრები ლოტკინის ქუჩა № 3.

მგლები საზურთალოზე

დიდი თოვლისა და სიცივეების გამო თბილისის ახლო-მახლო სოფლებში გაჩნდა მგლები. გუშინწინ საღამოს მგლები თბილისშიაც შემოიჭრნენ. ალაზნის ქუჩაზე მგლების ხროვა თავს დაესხა ერთ გლეხს, რომელმაც თავი გადაირჩინა ხეზე ასვლით. მგლებმა იმ დროს მოასწრეს ვირის შეჭმა.

ცეცხლის წაკიდება

შურისძიების მიზნით სოფ. ახალიკაში (წალკის სამილიციო რაიონი) ბოროტგამზრახველებმა ცეცხლი წაუკიდეს მოქ. დიმიტრი ნინუკოს სახლს. როგორც კი შენიშნეს ცეცხლი მცხოვრებლები გაეშურნენ ხანძრის ჩასაქრობად. ენერგიულ მუშაობის წყალობით ცეცხლი ორი საათის განმავლობაში სავსებით ჩაქრობილ იქნა. ზარალი ირკვევა. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედთა დასაპატიმრებლად.

ქურდი მუშკოოპის მაღაზიაში

უკანასკნელ ხანებში მუშკოოპის მაღაზიიდან (№ 1) სისტემატიურად იკარგებოდა პაპიროსები.

მუშკოოპის გამგეობამ ამის შესახებ აცნობა თბილისის სისხლის სამართლის მილიციას, რომელმაც გამოარკვია, რომ ქურდობას ეწეოდა ვიღაც ბიქტორ რაფიელისძე ჩხიკვაძე. ქურდი დაპატიმრებულია.

მტკვარში გადავარდნა

გუშინ, დილით თავის დახრჩობის მიზნით მტკვარში გადავარდა [illegible] ალექსის ასული გალუსტოვა (მცხ. ბოჭორიშვილის ქუჩა № 3).

გალუსტოვას ქალი დახრჩობას გადაარჩინეს. თავის დახრჩობის განზრახვის მიზეზი ჯერჯერობით გამოურკვეველია.

ქურდების დაპატიმრება

ამ ერთი კვირის წინად „დეზერტირკის“ და ცენტრალურ ბაზრებს შეეჩვია ქურდების ერთი ჯგუფი, რომლებიც სისტემატიურად იპარავდენ ინდაურებსა და ქათმებს. ბოროტმოქმედნი დააპატიმრა სისხლის სამართლის მილიციამ. ისინი აღმოჩნდნენ: სტეფანე ზაქარიასძე [illegible] და კარაპეტ ბაღდასარისძე გუგუშინცი.

ქურდობა

გუშინწინ, ღამით გაქურდეს სიმზა ზაჩაკაშვილის ბინა (არგუტინის ქუჩა № 11); წაიღეს 100 მანეთის ნივთები. ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს ანასტასია ჯილიტოვას ბინა (ლაგოდეხის ქუჩა № 10); წაიღეს სპილენძის ჭურჭლები.

გარდა ამისა, გუშინ ქალაქში ადგილი ჰქონდა წვრილ ქურდობის 5 შემთხვევას. დაპატიმრებულია 2 ქურდი.

ოფიც. განკარგულება

დადგენილება № 12|131

ა. ქ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

1928 წლის თებერვლის 2.

სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ სავაჭრო ოპერაციების დროს ანგარიშებისა და სატრანსპორტო დოკუმენტების გადაგზავნის სავალდებულო ვადების და წესების შესახებ

თანახმად საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დადგენილებისა და საბუთების ბრუნვის მოწესრიგებისა და დაჩქარებისათვის [illegible] ხელშეკრულებათა და გარიგებათა მიმართ, რომელნიც იდება სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციათა და აგრეთვე სააქციო საზოგადოებათა (სახელმწიფო კაპიტალის მეტობით) შორის,—ა. ქ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

§ 1.

საექსპედიტორო ორგანიზაციები, რომელნიც საქონელს აგზავნიან კლიენტების დავალებით, ვალდებულნი არიან სატრანსპორტო საბუთები და თავისი ანგარიშები გადაგზავნონ დამვალებელთა მიერ ნაჩვენები მისამართით ერთი დღის განმავლობაში დღიდან საექსპედიტორო ორგანიზაციის მიერ დუბლიკატის (როგორც სახელობითი, ისე წარდგენითი) მიღებისა.

§ 2.

ყველა სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაცია და აგრეთვე სააქციო საზოგადოება სახელმწიფო კაპიტალის მეტობით რომელნიც იდება სახელმწიფო და კოოპერა[illegible] ბითუმად გაყიდიან ამ საქონლის უშუალოდ თავის საწყობებიდან გადაგზავნისას, ვალდებულნი არიან სატრანსპორტო საბუთები და ანგარიშები ორი დღის განმავლობაში დღიდან სატრანსპორტო საბუთების მიღებისა, უკეთუ ორგანიზაციის საწყობი, საიდანაც საქონელი იგზავნება, თვით ორგანიზაციის ადგილმდებარეობის ადგილში—იმყოფება.

§ 3.

ამ დადგენილების § 2-ში აღნიშნული ორგანიზაციები სატრანზიტო ხასიათის საქონლის გადაგზავნის დროს ვალდებულნი არიან ანგარიშები და სატრანსპორტო საბუთები გაგზავნონ ერთი დღის განმავლობაში დღიდან სატრანსპორტო საბუთების და ანგარიშების მიღებისა.

შენიშვნა: აღნიშნული პუნქტი არ ვრცელდება იმ ორგანიზაციებზე, რომელნიც საქონელს გენერალურ ხელშეკრულებათა მიხედვით აბარებენ.

§ 4.

სინდიკატები და ტრესტები, რომელნიც საქონელს აგზავნიან თანახმად გენერალურ ხელშეკრულებისა, ვალდებულნი არიან სატრანსპორტო საბუთები და ანგარიშები (ერთ და იმავე დროს) გადაგზავნონ ორი დღის განმავლობაში დღიდან საექსპედიტორო ან საქონლის უშუალოდ გადამგზავნი ორგანიზაციიდან ამ საბუთების მიღებისა.

§ 5.

იმ შემთხვევაში, როდესაც სატრანზიტო ხასიათის გენერალურ ხელშეკრულებათა და გარიგებათა მიხედვით საქონლის მიმწოდებელი დავალებით საქონლის გადაგზავნა სწარმოებს საფაბრიკო საწყობებს და ტრესტების მიერ, აღნიშნული ტრესტები და საწყობები ვალდებულნი არიან სატრანსპორტო საბუთები და ანგარიშები გადაგზავნონ ერთი დღის განმავლობაში დღიდან სატრანსპორტო და სხვა დოკუმენტების მიღებისა.

§ 6.

ყველა ისეთ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულებით ან გარიგებით გათვალისწინებულია სატრანსპორტო საბუთების გაცემა საფასურის ფულადი ან თამასუქებით განაღდების წინააღმდეგ, ანგარიშები საქონლისა, მიუხედავად ანგარიშსწორების პირობებისა, უნდა გადაიგზავნოს წინა §§-ში აღნიშნულ ვადებში. სატრანსპორტო საბუთები კი გაცემულ უნდა იქნეს ხელშეკრულებით ან გარიგებით გათვალისწინებული განაღდების მიღებისთანავე.

§ 7.

გენერალურ ხელშეკრულებებში სავალდებულოა გათვალისწინებულ იქნეს ამ დადგენილებით დაწესებული ვადები და წესი სატრანსპორტო საბუთებისა და ანგარიშების გადაგზავნისა.

აღნიშნული წესი და ვადები მოხსენებულ უნდა იქნეს აგრეთვე ორგანიზაციათა შორის დადებულ გარიგებებში.

§ 8.

ა. ქ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინა-ვაჭრობის კომისიას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 9.

ამ დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

§ 10.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა. ქ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში **ათაბეკოვი.**

3) მომწესრიგებელი განყოფილების უფროსის მოადგილე **მგალობლიშვილი**

რადიო-გადაცემა

კვირა, 25 მარტი

დღეს, 25 მარტს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

პიონერთა გაზეთი და პიონერების გამოსვლა; საუბარი აგრონომიაზე; საუბარი მეაბრეშუმეობაზე; საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაცია; როგორ გაჩნდა ქრისტიანობა; ტეხნიკური კონსულტაცია; ოპერა „აიდა“-ს ტრანსლიაცია; გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები; პასუხი რადიოს მოყვარულთა წერილებზე; ა. ქ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

ორშაბათი, 26 მარტი

პროფტეხნიკური [illegible] ჩვენში წინათ და [illegible] და მუსიკალური წრის გამოსვლა; სპარსეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების მნიშვნელობა; სპეციალური სპარსულ-აღმოსავლური კონცერტი სახელმწიფო ოპერის საუკეთესო ძალების მონაწილეობით; ობსერვატორიის ცნობები, ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომ. უჯრედთა ბიურო-კოლექტივი სთხოვს ამხ. [illegible] ოგოთიძეს, გ. გაბიანს, ეპიფანე სიამაშვილს, დავით კიკნაძეს, ლეონიდე ნიორაძეს, კასიანე ეზიაშვილს, ლიზა აბაიძეს, ევდოკიმე ქუქიძეს; გამოცხადდნენ ორშაბათს, 26 მარტს, დილის 10 საათზე კომუჯრედის ბიურო-კოლექტივში სხდომაზე დასასწრებლად.

სოც. ეკ. ფაკ. 1 და 2 კურსთან არსებული ამ. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო იტყობინება, რომ ამავე უჯრედის წევრ-კანდიდატები ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ 25 მარტს, დილის 10 საათზე ფრიად მნიშვნელოვანი საქმის გამო, უნივერსიტეტის შენობაში.

ორშაბათს, 26 მარტს, დღის 12 საათზე მოწვეულია უნივერსიტეტის პროფსექციათა [illegible] კომფრაქციის სხდომა. ფრაქციის წევრებს ევალება გამოცხადდნენ დაუგვიანებლივ.

საქ. [illegible] ცეკა იტყობინება, რომ კვირას, 25 მარტს, დილის 11 საათზე საქ. [illegible] ცეკას ბინაზე, დანიშნულია პრეზიდიუმის სხდომა. სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ ქვემოჩამოთვლილი ამხანაგები: შ. ლეჟავა, ვ. სტურუა, მ. [illegible], თ. ჟღენტი, ხ. მამულია, ვ. ჯაფარიძე; ა. ქოიავა, ე. ბედია, ვ. ბელიაევი, ა. [illegible], ი. ნაცვლიშვილი; მ. ჩოდრიშვილი; ზ. მუმლაძე; ვ. ბოლქვაძე, და ნ. ენუქიძე.

ორშაბათს, 26 მარტს, საღამოს სრულ 6 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 10) შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა.

მიმღებ კომისიის წევრთა თავის დროზე გამოცხადება აუცილებელია.

სხდომაზე მოწვეულნი არიან: ამხ. არუთინოვი, გ. დოლიძე, ისაკოვა, გორდელაძე, [illegible] თბილისის კომიტეტი.

ორშაბათს, 26 მარტს, საღამოს სრულ 6 ს. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო-განმანაწილებელ განყოფილების შენობაში (რუსთაველის პროსპ. № 23, მეორე სართული, ოთახი № 10) მოწვეულია მიმღები კომისიის მორიგი სხდომა.

პარტიაში მისაღებ ქვემოჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება აუცილებელია:

1-ლი ლენინის რაიონი. მიხეილ იოსების ძე [illegible], ისაკ გიორგის ძე [illegible], სერგო გიორგის ძე დავითაშვილი, რობერტ იაკობის ძე ბაიზერი, პავლე სოლომონის ძე თავართქილაძე, სილოვან ნიკოლოზის ძე ძნელაძე, დავით (თედორე) ვახტანგის ძე ნიკოლაიშვილი, მელიქსედე ზურაბის ძე ფრანგიშვილი, დიმიტრი ზაქარიას ძე ბიძინაშვილი, კონსტანტინე თედორეს ძე ქუთათელაძე, გიორგი ილარიონის ძე შილაკაძე, ილარიონ მიხეილის ძე შაკლაკაძე, ივანე გიორგის ძე თათანაშვილი, იუსტინე იაგორის ძე გოგაძე, ვასილი ნესტორის ძე ბარბაქაძე, ვარლამ მათეს ძე [illegible], რაფიელ [illegible] ძე ნაფეტვარიძე, თადეოზ ზაქარიას ძე ყენიაშვილი, მათე ივანეს ძე ყიფიანი, იოსებ სიმონის ძე [illegible]შვილი, ილია გიორგის ძე ცხვედაძე, გაბრიელ სიმონის ძე [illegible], კირილე მანუჩარის ძე ჭანტურია, ზაქარია მათეს ძე მერაბიშვილი, ვიქტორ ვასილის ძე ჟვანია, გიორგი ანდრიას ძე [illegible], ვიქტორ გიორგის ძე [illegible], ალექსი სტეფანეს ძე ცეროძე, პეტრე ოქროპირის ძე ვერულაშვილი, იოსებ გაბრიელის ძე [illegible], ვასილი ივანეს ძე [illegible]შვილი და ბარნაბ მიხეილის ძე ასათიანი.

მე-2-რე არსენალის რაიონი: [illegible] ალექსანდრეს ძე ჩხიკვიშვილი, ერმოლოზ სოლომონის ძე [illegible], ლევან ალექსის ძე [illegible], [illegible] სარქისის ძე [illegible], ზაქარია ისაკის ძე სიამაშვილი, [illegible], მამია [illegible], [illegible] ალექსანდრეს ძე [illegible], [illegible] ნიკოლოზის ძე [illegible], ნოდარ კონსტანტინეს ძე [illegible], იოსებ [illegible], ივანე სტეფანეს ძე [illegible], ვლადიმერ გიორგის ძე [illegible] და ნიკოლოზ ლაზარის ძე [illegible].

მე-3-მე ავლაბარ-ნაძალადევის რაიონი: [illegible] ძე [illegible], სოსო ყაზარის ძე [illegible], გიორგი არტემის ძე აბაშიძე, დიმიტრი დავითის ძე გიგოლაშვილი და [illegible] საბრონის ძე ჯანელიძე.

მე-4-ე ქალაქის რაიონი: დიმიტრი ნიკოლოზის ძე კოტეტიშვილი, ლევან [illegible] ძე [illegible], [illegible] ვასილის ძე ხაჩატუროვი, ივანე გიორგის ძე კირკაძე, შალვა დიმიტრის ძე ზზიკაძე, გიორგი მიქელის ძე [illegible], ნიკოლოზ ლუკას ძე ოგანეზოვი და ვასილი გიორგის ძე ახალკაციშვილი.

აუცილებელია აგრეთვე დაესწრონ: ამხ. [illegible] (სახ. ოპერა), [illegible] (სახ. ოპერის კომუჯრედის მდივანი [illegible]).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა

აუწყებს თავის თანამშრომლებს და საზოგადოებას, რომ 23 მარტს შესრულდა ერთი წელიწადი დიდად გარდაცვალებიდან დამსახურებულ

პროფ. პეტრე გრიგოლის-ძე მელიქიშვილის

სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას, 25 მარტს, დილის 12 საათ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ შენობაში. ნ. 814 2—2

ჯან. განყოფილების გაერთიანებულ საბავშვო სახლის თანამშრომლები: მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 21 მარტს, ბოროტმოქმედთა მიერ ვერაგულად იქნა მოკლული იშვიათი და მუყაითი მუშაკი საწყობის გამგე

ამხ. იაგორ გუგუშვილი

რომლის გამოსვენება მოხდება ქალ. 1-ლ საავადმყოფოს პროზექტურიდან კვირას, 25 მარტს, დღის 2 საათზე. სადგ. აბაშაში წასასვენებლად. (შ)

გულითადი მეგობრები: ლეონტი, ჯვატა, ენუქი, შოთა, თოფა, კოლია, არსენ და ზინა გუგუშვილები და კალისტრატე მაძღლუა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს დაუვიწყარის და იშვიათი მეგობრის

იაგორ იოსების-ძე გუგუშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება ქალ. 1-ლ (ყ. არამიანცის) საავადმყოფოდან კვირას, ა. წ. 25 მარტს, ნაშუადღევის სრულ 3 საათზე, რკ. გზ. სადგურზე. დაკრძალვა ს. [illegible] სამშაბათს, ა. წ. 27 მარტს. 1913

ღრმად დამწუხრებულნი და გულდაწყვეტილი შვილები: ამბაკო, ივანე, თეკლე, ნინა, ნეონილა, ნიკადორა და მარო, რძლები: მარიკა გიორგის ასული და შურა ვახტანგის ასული შავგულიძეები, სიძეები: ილარიონ დიმიტრის-ძე ყუფარაძე და ივანე ლევანის-ძე [illegible], შვილიშვილები: გოგი შავგულიძე, ლევან და სოკრატ [illegible], ილიუშა და მელიკო ყუფარაძეები აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ა. წ. 24 მარტს, სოფ. ზემო ქვიტირში (ქუთაისის მაზრა). გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი მამა და ბაბუა

ლეონტი ივანეს-ძე შავგულიძე

გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ზემო-ქვიტირის ეკლესიის სასაფლაოზე. 1912

ღრმად დამწუხრებულნი ძმისწულები: ლუბა, მარუსა, საშიკო, ოლია, ლადიკო, პეპიკო, მიშა, სიმონი, შალიკო და ბარდღა, სიძეები: ვანო მახვილაძე, ნიკო ათაიანი, გიგა აბაშიძე შვილებითურთ, რძლები: ცაცა, ქეტო, გოგუცა და თამარა გელოვანებისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი ბიძა

მიხეილი თომას-ძე გელოვანი

დაკრძალვა მოხდება ა. წ. 27 მარტს, სოფ. [illegible] (ლეჩხუმის მაზრა). (ე)

სახელმწიფო ოპერა

კვირას, 25 მარტს. მოსკოვის დიდი აკადემ. თეატრის პრემიერის

დიმიტრი დანიელის ძე გოლოვინის

მეოთხე გასტროლი **აიდა** ოპერა 4 მოქმ. მუსიკა ვერდის

ანონსი: სამშაბათს 25 მარტს, დ. დ. გოლოვინის მე-5 გასტროლი **ევგენი ონეგინი**

ნ. 825

სახკინმრეწვის თეატრები

აპოლო	„განკიცხული“ ვ. ჰიუგოს რომანის მიხედვით	უკანასკნელი 5 და 6 სერია ერთად
არფასტო	„ნიბელუნგები“	უკანასკნელი 3 და 4 სერია ერთად
სოლეი	გლორია სვენსონი ორიგინალურ როლში „რა საჭიროა ცოლის გამოცვლა“	
დარბაზი	აფრიკის ქალიშვილი 1 და 2 სერია ერთად	ორშაბათიდან უკანასკნელი 3 და 4 სერიათ
ოდეონი	ბელვედერის ჩრდილები (ნიღაბი ახდილია)	ორშაბათიდან „მეზღვაურის მეგობარი ქალი“
პროლეტარი ავლაბარი	ამერიკული რიუკებიანი კინო-რომანი 2 სერიათ „უშიშარი ამერიკელი“	1 და 2 სერია ერთად

ანონსი მალე მსოფლიო შედევრი „Жизнь за жизнь“ 0—18

МЕЖРАБПОМ-РУСЬ

ორშაბათიდან, 26 მარტიდან კინო თეატრებში

აპოლო, არფასტო, სოლეი

ერთდროულად მსოფლიო ფილმი

სიცოცხლე სიცოცხლისათვის

რეჟისორი: **ჯოემაი**

მთავარ როლებში: მარჩელა ალბანი

პაულ ვეგენერი

პაულ რიხტერი

ნ. 827

თბილისის ქალაქის ბანკის გამგეობა

ამით აცნობებს ბანკის აქციონერებს, რომ თანახმად ს. ს. რ. კ. ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებისა 1927 წლის აგვისტოს 17-დან სააქციონერო საზოგადოებათა დებულების დამტკიცების შესახებ (ს.ს.რ.კ. კანონთა კრებული № 49, 499 მ., პუნქტი 7 დადგენილებისა) თბილისის ბანკის უსახელო აქციები (აქციები წარმდგენელის სახელზე) უნდა წარმოადგინონ ბანკის გამგეობაში ან ბანკის განყოფილებაში არა უგვიანეს 1928 წლის აპრილის პირველისა სახელობითი აქციებზე გადასაცვლელად.

აქციები, რომელნიც აპრილის პირველამდე არ იქნება წარმოდგენილნი და გამოცვლილნი, გაუქმებულად ჩაითვლებიან და მათზე დამყარებული ყოველივე უფლება გაბათილდება. ნ. 696 3—3

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას

ესაჭიროება 200 ვაგონამდე მუქი და ნაცრის ფერი კაკლის ხის მორები და მისივე ფიცრები, ზომით 2-დან 2½-დე; მორების ზომას მნიშვნელობა არა აქვს.

წინადადებებით მიმართეთ საქ. სახვაჭრობის დამამზადებელ განყოფილებას თბილისში, თავისუფლების მოედანი, ქარვასლა, 2. ნ. 823

თბილისის ბირჟის კომიტეტთან არსებულმა კოლექტივთა გაერთიანების სამმართველომ უმუშევრობის შემცირების მიზნით დაარსა ნაგვის გატანის და სახლების, საცხოვრებელი ბინების და დერეფნების, გასუფთავების კოლექტივი

„გორსანი“

რისთვისაც ვთხოვთ დაწესებულებებს, სახლების მმართველებს და სახლების დიასახლისებს შეხვდეთ ღირსეულად აღნიშნულ კოლექტივს და მიიღოთ მხედველობაში ის, რომ კოლექტივი ყოველივე ასეთ დავალებების შესრულებას და პასუხის მგებლობას მიიღებს თავის თავზე.

თბილისის ბირჟასთან არსებული კოლექტივთა გაერთიანების სამმართველო.

ელსმენი № 5—34. 1905 2—2

კინო-ოდეონი

ორშაბათიდან 26 მარტიდან

ამერიკული მხატვრული შედევრი

„მეზღვაურის მეგობარი ქალი“

ნ. 826

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებ. ა. ცვარიანი

აცხადებს, რომ ის 30 მარტს 1928 წ. საათის 12, სურფსარქისის ქ. № 46, საჯარო ვაჭრობით გაყიდის ისმაილ კულიევის მოძრავ ქონებას 2 ხალიჩას, კამოდს და კედლის საათს შეფასებულს 170 მან. დასაკმაყოფილებლად საქინა ალი ასკანოვისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ნ. 824

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 27 მარტს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 148 ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. პანაიოტ ანდრეუს მოძრავ ქონებას: საწერ მაგიდის და სხვადასხვა საოჯახო ნივთებს შეფასებულს 139 მანეთად, 70 კაპ. ელენა ანდრეუს ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 14 იანვარი 1927 წ. თარიღით, № 140 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

ექიმი **ქ. ს. ფონ-ირტელი**

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სისივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნაშ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—7

კბილის ექიმი **დ. ს. რიჟინაშვილი**

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნეულოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ექიმი **ს. ი. ანდრეევისა**

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ელსმენი 11—78 25—0

იყიდება სახლი

ფლეველში 12 ოთახი, ენგელსის ქ. (ყოფ. ბებუთოვის) № 34. იკითხეთ 8 საათიდან საღამოს 7 საათამდე, სადარბაზო კარებიდან მესამე სართული მარცხნივ. 1908

22 მარტს

თბილისის სადგურზე კახეთის მატარებლიდან ჩამოსვლის დროს ვიღაც უცნობ ქალს გადავეცი კალათი, რომელშიდაც იყო: ერთი შავი პალტო, სამი ცალი ფარდა, თავშალი, ფეხსაცმელები და სხ. ვთხოვ აღნიშნულ პირს დამიბრუნოს ნივთები შესაფერი ჯილდოს მიღებით შემდეგ მისამართზე: ანტონოვის ქუჩა № 10 1911 ფიურქოვი

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის აბანოები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—9.

ექიმი **ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი**

ავადმყოფების მიღება, ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.

საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ეორესის ქ. კუთხე. 25—1

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის **სამკურნალო** საწოლებით ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ქიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, გორდანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი **მ. ი. ზანდუკელი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82 25—1

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიღება დილის 9—12 საღ. 7 ნაშ.—8 ნაშ. საათ 25—1 ტელ. 12—67

ექიმი **ი. პ. მჭედლიშვილი**

შინაგანი სნეულებანი

სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 საათ. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 25—2

ექიმი **ნ. ტურიაშვილი**

იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე, გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის) 25—1

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

მედიც. დოქტორი **გ. ა. ახვერდოვი**

ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.

დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—11

თვალის საავადმყოფო

მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები

ა. ნ. შატილოვი

საოპერაციო დღეებში

ა. გ. მალაევი

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 5—12

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე. შესავალი. სასტუმრო „ეროვნას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის ქ. [illegible] პლეხანოვის შესახვევი) № [illegible]

დავკარგე სამხედრო საღრიცხვო ბარათი ნიკოლოზ ბატკუაშვილის სახელზე, ჩ. ვ. 1907

დავკარგე: სამხედრო წიგნაკი გიორგი კოდანაშვილის სახელზე, ჩ. ვ.

დავკარგე: მეღვინეთა კავშირის წიგნაკი № 649160 [illegible] უნაფკოშვილის სახელზე. ჩ. ვ. 1911

დავკარგე: ღვინის გადასატანი მოწმობები 1927 წლისა № 3543, 104614, 355, 3248, ენუქაშვილის სახელზე ჩ. ვ 1910

პოლიგრაფტრესტის მე-1 სტამბა, კამოს ქ. № 68